# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 21 ნოემბერი, 2007 წელი.

№ 228 (5829)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge  ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika  ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## წერილი ჩემი მეგობრის შვილს, რომელიც ამჟამად ტოკიოს უნივერსიტეტში ასწავლის

4-5




# ფააფუ!..

წლეულს მეოთხე გიორგობა მოდის, მაგრამ საქართველოს გაბრწყინებას არა და არ დაადგა საშველი უკვე არც ამ ხელისუფლების ხელში, რომელი ხელისუფლებაც, ვითომ ამერიკისგან და ევროპისგან ზურგგამაგრებული დიდი ფახიფუხით შეუდგა სხვათაგან საეჭვოდ თავსმოხვეულ რეფორმებს და ოთხი წლის თავზე თითქმის მთელი ქვეყანა ძირზე გაყიდული აღმოჩნდა




## პრეზიდენტმა გული აიჩუყა

როცა პრეზიდენტი გულაჩუყებულია, თურმე ბოკერიების, ნადირაძეების, კირკიტაძეების და სხვათა რჩევას ახლოსაც არ იკარებს და ხალხის სასიკეთო პრობლემებს პირადი ინიციატივით წყვეტს

6

2

## ქართველებმა გიორგობა ქურმუხის ტაძარშიც უნდა აღნიშნონ



4

## მთავრობის კურსის ცვლილება მოსალოდნელი არ არის

## მიშას უსიამოვნებანი

10



მაინც რა თავდაჯერებული უნდა იყოს კაცი, რომ იმის შემდეგ, რაც იმ თარს 7 ნოემბერს ხალხს დღე დააწია, კიდევ იმედი ჰქონდეს, რომ ხელახლა პრეზიდენტად აირჩევენ!

## პრეზიდენტს ვინ ჩივის, პარლამენტიც იგივე უნდათ, დაგვიტოვონ!..

3



# გზასაყართან

● კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ შეიხ-ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს შეახსენა, რომ თბილისის ჯუმა-მეჩეთიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, მაგრამ იქ თბილისში მცხოვრები მუსლიმები დაუბრკოლებლად განაგრძობენ მსახურებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი მოქმედი მეჩეთია, ინგილოებს კი მხოლოდ ორი ქრისტიანული ტაძარი აქვთ



◎ დღეს ხვალისათვის

## გაჩეჩილაძე თუ... გაჩეჩილაძე?

**მიუხედავად მოსაზრებათა თანხვედრისა, როცა საქმე ეხება ქვეყნის, ხვალინდელი დღის, ხალხის ბედისა თუ უბედობის საკითხს, უპრიანი და აუცილებელია კიდევ ერთხელ შეაჯერო შენი ნაფიქრალი და სამოქმედო გეგმა საზოგადოების სხვადასხვა ფენასთან, რომ გამართული პოზიციებით გააგრძელო ბრძოლა დასახული მიზნისათვის.**

სწორედ ამას ემსახურებოდა გაერთიანებული ოპოზიციის შეხვედრა „ქართული აკადემიის" წარმომადგენლებთან. ეს „აკადემია" ისეთ საქვეყნოდ ცნობილ ადამიანებს აერთიანებს, რომ მარტო მათი ჩამოთვლაც კი სიამაყით ავსებს ადამიანს. „ქართულ აკადემიაში" (აქ მეცნიერებათა აკადემიაზე არაა საუბარი!ძ გაერთიანებულნი არიან სახელოვანი მხატვრები, მწერლები, მეცნიერები, კულტურის მუშაკები. ისინი ქართული ინტელიგენციის ნაღებს წარმოადგენენ. და ამ „ნაღებმა" გაერთიანებულ ოპოზიციასთან ერთად განიხილა ჩვენს ქვეყანაში სადღეისოდ მიმდინარე პროცესები, „საშვიდნოემბრო" რბევა და მთავრობის „პასუხი" ხალხის კანონიერ მოთხოვნაზე. კეთილი ინებოს და მთავრობამ მოიცილოს „ყურთბალიშბი", რათა გაიგონოს გასაგონი: როცა ვამბობთ, დემოკრატიას ვაშენებთო, უნდა ვაშენოთ იგი დემოკრატიული მეთოდებით და არა „ცრემლსადენი" გაზებითა და უახლესი აკუსტიკური იარაღით, არა მასმედიის დარბევითა და ხალხის აბუჩად აგდებით!

მართალია, ხელისუფლება ხმამაღლა გაჰყვირის, ოპოზიცია ულტიმატუმების ენით გველაპარაკება და ეგრე როგორ გამოდისო! მაგრამ რომელ „ულტიმატუმზეა" საუბარი, როდესაც ფრიად ნათელია ეს მოთხოვნები, — პრესის თავისუფლება, პოლიტპატიმრების თავისუფლება და, რაც მთავარია, დემოკრატიული არჩევნების წესისა და რიგის მიხედვით ჩატარება! მაგრამ რა არის ეს — „წესისა და რიგის" მიხედვით არჩევნების ჩატარება? აი, აქ სწორედ რომ ხელისუფლებას აქვს „ულტიმატუმი"... არადა, რა გასაკვირია, რომ ოპოზიცია იბრძვის, იბრძვის და გამარჯვების იმედიც აქვს!

მრავალი საინტერესო და უაღრესად საქმიანი პოზიცია გაჟღერდა შეხვედრაზე მათ შორის, ფრიად მისასალმებელი პროგრამა ერთობლივი საქმიანობისა. ამ პროგრამას თვითონ გააჟღერებენ, ალბათ, საჭირო დროს, ოღონდ, მე გამიჩნდა შეკითხვა, — ვითომ, უმჯობესია „ოპოზიციას" და... ოპოზიციას სხვადასხვა საპრეზიდენტო კანდიდატები რომ წარმოადგენენ? რა გავაკეთოთ ჩვენ, ამომრჩევლებმა, რომელ ერთს მივცეთ ხმა — გამყრელიძეს, ნათელაშვილს, მაისაშვილს, გაჩეჩილაძეს თუ... გაჩეჩილაძესო? ჩემთვის ცნობილია ბატონი ლევან გაჩეჩილაძე, გაერთიანებული ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატი, მაგრამ ის მაკვირვებს, რაში დასჭირდათ ვილაცეებს, კიდევ ერთ გაჩეჩილაძე ოპოზიციაში ჩადგომოდა ოპოზიციას?

ნამეტანი მოგვიმრავლდნენ პრეზიდენტობის კანდიდატები! მთავრობის მიერ ხმების „დასაფანტად" შემოგდებული ხრიკი ხომ არ არის ეს?

**ზაურ ფიფია**

◎ თხოვნა

## ქართველებმა გიორგობა ქურმუხის ტაძარშიც უნდა აღნიშნონ

**ქურმუხის ტაძართან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სრულიად კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს უფროსს და აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში თხოვნით მიმართა.**

როგორც საპატრიარქოს პრესსამსახურიდან იტყობინებიან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სრულიად კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს უფროსს, შეიხ-ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს წერილი გაუგზავნა.

წერილით პატრიარქმა შეატყობინა სრულიად კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს უფროსს, რომ 23 ნოემბერს, წმინდა გიორგის ხსენების დღეს, საინგილოს ქართული მოსახლეობა, ტრადიციულად, ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ლოცულობს. ამასთან, ამ დღესთან დაკავშირებით ქურმუხის ტაძარს, ჩვეულებისამებრ, საქართველოდან ჩასული მომლოცველებიც სტუმრობენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ თხოვნით მიმართა შეიხ-ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს, რათა მან ხელი შეუწყოს ქართველ მომლოცველებს, დაუბრკოლებლად აღავლინონ ლოცვა ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში.



წერილში ასევე ნათქვამია, რომ ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ღვთისმსახურება იმ მოტივით შეწყდა, რომ იგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად არის გამოცხადებული. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ შეიხ-ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს შეახსენა, რომ თბილისის ჯუმა-მეჩეთიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, მაგრამ იქ თბილისში მცხოვრები მუსლიმები დაუბრკოლებლად განაგრძობენ მსახურებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი მოქმედი მეჩეთია, ინგილოებს კი მხოლოდ ორი ქრისტიანული ტაძარი აქვთ. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სთხოვს შეიხ-ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს, უშუამდგომლოს შესაბამის ორგანოებში, რათა ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ღვთისმსახურება აღდგეს.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ასევე თხოვნით მიმართა აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ნამიგ ალიევს, რათა მან ხელი შეუწყოს მომლოცველებს, დაუბრკოლებლად ჩავიდნენ სალოცავად ქურმუხის ტაძარში გიორგობის დღესასწაულზე.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ინფორმაცია

### გვეწვევა თურქეთის პრეზიდენტი

**საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აბდულა გიული ჩამოვა. ვიზიტის ფარგლებში თურქეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობისა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებებს მოეწერება ხელი.**

როგორც „საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ განაცხადა, გაიმართება ახალქალაქი — ყარსის რკინიგზის მონაკვეთის მშენებლობის დაწყების ცერემონიაც.

### დღეს ყულევის ტერმინალი გაიხსნება

**დღეს ყულევის ნავთობტერმინალი ოფიციალურად გაიხსნება. გახსნის საზეიმო ცერემონიალს აზერბაიჯანისა და საქართველოს პირველი პირები დაესწრებიან. ილჰამ ალიევისა და მიხეილ სააკაშვილს გარდა, აღნიშნულ ღონისძიებას აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტიც დაესწრება.**

ტერმინალის რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციაში აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ 300 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა.

### ბურჯანაძე იმედებს გვაძლევს

**დეპუტატ გუგული მაღრაძის მტკიცებით, ზოგიერთ სახელმწიფო სტრუქტურაში თანამშრომლებს საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი ანკეტების შევსებას აიძულებენ.**

ამის შესახებ მაღრაძემ პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, იმ შემთხვევაში თუ ისინი მსგავს ანკეტებას არ შეავსებენ, თანამშრომლებს სამსახურის დაკარგვით ემუქრებიან.

დეპუტატის განცხადებით, თუ ხელისუფლებას არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების სურვილი აქვს, საზოგადოებაში არასამართლიანობის განცდა არ უნდა იყოს.

მისივე განცხადებით, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიჭრას ტელეკომპანია „იმედის" პრობლემაც.

გუგული მაღრაძის განცხადების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ პრეზიდენტის მხარადამჭერებს „თვითშემოქმედებისგან" თავშეკავება ურჩია.

მისი თქმით, ასეთი ხელმოწერების შეგროვება მხოლოდ და მხოლოდ გაღიზიანებას გამოიწვევს.

როგორც ბურჯანაძე აღნიშნა, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს არჩევნების სამართლიანად, გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩატარებისთვის და იმისთვის, რომ არანაირი ეჭვები არ არსებობდეს.

მანვე დასძინა, რომ ყველა კანიდიდატი თანაბარ პირობებში იქნება, მათ შორის საეთერო დროსთან დაკავშირებითაც.

ტელეკომპანია „იმედთან" დაკავშირებით კი, ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად ევროპელ კოლეგებთან მუშაობა მიმდინარეობს.



### აზერბაიჯანმა გაზის ექსპორტი შეგვიწყვიტა

**აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ საქართველოში საკუთარი ბუნებრივი გაზის ექსპორტი შეწყვიტა. ამის შესახებ აზერბაჯანული სააგენტო იტყობინება.**

სააგენტოს ცნობით, აზერბაჯანის პირველი ვიცე-პრეზიდენტის იაგუბ ეიუბოვის განცხადებით, საქართველოზე ბუნებრივი გაზის მიწოდება შეყვეტილია.

— დღესდღეობით საქართველო აზერბაიჯანიდან ბუნებრივ გაზს მხოლოდ შაჰ-დენიზის საბადოდან ღებულობს. გაზის მიწოდების შეწყვეტა აზერი-ჩირაგ გიუნეშლის და შაჰ-დენიზის საბადოებზე თანმდევი გაზის მოსალოდნელი მოცულობის შემცირებას უკავშირდება. 2008 წლისათვის საქართველოსთვის გაზის მიწოდება ჯერჯერობით მხოლოდ შაჰ-დენიზის საბადოდან იგეგმება, — აღნიშნა ეიუბოვამ.

**ХО-ЭОВ-ЭЕО**

◎ გამოთხოვება

## უკანასკნელი პატივი მიაგეს გოდერძი ჩოხელის ხსოვნას



**გუშინ ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გოდერძი ჩოხელის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.**

უწმინდესმა ჩოხელის ოჯახის წევრებსაც მიუსამძიმრა. სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი მამა გიორგი ზვიადაძემაც აღავლინა.

ქაშუეთის ეკლესიაში საზოგადოების წარმომადგენლებთან, მსახიობთან, რომლებიც რეჟისორმა და მწერალმა გოდერძი ჩოხელმა თავის ფილმებში გადაიღო, და მწერლებთან ერთად პანაშვიდზე მივიდნენ თბილისელი ჩოხოსნები და სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები. როგორც ბავშვები აღნიშნავდნენ, ისინი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას სასკოლო წიგნებიდან გაეცნენ.

მსახიობ გივი ბერიკაშვილის თქმით კი, ქართულმა კინემატოგრაფიამ და მწერლობამ დიდი შემოქმედი დაკარგა.

გოდერძი ჩოხელი 53 წლის ასაკში გულის უკმარისობით გარდაიცვალა. იგი მცხეთაში, დედათა მონასტერში დაკრძალეს.

**ინტერპრესნიუსი**

№ 228. ოთხშაბათი, 21 ნოემბერი, 2007 წელი.

# აღმდგარი ქვეყანა

**მაინც რა თავდაჯერებული უნდა იყოს კაცი, რომ იმის შემდეგ, რაც იმ თარს 7 ნოემბერს ხალხს დღე დააწია, კიდევ იმედი ჰქონდეს, რომ ხელახლა პრეზიდენტად აირჩევენ!**



**ერიჰაა!**

# პრეზიდენტს ვინ ჩივის, პარლამენტიც იგივე უნდათ, დაგვიტოვონ!..

*ქაჩალი თავს არ მოიფხანს, თუ მოიფხანს, მოიგლეჯსო. სწორედ ასეა ჩვენი პრეზიდენტის საქმე. რა დღე აყარა საცოდავ ხალხს არჩევნების კონსტიტუციურ ვადებში მოთხოვნისათვის და — უცებ, არც აცია, არც აცხელა და ვადამდელ არჩევნებზე დათანხმდა!*

*გაწყენინეთ რამე, ბატონო მიხეილ? რაზე იკლებთ ერთი წლის პრეზიდენტობას? თქვენ იკლებთ იკლებთ, მაგრამ რატომ აკლებთ მას თქვენს „უნახავ“ მე-გობ-რებს: „უნახავმა გობი ნახა — ოო, რა სანახავიაო“. გობი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია გობისკაცებისათვის (გობი დიდ ჯამს ნიშნავს, გობისკაცი — დიდ ჯამში, ანუ ხაზინაში ჩამყურალს). ამიტომა ემუქრებოდა ერთ-ერთი გობისკაცთაგანი მის კანონიერ პატრონს ტუჩამოგრეხებით: „შულს ამოგაჯრობთო“. როგორღა უნდა „ამოაჯროს შული“ ხალხს უშენოდ?*

არ ვიცი, რით ავხსნა პრეზიდენტის ასეთი „თავგანწირვა“ - მისი დაუფიქრებლობით, ერთ ღამეში დაფიქრებით თუ ოკეანისგაღმელი „ბრძენების“ დაგვიანებული რჩევით, მაგრამ „უმადური“ ოპოზიციის აზრით, აქაც რაღაც ოინთან და ცბიერებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ბატონი მიხეილი რომ ამდგარიყო და, ოპოზიციის ჯიბრით (ჯიბრიანობას ნამდვილად ვერ წაართმევ), მადლისათვის ბარემ მარილიც მოეყარა – საერთოდ უარი ეთქვა პრეზიდენტობაზე, როგორც მოიქცეოდა მის ადგილას „ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის“ (მათი სიტყვებია) თავმოყვარე პრეზიდენტი, მისი საქციელი გასაგებიც იქნებოდა და ერთბაშად ორ კურდღელსაც დაიჭერდა: ოპოზიციას კოვზს ნაცარში ჩაუგდებდა და ახლა თვითონ ჩაუდგებოდა მას ოპოზიციაში, რომ მის მიერვე გაქილიკებული „სუსტი ოპოზიცია“ გაეძლიერებინა. მაგრამ ჩვენი შორსმჭვრეტელი პრეზიდენტი, ჩანს, სხვაგვარ ოინს უპირებს მას.

მაინც რა თავდაჯერებული უნდა იყოს კაცი, რომ იმის შემდეგ, რაც იმ თარს 7 ნოემბერს ხალხს დღე დააწია, კიდევ იმედი ჰქონდეს, რომ ხელახლა პრეზიდენტად აირჩევენ!

ვითომც, აქ არაფერი მომხდარაო!

კაცს პირში აფურთხებდნენ და – რა კარგი წვიმა მოდისო.

თუმცა არც ისეთი ურიგო პრეზიდენტი გვყოლია: მისი ერთ-ერთი მე-გობ-რის მეთიუ ბრაიზას აზრით, თურმე, „სააკაშვილი კარგად მართავს საქართველოს“ (სულ ახლახან ვაშინგტონში გაკეთებული განცხადებიდან). ამისათვის კი, მისივე თქმით, „საჭიროა ძლიერი პარლამენტი“.

ერიჰაა! აი, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული! პრეზიდენტს ვინ ჩივის, პარლამენტიც იგივე უნდათ დაგვიტოვინ!

დღის წესრიგში იდგა საპარლამენტო და არა საპრეზიდენტო არჩევნები. მაგრამ ასე, ალბათ, გაჭირდებოდა „ძლიერი პარლამენტის“ არჩევა. საამისოდ საჭირო იყო, რომ, თუ ერთდროულად არა, ჯერ საპრეზიდენტო მაინც ჩატარებულიყო.

პრეზიდენტისათვის საჭირო „ძლიერი პარლამენტი“ მისი მორჩილი ერთპარტიული (თავისპარტიული) პარლამენტის ბუტაფორიას ნიშნავს, რომელიც ხელფეხს უხსნის მას მის მიერ სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების უფლებამოსილებების შესათავსებლად და გასადიქტატორებლად. რა სიკეთეს ხედავს ბატონი ბრაიზა ამაში, ვერ გეტყვით, მაგრამ ქართველი ხალხი რომ მასში ბოროტების მეტს ვერაფერს ხედავს, ამიტომაც დააყენა ოპოზიციამ (ოპოზიცია ხალხია) დღის წესრიგში საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურ ვადებში დანიშვნის აუცილებლობა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებისაგან თავი დაეღწია!

პრეზიდენტმა კი ჯიუტად ისევ საპრეზიდენტო არჩევნები გამოგვიჩხირა წინ!

რა მნიშვნელობა აქვს, გაზაფხულზე ჩატარდება თუ შემოდგომაზეო, – გაიძახოდნენ გობის კაცები და ქალები.

ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ საპრეზიდენტოზე დამთხვევა, გარდა იმისა, რომ კონსტიტუციასაც არღვევდა, საშუალებას აძლევდა პრეზიდენტს კვლავ მორჩილი გობის პარლამენტი აერჩია და თავისი უზურპატორობა გაეგრძელებინა.

პარლამენტის, როგორც ხალხის დეპუტატების, დანიშნულება პრეზიდენტისა და მისი გარემოცვისადმი ოპოზიციაში დგომაა, რამდენადაც ხალხი ხელისუფლების ბუნებრივ და მარადიულ ოპოზიციას წარმოადგენს. პრეზიდენტის გობში ჩამყურე „პარლამენტის“ უკუღმართობა კი ის იყო და არის, რომ მისი უმრავლესობა დღემდე მონურად აზიარებს თავის უფლებამოსილებას პრეზიდენტს, რითაც უზურპატორად აქცევს მას. პრეზიდენტი ერთპიროვნულად და თვითნებურად ნიშნავს მორჩილ პრემიერ-მინისტრს, გენერალურ პროკურორს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მინისტრებს, მეზაჟეებს და ყველას, რათა უცერემონიოდ ჩაერიოს ყველას ფუნქციაში, პარლამენტი კი გობს ჩაჰყურებს და ყველაფერზე თავს უქნევს. ამრიგად, ეს ე. წ. „ძლიერი პარლამენტი“ ფაქტობრივად არ არსებობს.

ნინო ბურჯანაძეც ისეთივე ბუტაფორიაა, როგორც მთელი უმრავლესობა. იგი სჯერდება „გობს“ და ხელს არ უშლის პრეზიდენტს. ამიტომ მისი მოცილების საკითხი არ დგება. ზურაბ ჟვანია კი, ჩანს, არ გახდა ბუტაფორია, არ დასჯერდა „გობს“ და ხელი არ აფათურებინა პრეზიდენტს თავის ფუნქციებში. იგივე შეიძლება ითქვას ირაკლი ოქრუაშვილზეც, რომელიც სკანდალურად მოიცილა. გობის პარლამენტარებს კი პირში წყალი ჩაუგუბებიათ და არც კომისიის შექმნას მოითხოვენ, არც გამოძიების დაწყებას. ის კი არადა, მამხილებელს უპირებენ დასჯას ცაში ღმერთის შემლაღადე მხილებებისათვის.

აი, რატომ იყო საჭირო შექმნილიყო ნორმალური, მრავალპარტიული პარლამენტი, რომელიც შეზღუდავდა პრეზიდენტის უზურპატორულ ამბიციებს და რეალურ უფლებამოსილებას აღუდგენდა ყველა სახელისუფლებო სტრუქტურას. სწორედ ამას ესწრაფვოდა გაერთიანებული ოპოზიცია, როდესაც საპარლამენტო არჩევნების 2008 წლის გაზაფხულზე, კონსტიტუციურ ვადებში დანიშვნას მოითხოვდა, რაზეც ქვა ააგდო და თავი შეუშვირა პრეზიდენტმა და რისთვისაც ცემით დაასიებინა ხალხი.

მაინც რისთვის იკლავს თავს და სცემს ხალხს ბატონი მიხეილი, პრეზიდენტობას რომ არ სჯერდება და უზურპატორობა აუჩემებია? სტალინი, ნაპოლეონი და იულიუს კეისარიც უზურპატორები იყვნენ, მაგრამ რაღაც იდეალებს ესწრაფვოდნენ. რას ესწრაფვის ბატონი სააკაშვილი? სეპარატიზმებს გადარჩენილი საქართველოს გაყიდვას, სოფლის საძოვრების, ტყეებისა და მდინარეების გასხვისებას, მეცნიერებათა აკადემიისა და უნივერსიტეტების რექტორებს, მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირების დაშლას, გაზეთის რედაქციების შენობებიდან გაყრას, ტელეარხების დახურვას, საქმიანი ადამიანების დევნას, მოსახლეობის გაღატაკებას და ათას უბედურებას.

ამიტომა, ალბათ, სჯობდა, ისევ შეთანხმებული კანონმდებლობით გადატანილ საპარლამენტო არჩევნებს დავთანხმებოდით, ოღონდ, ერთი პირობით: საპრეზიდენტო მაინც თავის დროზე, ცალკე ჩატარებინათ, რათა პარლამენტში გაერთიანებული ოპოზიციის მთელი სპექტრი მოხვედრილიყო. მერე საპრეზიდენტო თუნდა ვადამდელი მოეწყოთ და თუნდა ვადაგადაცილებული. სააკაშვილი პარლამენტის უაღვიროდ არის აულაგმავი, თორემ ალვირამოდებული ფრიად თავაზიანი ყმაწვილი იქნებოდა.

ზემოთ პრეზიდენტის გადადგომით ორი კურდღლის დაჭერა ვახსენეთ. გადადგომაზე ნურას უკაცრავად, მაგრამ ორი კურდღლის დაჭერას ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებითაც კარგად აპირებს: „ძლიერ პარლამენტსაც“ გამოკრავს ხელს და ერთი ვადის საპრეზიდენტო ლიმიტსაც წაიმატებს (არასრულ ვადას არ ჩაითვლის).

გაერთიანებული ოპოზიცია კი თავისთვის „ზეიმობს“: „ეს არის ქართველი ხალხის ისტორიული გამარჯვება“.

ბ-ნ გოგა ხაინდრავას იმედი აქვს, რომ „იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოპოზიცია სააკაშვილის მეტოქედ გამოიყვანს გაზეთების გასაყიდ ჯიხურს, მაინც ოპოზიცია გაიმარჯვებს“.

ღმერთმა ქნას, ჩვენს თხას მგელი დაეჭიროს! მაგრამ, ეშმაკს თვალი დაუდგეს, ისევ იმ მგელმა რომ დაიჭიროს ჩვენი თხა, ხომ დაგვიტოვებს ძვლებსა და ჩლიქებს?!

მოწინააღმდეგე რომ დაამარცხო, მისი ძალებიც უნდა შეაფასო.

ბ-ნი გურამ გოგიაშვილის ფხიზელი გათვლით, მაგალითად, „თუმცა დღეებს ითვლიან აგრეთვე ამჟამინდელი პრეზიდენტის ძალიან ბევრი რამის გამო მადლიერი მხარდამჭერნიც, რომელთა რაოდენობაც ამ ოთხი წლის განმავლობაში კარგა გვარიანად გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. ეს არის ათიათასობით სახელმწიფო მოხელე, თითქმის მთლიანად ნაციონალები, ეს არის ჯარი, ეს არის პოლიცია, შინაგანი ჯარის ათასგვარი სპეციალური რაზმები, ეგრეთ წოდებული პატრიოტები, ვის უკანაც დგანან ზემოხსენებულთა ასევე ათიათასობით ოჯახის წევრები. სუყველა ამათ კი ძველი პრეზიდენტის არარჩევის შემთხვევაში აწინდელი შედარებით უზრუნველი ცხოვრების დაკარგვა ემუქრებათ, რადგან სჯერათ, რომ ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე ამათი ფუფუნება და განცხრომა ახლა სხვათა საკუთრება გახდება...“ („საქართველოს რესპუბლიკა“ №216, 10.11.2007).

თუ მათ პრეზიდენტის უკანასკნელი არჩევნებისწინა დაპირებებით აზირებულ (ვაჟა-ფშაველასი არ იყოს) აკადემიკოსებს, მასწავლებლებსა და 100 000 სამუშაო ადგილის მომლოდინე უმუშევარსაც მივათვლით, ხმისმიმცემთა კარგა გვარიანი რიცხვი მოუგროვდება 7 ნოემბრის „გმირს“. მით უმეტეს, თუ ოპოზიცია მას ერთიან კანდიდატს ვერ დაუპირისპირებს.

ბ-ნი სოსო ცისკარიშვილის პოლიტოლოგობისა გამკვირვებია. მისი ფიქრით, „ოპოზიციის მრავალსახეობა ამომრჩეველს მეტად აინტერესებს...ქართულ მრავალხმიანობას მარტო სიმღერაში კი არა, პოლიტიკურ გემოვნებაშიც ვხვდებით. საარჩევნო ყუთთან მისვლის მოტივაციაც მეტია, როდესაც ამომრჩეველი იძულებული არ არის რომელიმე მისთვის ნაკლებად საინტერესო კანდიდატს მისცეს ხმა. ხმები, ცხადია, დანაწევრდება, მაგრამ თუ პირველ ტურში გადაწყდა არჩევნების ბედი, გამარჯვებული იქნება მხოლოდ დღევანდელი პრეზიდენტი. თუ მეორე ტური იქნება, გაჩნდება იმის ალბათობაც, რომ იმ შემთხვევაში ოპოზიცია გაერთიანდეს...ეს რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, მაშინ საფრთხე დიდი იქნებოდა...“ („საქართველოს რესპუბლიკა“ №219,15.11.2007).

რა დროს სიმღერაა, ბ-ნო სოსო, აქ ქართველი ხალხის ბედი წყდება. სწორედ ამის შეგნებამ მიატოვებინა 100 000 კაცს რაიონებში სახლ-კარი და თბილისის მიტინგზე ჩამოიყვანა. „პოლიტიკური გემოვნება“ და „საარჩევნო ყუთთან მისვლის მოტივაცია“ დღევანდელ პოლარიზებულ ელექტორატს არაფრით არ ეხება. ხმების დანაწევრება მთლიანად პრეზიდენტის წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან ეს მის ხმებს არ ანაწევრებს. პირიქით, ეს რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, მაშინ არ იქნებოდა საფრთხე. პარლამენტი რაც უფრო ჭრელია, მით უკეთესია. საპრეზიდენტო არჩევნების დროს კი, ან იქით უნდა იყო, ან აქეთ. პრეზიდენტთან დაპირისპირებას ძალების კონცენტრაცია სჭირდება. მეორე ტურის იმედად კი ჩემი მტერი იყოს! რაც შეეხება ოპოზიციის გაერთიანებას, ის უკვე გაერთიანებულია. მათ კი, ვისაც დღეს გაერთიანება არ სურთ, ვერც გააერთიანებ და არც ოპოზიციაა. უფრო სწორად, ისინი ოპოზიციის ოპოზიციას წარმოადგენენ.

ერთადერთი, რასაც დღეს კიდევ შეიძლება ეშველოს, ეს ერთი საერთო ალტერნატიული კანდიდატის წამოყენება იქნებოდა, მაგრამ რა გააერთიანებს გაუერთიანებელ პარტიებს?!

დავით გამყრელიძემ („ახალი მემარჯვენეები“), გია მაისაშვილმა („მომავლის პარტია“), შალვა ნათელაშვილმა („ლეიბორისტული“, ანუ „შრომის“ პარტია), ბადრი პატარკაციშვილმა (უპარტიოდ?), გიორგი გაჩეჩილაძემ (მწვანეთა პარტია, გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატ ლევან გაჩეჩილაძეში არ აგერიოთ!) და ვილაც-ვილაცებმა თავიანთი კანდიდატურები წამოაყენეს.

ისე, საინტერესოა, ვისი ხმების მიტაცების იმედი აქვთ მათ? სააკაშვილის წინასწარ შეგონებულ მხარდამჭერთა ხმებს რომ ძვრას ვერ უზამენ, ამას ბატონი გურამ გოგიაშვილის პროგნოზიც ნათელყოფს. რჩება გაერთიანებული ოპოზიციის ხმები. აი, იმათ მართლა შეიძლება წააძრონ რაღაც ნაწილი, არა თავიანთ, არამედ სააკაშვილის სასარგებლოდ. ხოლო თუ ამ უკანასკნელს მათი ხმები თავისი 50 პროცენტის შესავსებად დასჭირდა, გამორიცხული არ არის, რომ ეს ე.წ. „ოპოზიციონერები“, პრეზიდენტთან დაპირისპირების ნაცვლად, მასთან „კონცენტრაციაში“ აღმოჩნდნენ.

ასეთი ეშმაკობები უცხო ხილი არ არის არჩევნების პრაქტიკაში.

საფრანგეთის წინა საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგალითად, სოციალისტმა ჟან-პიერ შევენმანმა ჟაკ შირაკს გაამარჯვებინა იმ მცირე ხმებით, საკუთარი პარალელური კანდიდატურის წამოყენებით, თავისივე თანაპარტიელ ლიონელ ჟოსპენს, რომ გამოსცანცლა.

თუმცა რაღა შორს მივდივართ, ასევე არ გადასძალა სულ ახლახან 14-პროცენტიანმა იუშჩენკომ 49-პროცენტიანი იანუკოვიჩი, იულია ტიმოშენკოს დახმარებით?!

ერთადერთი რეალური ოპონენტი, რომელსაც შეუძლია ღირსეული კონკურენცია გაუწიოს სააკაშვილის კანდიდატურას, ეს გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძეა. მას იმ ადამიანებმა გამოუცხადეს ნდობა, რომლებიც ხალხთან ერთად იდგნენ მიტინგებზე და მათთან ერთად გადაიტანეს მთელი უბედურება. ცალცალკე ყოველ მათგანს დაამშვენებდა საქართველოს პრეზიდენტის ტიტული, მაგრამ ყოველმა მათგანმა თავი „დაიმდაბლა“ საქმის ინტერესებისათვის და ბ-ნი ლევანის კანდიდატურა წამოაყენა. მისი მხარდაჭერა მთელი გაერთიანებული ოპოზიციის მხარდაჭერას უდრის. საბოლოო არჩევანი კი ჩვენზეა. სხვებისა არ ვიცი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ბ-ნი ბადრი და ბ-ნი შალვაც ლევან გაჩეჩილაძეს დაუჭერენ მხარს და არა მიხეილ სააკაშვილს.

**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე,
2007 წ. 16 ნოემბერი

№ 228. ოთხშაბათი. 21 ნოემბერი. 2007 წელი.

# დიდი მოლოდინი

● წლეულს მეოთხე გიორგობა მოდის, მაგრამ საქართველოს გაბრწყინებას არა და არ დაადგა საშველი უკვე არც ამ ხელისუფლების ხელში, რომელი ხელისუფლებაც, ვითომ ამერიკისგან და ევროპისგან ზურგგამაგრებული დიდი ფახიფუხით შეუდგა სხვათაგან საეჭვოდ თავსმოხვეულ რეფორმებს და ოთხი წლის თავზე თითქმის მთელი ქვეყანა ძირზე გაყიდული აღმოჩნდა



◎ ძირი დანახული ჯობს

# ფააფუ!..

## წერილი ჩემი მეგობრის შვილს, რომელიც ამჟამად ტოკიოს უნივერსიტეტში ასწავლის

*ჩემს ხელში გაზრდილი ჩემი მეგობრის შვილი არჩილ კვენეტაძე, რომელმაც ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტი გასული საუკუნის 80-იან წლებში დაამთავრა და საერთაშორისო დონის ქიმიკოსი დადგა, იაპონელებმა გერმანიიდან გაიწვიეს და ამჟამად ტოკიოს უნივერსიტეტში ასწავლის. ცოლ-შვილით იქ ცხოვრობს უკვე კარგა ხანია. ხშირად არა, მაგრამ არჩილი მაინც მწერს ხოლმე. იქაურ ამბებს მატყობინებს, უფრო მეტად მეცნიერებისა და კულტურისას, და აქაური ამბების მიწერას მთხოვს. მართალია, იაპონური ტელევიზიის გარდა, ინგლისურენოვან და გერმანულენოვან პრესასაც ვნახულობ, მაგრამ თვითმხილველის თვალით დანახული მაინც სხვააო. მით უმეტეს, ამ ბოლო დროს ძალიან ბევრი ცუდი დაიწერა საქართველოზე და ნუ დაიზარებთ, მომწერეთ, სინამდვილეში რა ხდებაო.*

*წერილს, რომელიც გუშინ გავუგზავნე ჩემი მეგობრის შვილს ამომავალი მზის ქვეყანაში, დღეს ჩვენს მკითხველსაც ვთავაზობ, სულ ოდნავ შეცვლილს, უფრო საგაზეთოდ სახემიცემულს. ახალს, ცხადია, არაფერს ვამბობ, მაგრამ განა ოდესმე დაძველდება ის ამბავი, რომ სამართლიანად აღელვებულ და ასევე სამართლიანად ქუჩაში გამოსულ ქართველ ხალხს, ალბათ, თავისი ფრიად ხანგრძლივი არსებობის მთელ სიგრძეზე პირველად დაუპირისპირდა საკუთარი ეროვნული ხელისუფლება... თანაც ეგრეთ წოდებულ დამოუკიდებელ, თავისუფალ, დემოკრატიულ ქვეყანაში, და კარგა გვარიანად ჩაწიხლა, მიბეგვა და მიჟეჟა...*

*ძალიან მიჭირს, ჩემო არჩილ, ყველაფრის მოწერა. ამიტომ შევეცდები, მხოლოდ მთავარი მოგწერო. რაც მოხდა, რატომ მოხდა და რა განწყობა სუფევს დღეს საქართველოში.*

*როგორც მოგეხსენება, 23 ნოემბერს გიორგობაა. ოთხი წლის წინათ ამ დღემ დიდი იმედები ჩაგვისახა ყველას, ვისაც ყელში ამოგვივიდა ყალბი თავისუფლებაც, ყალბი დამოუკიდებლობაც და ყალბი დემოკრატიაც და, რაც მთავარია, უმრავლესობის გაუბედურების ხარჯზე უმცირესობის გაბედნიერება და ამ უმცირესობის მიერ გულზე ყალბად ხელის ბრაგუნი, ჩვენ იმიტომ მოვედით, რომ საქართველო გავაბრწყინოთო.*

*წლეულს მეოთხე გიორგობა მოდის, მაგრამ საქართველოს გაბრწყინებას არა და არ დაადგა საშველი უკვე არც ამ ხელისუფლების ხელში, რომელი ხელისუფლებაც, ვითომ ამერიკისგან და ევროპისგან ზურგგამაგრებული დიდი ფახიფუხით შეუდგა სხვათაგან საეჭვოდ თავსმოხვეულ რეფორმებს და ოთხი წლის თავზე თითქმის მთელი ქვეყანა ძირზე გაყიდული აღმოჩნდა. მთავარი გამყიდველი კი, შენ რომ მათემატიკას გასწავლიდა, იმ კაცის შვილია, რომელიც თავის ერთ ფრაზაში ჩანს, ვინც არის: ყველაფერი უნდა გავყიდოთ, სინდის-ნამუსის გარდაო. შენ საკუთარს თუ ყიდი, კი, ბატონო, მაგრამ ქვეყანას რომ ყიდი, სინდის-ნამუსის ქონაზე ლაპარაკი, დამეთანხმები, ნამდვილად ზედმეტია...*

*ჩვენც, რამდენიმე ათეული რედაქცია, ამ ფრაზა-ლოზუნგის მსხვერპლი გავხდით, ჩვენი ძველი, ტრადიციული შენობიდან გამოყრილნი, ზოგი დაიხურა, ზოგი სულსაც ვლაფავთ, ხელისუფლება კი, რომელიც პრეზიდენტთან ერთად, როგორც თვითონვე აცხადებენ, პრესას არ კითხულობს, თავს თავისუფალი სიტყვის ძომაგად ასაღებს. ჩვენს დღეში არიან მეცნიერებიც, მწერლებიც, კომპოზიტორებიც... რის კერძო საკუთრება, რა კერძო საკუთრება. ხელისუფლებას რაც თვალში მოუვიდა, ყველაფერს წირვა გამოუყვანა, თანაც ძალადობისა და ძალმომრეობის გზით. ზოგს რა წაართვეს, ზოგს რა ჩამოართვეს, ზოგი კიდევ რას მიუერთეს, ღმერთმა უწყის.*

*კერძო საკუთრება კი არა, ეკლესიასაც გადაუარეს. ზოგს კარი შეუნგრიეს, ზოგი ჩამოანგრიეს და ზოგშიც ანაფორიანი ყაჩაღების ძებნის საბაბით ეშმაკები გაახარეს.*

*რაღაც-რაღაც კანონიერების გვერდით უკანონობაც გვარიანად გაჯეჯილდა, როგორც არასოდეს, ისე გაძნელდა სამართლიანობის პოვნა. დღემდე საკადრისად არ დასჯილან რამდენიმე უდანაშაულო ახალგაზრდის მკვლელები, რომელთაც თვითონ ხელისუფლების დიდკაცები აფარებენ ხელს, რადგან ამ მკვლელობებში არცთუ იშვიათად, და დიდად სამწუხაროდ, იმათი ცოლები და შვილები ურევიან.*





*შენ პრემიერ-მინისტრის საეჭვო სიკვდილზე მწერდი, რა გაირკვაო. რა უნდა გარკვეულიყო, როცა გარკვევა არავის არ უნდა. ერთი კია, როგორც ამბობენ, სადაც მკვდარი ნახეს, იქ არ მომკვდარა თურმე იქ სხვა ადგილიდან მიუტანიათ...*

*ერთი სიტყვით, მთელი ეს ოთხი წელიწადი იმას მოუნდა, რომ ხალხსა და ხელისუფლებას შორის გაუგებრობის ყრუ კედელი აღიმართა. ხალხს ისღა დარჩენოდა, რომ ამ კედლისთვის ეხალა თავი, მაგრამ საყოველთაო სიდუხჭირისგან ძალაგამოცლილი ხალხისთვის არც ეს გამოდგა იოლი...*

*ორ ნოემბერს ლამის მთელმა საქართველომ თბილისში მოიყარა თავი პარლამენტის წინ, რომელმა ერთპარტიულმა პარლამენტმაც ლამის ფარატინა ქაღალდად აქცია კონსტიტუცია და როგორც პრეზიდენტსა და ხელისუფლებას დასჭირდა, ისე მოარგო ზედ კარგად გამოყვანილ ჩოხასავით.*

*თითქმის ას სამოცდაათი ათასი კაცი ხუთი დღის განმავლობაში გუგუნებდა რუსთაველზე და სრულიად კანონიერად ითხოვდა მომავალი წლის გაზაფხულზე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას, აგრეთვე ზოგიერთი იმ პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებას, ვინც ხელისუფლების მოწინააღმდეგე ადამიანებისთვის ინტელექტუალური მხარდაჭერისა გამო (გაგიგონია, ამისთანა რამ?!ძ შვიდი წელიწადი უნდა ლესოს ჩვენი, შუა საუკუნეების დროინდელი დილეგების მსგავსი ციხის კედლები.*

*მთელი საქართველოდან ამ ზღვა ხალხის თბილისში თავმოყრას ხელისუფლებაც და დასავლეთიც პირველ ხანს ჭეშმარიტი დემოკრატიის გამოვლინებად მიიჩნევდნენ და ერთგვარად თავიანთ სასარგებლოდ იწონებდნენ კიდევაც, აი ხომ ხედავთ, დგანან და გვლანძღავენ, და მაინც არაფერს არ ვერჩითო. მაგრამ როცა ხალხმა ხელისუფლებისგან ვერც ერთ კითხვაზე ვერანაირი პასუხი ვერ მიიღო და აღარ და აღარ დაიშალა, ის კი არა, ბევრმა შიმშილობაც გამოაცხადა, ხელისუფლებამ უკვე მუშტებზე დაიწყო ცქერა და სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების თეორიაც შეთხზა. მუშტებსა და ამ თეორიას, როგორც შენც შეგიტყვია, ხალხისა და ჩვენივე ხელისუფლების კარგი მაგარი ჯახი მოჰყვა პირველად საქართველოს ისტორიაში...*

*უნდა გენახა, როგორ ნადირობდნენ აირწინაღიანი და ნიღბიანი პოლიცია და სპეციალური დამსჯელი რაზმები გაზით, რეზინის ტყვიებითა და კომბლებით (ეს თვითონ პრეზიდენტის სიტყვააძ საკუთარი ხელისუფლების ასეთი საქციელისგან გაოგნებულ ადამიანებზე, რომლებიც, ალბათ, ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდნენ, თუ თავიანთსავე სახელმწიფოში გადატრიალების მოწყობა დაბრალდებოდათ და ასე სასტიკად, არაადამიანურად გაუსწორდებოდნენ. მერედა ვინ? ისინი, ვინც თვითონვე აირჩია ოთხი წლის წინათ თავისი ცხოვრებისა და საქართველოს გასაბრწყინებლად (ღმერთიც უშველის ჩვენს სახალხო დამცველს, ძალიან ყოჩაღი ბიჭი გამოდგა, მთელი ის ხუთი დღე ხალხის გვერდით იდგა, მაგრამ აირწინაღიანებმა და ნიღბიანებმა ისიც ლამის მიასიკვდილესძ.*

*ნათქვამი რომ არის, ჯერ არ იყო ძმარიო, და გაურიეს წყალიო, ნამდვილად ისეა ჩვენი ისედაც სახელგატეხილი სიფრიფანა დემოკრატიის საქმე. ხელისუფლება ნამდვილად ფაფასუა გამოდგა (ბავშვობაში შენ ამ სიტყვას მშიშარა ადამიანს ეძახდიძ, ახლა ახალი თეორია დაამუშავა, მტრებს ჩვენი შემდგარი სახელმწიფოს ძალა დავანახვეთო. კი, ხალხმაც დაინახა ეს შემდგარი სახელმწიფო, ოღონდ ხალხზე ზედ შემდგარი და არა ხალხისთვის აშენებული. დღეს მხოლოდ ასეთი აზრი ტრიალებს საქართველოში და არა მარტო საქართველოში, რომ ნოემბრის იმ ავბედით დღეს სახელმწიფოც და ხელისუფლებაც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ტყავის გადასარჩენად (რის საშიშროებაც სრულებითაც არ ყოფილაძ უმოწყალოდ შესდგა საკუთარსავე ხალხს და, როგორც ითქვიან, ძირში მოიჭრა ისედაც შერცხვენილი თავი მთელი მსოფლიოს თვალში. მით უმეტეს, რომ ამ*

◎ პროგნოზი

## რამაზ კლიმიაშვილი: მთავრობის კურსის ცვლილება მოსალოდნელი არ არის



***საქართველოს მინისტრთა კაბინეტში განხორციელებული ცვლილებები მთავრობის კურსის შეცვლას არ გამოიწვევს. ასეთი ვარაუდი „ინტერპრესნიუსთან" საუბარში პოლიტოლოგმა რამაზ კლიმიაშვილმა გამოთქვა. მისივე პროგნოზით, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ძალოვანი მინისტრების შეცვლა მოსალოდნელი არ არის.***

– განხორციელებული ცვლილებები იმდენად უმნიშვნელოა, რომ მთავრობის კურსში არანაირ ცვლილებას არ უნდა ველოდოთ. რაც შეეხება პრემიერს, ლადო გურგენიძე საკმაოდ სერიოზული ფიგურა და კარგი ბიზნესმენია, მაგრამ პოლიტიკის და სოციალური საკითხების მას თითქმის არაფერი გაეგება. პრემიერ-მინისტრი კი უპირველესად პოლიტიკოსი უნდა იყოს.

**– განათლების მინისტრად ლომაიას მოადგილის ბელა წიფურიას დანიშვნით შესაძლოა, მართლაც არაფერი შეიცვალოს, მაგრამ როგორ ფიქრობთ, გაართმევს თავს ახალ თანამდებობას კობა სუბელიანი?**

– გაართმევს თუ არა სუბელიანი თავს ახალ მოვალეობებს, ამას ალბათ, დრო აჩვენებს, მაგრამ ფაქტია, რომ გია ხევიაშვილის მოშორება პრეზიდენტს უკვე დიდი ხანია უნდოდა. ხევიაშვილი, როგორც მინისტრი, არაფრის მაქნისი რომ იყო, ყველამ კარგად იცოდა და ამდენ ხანს მისი მინისტრად ყოფნა მხოლოდ პრეზიდენტის სიჯიუტის "დამსახურებაა". რაკი ხევიაშვილი სააკაშვილის გუნდის წევრი იყო, იგი მის კრიტიკას არ ილებდა. პრეზიდენტი სუბელიანსაც ისევე დაიცავს, როგორც თავის დროზე ხევიაშვილს იცავდა, რადგან მიაჩნია, რომ მისი არჩევანი ყოველთვის სწორია და ნაკლებად აინტერესებს, ამ შემთხვევაში დევნილები რას ფიქრობენ.

**– როგორ შეაფასებთ ალექსანდრე ლომაიას უშიშროების საბჭოს მდივნად გადაყვანას?**

– ლომაიას პრემიერად დანიშვნას უპირებდნენ, მაგრამ ამის ნაცვლად იგი უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე აღმოჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ამიერიდან ძალოვანებს გააკონტროლებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო პერიოდში, როცა საქართველოს სააკაშვილის გარეშე მოუწევს ყოფნა.

**– მოსალოდნელია თუ არა ძალოვანი მინისტრების შეცვლა, მაგალითად შინაგან საქმეთა მინისტრისა, რომელიც სააკაშვილის გუნდში ერთ-ერთი ისეთი ფიგურაა, რომელიც გარკვეული გაღიზიანების ობიექტი არაერთხელ გამხდარა?**

– საეჭვოა, რომ გარდამავალ პერიოდში ხელისუფლებამ ძალოვანი მინისტრები შეცვალოს, მით უფრო წინასაარჩევნო პერიოდში. ასეთი ნაბიჯი ამ ეტაპზე დიდი შეცდომა იქნება, არჩევნების შემდეგ კი გამორიცხული არაფერია.

**მანანა მჭედლიშვილი**
**„ინტერპრესნიუსი"**

№ 228. ოთხშაბათი, 21 ნოემბერი, 2007 წელი.

# დიდი მოლოდინი

მიუხედავად „უიმედობისა“, ბოლოსა და ბოლოს, ჭკუასთან ერთად, ალბათ, არადან-არჩევანსაც ვისწავლით და ერთხელ და სამუდამოდ საჭირო აღარ გახდება აღარც ქუჩაში ასიათასობით ადამიანის გამოსვლა და აღარც ვინმე ყოჩალი პატარა ბიჭუნას შეძახილი, მეფე შიშველიაო. თუმცაღა, როგორც პირი უჩანს, ამიერიდან სულ სხვა გზით მოგვიწევს სიარული. ამბობენ, საპარლამენტო ქვეყანა გავხდებითო



## ჭირი დანახული ჯობს

„გამორჩეულად ქართულ ამბებს“ თბილისიდან ყოველდღე გადასცემდნენ ევრონიუსი, ბიბი-სი და სი-ენ-ენი, რუსულ, უკრაინულ და სხვა ევროპულ არხებზე რომ აღარაფერი ვთქვათ (არ ვიცი, ზოგიერთმა კადრმა იქნებ ტოკიომდეც მოაღწია).

როგორც საქმეს ეტყობა, ჩვენივე ხელისუფლების უთავობით ნატომაც კარგა ხნით გვაქცია ზურგი და აღარც ქვეყნის გაერთიანებას უჩანს სასიკეთო პირი. მთელი საქართველო ისევ ლტოლვილებით არის სავსე, რომელთაც, ჩვენი ხალხის დიდ ნაწილთან ერთად, საშინელი ჭაპანწყვეტით უხდება არსებობა...

გუშინ ხელოვნურად და შექმნილი მდგომარეობის გამართლების მიზნით შემოღებული „საგანგებოც“ უკვე გაუქმდა, ოღონდ ტელეარხი „იმედია“ უიმედობაში. ჩვენი დემოკრატიისთვის საშიში არხიაო, ასეთია ჩვენი პრეზიდენტის საპარლამენტო ამალის ზოგიერთი გაყინჩული, უფრო სწორად, გაზულუქებული წევრის აზრი, რომელ წევრთაც, ცოტა არ იყოს, ერთმა ძალიან ცუდმა რამ სენმა გამოაყარათ ტანზე. ამასაო, ტელეარხის („იმედზეა“ ლაპარაკიძ ყოფილ მეპატრონეზე ამბობენ, რა ენაღვლება, ორი სამშობლო აქვსო. მე ერთი სამშობლო მაქვს და გინდათ თუ არა, ამ ჩემს სამშობლოში სულ ეს ხელისუფლება უნდა იყოს, რადგან ამ ხელისუფლების ხელში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, ხოლო მერე რა იქნება, არ ვიციო.

ჯერ ისევ „საგანგებოში“ ვიყავით, რომ შინაგანი ხმის კარნახითა თუ გარედან მკაცრი შეძახილისა გამო ჩვენმა, ცოტა არ იყოს, რეტდასხმულმა პრეზიდენტმა თავისი საქულბაქი, ნაციონალები ოპოზიცია სრულიად მოულოდნელად ორთაბრძოლაში გამოიწვია, ოღონდ თვითონ მთელი შეიარაღება დაიტოვა, ხოლო მოწინააღმდეგეს ერთი საიმედო ტელეარხი რომ ჰქონდა, საიდანაც მართალი სიტყვის თქმა შეეძლო, ისიც წაართვა, რადგან უთუოდ, კარგად უწყის, რომ სიმართლის წინააღმდეგ ყოველგვარი სხვა იარაღი უძლურია. თანაც ამ ბოლო „უიმედობის“ ჟამს სუყველამ კარგად დავინახეთ, რა დონისა და რა ხარისხის ტელეარხიც მაუწყებლობს ჩვენში სახელმწიფოს სახელით.

აქვე ისიც უნდა გითხრა, რომ ჩვენი ხელისუფლება და, კერძოდ, თვითონ პრეზიდენტიც, მართალია, იხტიბარს თითქოს ძველებურად არ იტეხენ, მაგრამ ამ ბოლო დღეებში ისე დატკბნენ, რომ გვეშინია, არ დაღნენ და ისე გაგულჩვილდნენ, სულ იმის შიშში ვართ, ემანდ უცაბედად არ აქვითინდნენ და ჩვენც არ აგვიყოლიონ... ეტყობა, ცოტა შეხურება და დროდადრო ცოტა „დაქოქვა“ ყველა მთავრობასა და ყველა პრეზიდენტს რგებს. მაგრამ ხელისუფლების ამდენი შეხურება-შეხურებითა და „ქოქვა-ქოქვით“ ნამდვილად დაიღალა ხალხი. ასე გაუგებრად ცხოვრება აღარ შეიძლება.

მოკლედ, შენ რომ ბავშვობაში ანდერსენის „მეფის ახალი სამოსელი“ გიყვარდა, სწორედ იმ ბრძნული ზღაპრის მსგავსი ვითარება შეიქმნა ბოლო ხანს საქართველოში.

...ხომ გახსოვს, თაღლითმა ფეიქრებმა თავიანთივე ნახელავი ვითომც გამჭვირვალე ქსოვილისგან ისეთი სამოსელი შეუკერეს მეფეს, რომ იმ ქსოვილსა და იმ სამოსელს ვერც ბრიყვები დაინახავდნენ და ვერც ის ადამიანები, ვინც თავის ადგილას არ იჯდა. ამიტომ ამალაც დუმდა და ვერც მეფის გარემოცვა იღებდა ხმას. არავის არ უნდოდა, რომ ბრიყვად დაზარალებულიყო და იმ ადამიანად გამოჩენილიყო, ვინც თავის ადგილას არ იჯდა. თვითონ მეფეც ამ დღეში იყო. ხოლო ერთხელ, როცა მეფე გარეთ გამოვიდა და სახტად დარჩენილ ხალხსაც ენა მუცელში ჩაუვარდა, მხოლოდ ერთმა პატარა ბიჭუნამ შესძახა, მეფე შიშველიაო, და ყველაფერი თავის ადგილას დადგა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა...

მე ყოველთვის ვეუბნებოდი მამაშენს, რომ შენ, შენი სიმართლისმოყვარეობითა და გამბედაობით, რაც აკი დაამტკიცე კიდეც, ანდერსენის ზღაპრის ამ პატარა ბიჭუნას ჰგავდი. ეჭვი არ მეპარება, რომ გამიგებ, თუ ამ ჩემს წერილს, რომელსაც, მართლაც უკეთესი მომავლის იმედით გწერ, იმ სიტყვით დავასრულებ, შენ რომ ბავშვობაში გიყვარდა, და ვიცი, ახლაც ისევ გიყვარს, როცა რამეზე გინდა თქმა, აღარ არისო.

ხომ გახსოვს, თუ რასმე კიდევ ითხოვდი, რატომღაც ამ თხოვნას ყოველთვის კითხვით გამოხატავდი ხოლმე: ფააფუ? ესე იგი, აღარ არისო?

აი, ასე დაგვემართა, ჩემო არჩილ, დღეს ჩვენც ამ ჩვენს ტურფა საქართველოში. სიტყვის თავისუფლება ფააფუ! ადამიანის უფლებათა დაცვა ფააფუ! კანონი და სამართალი ფააფუ! სოციალური გულისტკივილის საჯაროდ გამოთქმა ფააფუ!.. ვინმესთან დარეკვა და რამე საიდუმლოს თქმა ფააფუ!.. რუსეთთან ტელეფონით დალაპარაკება თუ სხვა რამ ურთიერთობა ფააფუ!.. თორემ ეგრევე აგენტი და ჯაშუში ხდები. შიმშილობის საჯაროდ გამოცხადება ფააფუ!.. თორემ ისე, რამდენიც გინდა დადექი და, ხოლო თუ უფრო გემარჯვება, დაწექი და იშიმშილე, და აკი შიმშილობს კიდევ ნახევარი უმუშევარი საქართველო, რომელსაც ახალი საპრეზიდენტო არჩევნების წინ ამჟამინდელი პრეზიდენტი ასი ათას სამუშაო ადგილთან ერთად ბევრ სხვა „კაკაკუკასაც“ და „ბაბა-ჩიჩიასაც“ შეჰპირდა... რასაც საბოლოოდ, როგორც წინაზეც, ახლაც, თუკი სწორ არჩევანს არ მოვახდენთ, კაი-კაი დაპირებების „გამომცხვარი“ შეგვრჩება ხელთ... რაღა ბევრი გავაგრძელო, დემოკრატია საქართველოში ფააფუ!..

და ეს ყველაფერი კუსტარულად კი არა, ანდა თუგინდ თურქული „ბეკოს“ დონეზე კი არა, სულ ცოტა, მანდაური, იაპონური „სონის“ იმიტაციის დონეზე მაინც ხორციელდება. ყოველ შემთხვევაში, ცდაა, რომ ამ საქმეში ეს დონე შენარჩუნდეს. ასე რომ რაღაც-რაღაცა „ტექნოლოგიების განვითარება“ აქაც ხდება, ოღონდ არა ტექნიკური, არამედ პოლიტიკური მამაძაღლობის ტექნოლოგიების თვალსაზრისით.

ხუთი იანვარიც კარზეა. ვნახოთ, რას მოგვიტანს ახალი წელი, ვნახოთ, იქნებ ჩვენი ფეხბედნიერი მეკვლეც ის პატარა ბიჭუნა იყოს, ვინც ერთი საყოველთაო შეძახილით ყველას დაგვანახვა, რომ მეფე ტიტველია, და დანარჩენის გადაწყვეტა ყველა ჩვენგანს მოგვანდო.

მიუხედავად „უიმედობისა“, ბოლოსა და ბოლოს, ჭკუასთან ერთად, ალბათ, არადან-არჩევანსაც ვისწავლით და ერთხელ და სამუდამოდ საჭირო აღარ გახდება აღარც ქუჩაში ასიათასობით ადამიანის გამოსვლა და აღარც ვინმე ყოჩალი პატარა ბიჭუნას შეძახილი, მეფე შიშველიაო. თუმცაღა, როგორც პირი უჩანს, ამიერიდან სულ სხვა გზით მოგვიწევს სიარული. ამბობენ, საპარლამენტო ქვეყანა გავხდებითო. უკვე კარგად შეფერთხილ პარლამენტსაც, მართალია, „საომარ პირობებსა და რუსეთის არჩევნების პარალელურად“, მაგრამ, ალბათ, მაინც გაზაფხულზე ავირჩევთ.

ღმერთმა ქნას, და ჩვენც, ცხადია, „ხელი უნდა გავიქნიოთ“, რომ ისევ უსამართლობისა და ძალადობის ღურღუმორევში არ აღმოვჩნდეთ.

როგორც ხედავ, ჩემო არჩილ, წინ უღელტეხილია გადასავლელი, რომელ უღელტეხილსაც მუდამ თვალგამჭრიახი და გონებაგამჭრიახი, გაბედული ადამიანები გადადიოდნენ...

იმ დღისთვის ძალიან საჭიროა თქვენი ხმაც, ვისაც ბევრი უკუღმართობისა გამო ამ ახალ საუკუნეში სამშობლოს გარეთ გიწევთ ცხოვრება.

მოგიკითხავ მთელი შენი ჭუჭულ-ბუჭულებიანად ნახვის ნატვრითა და სიყვარულით. დანარჩენს, რაც მოხდება, იანვარში მოგწერ.

მაპატიე, თუ წერილი ცოტა გრძელი გამომივიდა...

**გურამ გოგიაშვილი**

თბილისი,
2007 წლის 19 ნოემბერი










## ავად გასახსენებელი

# უფასო „კორენიტექი“

**1956 წლის 9 მარტიდან მოყოლებული ქრონიკული მიტინგისტი ვარ. ამას ჩემი პროფესიული (ჟურნალისტურიძ ინტერესიც განაპირობებს.**

ამ ნოემბრის მიტინგებსაც ვესწრებოდი შიგადაშიგ. მაგრამ დარბევის დღეს, პირადი გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა და მეტროთი წავედი „ისანში“.

როცა სადგურ „თავისუფლების მოედანზე“ კარები გაიღო, ვაგონში შემოვარდა აღელვებული, ცხვირსა და თვალებზე ცხვირსახოც აფარებული ხალხის ნაკადი: ქალები, კაცები, ახალგაზრდები, რამდენიმე ბავშვი თვითონ პოლიციელებმა „შემოიტანეს“ მშობლების წივილ-კივილის თანხლებით და პირდაპირ იატაკზე დასვეს.

ამ ალიაქოთში ძლივს გავარკვიეთ, რომ ზემოთ მიტინგი დაურბევიათ და ცრემლსადენ გაზს მეტროშიც ჩამოუღწევია (თუ აქაც შეგნებულად გაუშვეს, რომ ხალხი ზემოთ არ ასულიყო და მომიტინგეებს არ შეერთებოდა!ძ.

ცოტა ხანში, ვინც ვაგონში ადრე ვიყავით, ისინიც ცუდად შევიქენით; მეც თვალები და ყელი ამეწვა, ხველება ამივარდა და მხედველობაც თითქმის დავკარგე.

ამასობაში „300 არაგველის“ გაჩერებაზე ამოგვიშვეს და ყველანი „არამიანცის“ საავადმყოფოს მივაწყდით, სადაც უკვე ისედაც ბევრი ადამიანი გადიოდა პირველ დახმარებას.

მეც თვალები ამომიწმინდეს, წნევის წამალი — „კორენიტეკის“ ერთი აბი დამალევინეს და სისხლის გადასხმის მოლოდინში ერთ-ერთ პალატაში მომათავსეს... მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ჩემთვის აღარავის ეცალა — ახალგაზრდა გოგო-ბიჭები იყვნენ განსაკუთრებით ცუდად— შოკისგან გულწასულები და ექიმებიც იმათ დასტრიალებდნენ. მე გუდანაბადი ავიკარი და ტაქსით გავქანდი „ჯოენში“ — დილომში მდებარე ამერიკულ საავადმყოფოში, სადაც ერთი წლის წინათ გულზე მძიმე ოპერაცია გავიკეთე. იქ ბოლომდე მიპატრონეს.

ამასობაში პირველი არხით განათლების მინისტრი (რატომღაც ყოველგვარ ექსტრემალურ ვითარებაში მთავარი არბიტრი! ძაცხადებს: „ბოდიშს ვუხდით საზოგადოებას, რომ ცოტაოდენი პრობლემა შეექმნაო“.

მეორე დღეს პრეზიდენტი 2008 წლის 5 იანვრისათვის საპრეზიდენტო არჩევნების გადმოტანას გვპირდება (შე დალოცვილო, ერთი დღით ადრე გამოგეცხადებინა ეს გადაწყვეტილება და დასარბევიც ხომ არავინ იქნებოდა. თუ დარბევა აუცილებლად შედიოდა „სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის“ ღონისძიებებში?ძ.

პრეზიდენტის პიარ გადაწყვეტილებას აღფრთოვანებით კვერს უკრავს „ჯიბის პარლამენტი“ და თავმჯდომარე: „საპრეზიდენტო არჩევნების გადმოწევით პრეზიდენტმა გამოიჩინა უდიდესი პატივისცემა ხალხისადმიო“ — ბრძანა ქართველმა „ტეტჩერმა“ ცალსახად და სრული პასუხისმგებლობით, მაგრამ „იმედის“ აწიოკების, მომიტინგეთა ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზით „პატივისცემის“ შეფასება რატომღაც დაავიწყდა.

პარალელუად საგანგებო მდგომარეობა გამოგვიცხადეს დასაშინებლად 9 მარტ და 9 აპრილგამოვლილებს!

თან „დემოკრატიულ“ პროკრატურაში თურმე დღემდე „ეპატიჟებიან“ მომიტინგეებს — ჭიქა ყავაზე! ალბათ მეც დამპატიჟებენ, „არამიანცში“ შედგენილი ანკეტის მიხედვით, შემომთავაზებენ პროცედურულ გარიგებას და იმ „კორუმპირებულ“ ექიმს ჩამაშვებინებენ, ვინც „კორენიტეკის“ ერთი აბი უფასოდ გადამაყლაპა!

**ომარ ჩიტაია,**

**ჟურნალისტი, მომღერალი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, აშშ-ის საპატიო მოქალაქე, ჟურნალ „მუსიკალური საქართველოს“ რედაქტორი.**

№ 228. ოთხშაბათი, 21 ნოემბერი, 2007 წელი.

# რა დღეშიც ვართ...

● როცა პრეზიდენტი გულაჩუყებულია, თურმე ბოკერიების, ნადირაძეების, კირკიტაძეების და სხვათა რჩევას ახლოსაც არ იკარებს და ხალხის სასიკეთო პრობლემებს პირადი ინიციატივით წყვეტს



⦿ არჩევნების წინ

## პრეზიდენტმა გული აიჩუყა

***ჩვენმა პრეზიდენტმა ამ ბოლო დროს რომ გული აიჩუყა და სასიკეთო საქმეთა საკეთებლად აღენთო, ამაზე მარტო მე კი არა, უკვე მთელი ქვეყანა ლაპარაკობს. ამაში ალბათ გასაკვირი არაფერია, უმაღლესი ხელისუფალი იმასთან ერთად, რომ ქვეყანას მართავს და ხალხის სვებედის მზიდავ აუწონავ-გაუზომავ ტვირთს ეჭიდება, რიგითი მოკვდავიც ხომ გახლავთ. და თუ ასეა, მაშ რატომ არ შეიძლება ყოველთვის თუ არა, ხანდახან მაინც იმ რიგითთაგან ნასროლმა კაცობის ნაპერწკალმა სიკეთის კეთების ჟინით დამუხტოს, გული შეუტოკოს და ზოგჯერ თვალთაგან სინანულის ცრემლიც ადინოს?***

რატომღაც არაო, დასტურს იძლევა თავად ქვეყნის მბრძანებელი. მე, მაგალითად, პოლიციელებს და სპეცრაზმელებს კი დავავალე, ამბობს ის, 7 ნოემბრის აქციის მონაწილე ურჩი დემონსტრანტები ამერიკული და ევროდემოკრატიული ნორმების სრული დაცვით გაერეკათ, თუ საჭირო გახდებოდა, ცრემლსადენი გაზიც მიეშვათ და ზედ რეზინის ტყვიებიც მიეყოლებინათ, მაგრამ თუ ყოველივე ამის ყურება გამიძნელდებოდა, ეს კი აღარ მეგონაო. საერთოდ, ტელევიზორით ამისთანა რამეების ცქერა, მერწმუნეთ, არასდროს არ არის სასიამოვნოო, — დასძენს ბოლოს გულდათუთქული პრეზიდენტი.

ვეთანხმები, კიდევ კარგი, სახელმწიფოს მეთაური უდანაშაულო ხალხის ცემატყეპას ტელევიზორით უყურებდა და არა ღია კარიდან ან ფანჯრიდან, თორემ ხომ შეიძლება თავს ისეთი გაუთვალისწინებელი რამ დაგვტყდომოდა, მთავრობის დამხობა იმასთან შედარებით სასიამოვნო მოგონებად დაგვრჩენოდა.

ნუ გეღიმებათ, რასაც ვამბობ, ამას წვეთი არ გავარდება. აბა დაუფიქრდით, ის იმდენი მათრახის შხუილი, გაზის ჭავლი თუ რეზინის ტყვიების წუწუნი ათეულათასობით კაცმა გაინაწილა, პრეზიდენტმა კი ყველაფერი ეს საკუთარ ზურგზე მარტომ გადაიტანა. არც დაუმალავს, ღიად და საჯაროდ განაცხადა: დიდ განსაცდელს გავუძელი, ხალხო, იცოდეთ, თქვენზე მოღერებული ყველა ხელკეტი მე მომხვდა, ცივი წყლის ჭავლმა ტანი ამიწვა, ხოლო გაზის სუნმა თვალიდან ცრემლი მადინაო.

ეს, რაც თქვა, მაგრამ რაც არ გაუმხელია და გულში ჩაიკლა? იმის გამო, რაც საქართველოში იმ დღეებში დატრიალდა, საერთაშორისო დემოკრატიულმა საზოგადოებამ ქვეყნის პრეზიდენტი დაადანაშაულა და სულ ტყუილუბრალოდ დიქტატორობა დასწამა. ამას გაძლება არ უნდოდა? ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მშვიდად და გულდაჯერებულად იმოქმედა, გარედან თავმოხვეულ რეკომენდაციებს არ აჰყვა, საგანგებო მდგომარეობის შემოღებითა და მედიის დადუმებით ქვეყანაში წესრიგიც აღადგინა და დემოკრატიასაც არაფერი ატკინა.

ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება, — მიმართა ხალხს პრეზიდენტმა, — საქართველოს ველარასოდეს ვერავინ დააჩოქებს, აი ნახავთ, ჩვენი მტრების ჯინაზე სულ მალე ტერიტორიულ მთლიანობასაც აღვადგენთ, ეკონომიკასაც ავაყვავებთ და ნატოს კარსაც დაუბრკოლებლად შევაღებთო. რა მოგახსენოთ, ამ საკითხებში კომპეტენტურობას ვერ დავიჩემებ, მაგრამ რაც იმ ცნობილი ამბების შემდეგ პრეზიდენტის გულაჩუყებულობას მოჰყვა, ვერც იმას დავივიწყებ, ამის დასტურად მარტო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისთვის ხელისუფლების თანადგომა, მისი ავტონომიურობის აღიარება და მეცნიერთათვის გაზრდილი ხელფასების დანიშვნაც კმარა. თუ ამას დავუმატებთ ახლო წარსულში „ჩასარეცხად“ გამზადებულ მეცნიერთა კოჰორტის მთავრობის მრჩევლად გამოცხადების სურვილს, კაცს შეიძლება უეცარი განცვიფრებისგან თვალებიც დაუელმდეს. კიდევ კარგი, ჩვენი მეცნიერები (ხელოვანებიცძ „ხალხის ჯანყის“ შემდეგ ამ უხერხულ პროცესს გადაურჩნენ, თორემ „თინეიჯერი ხელისუფლება“, როგორ ფიქრობთ, „გონს“ (ამ სიტყვას ერთ-ერთმა პარლამენტარმა შემთხვევით ლექსიკონში მიაგნოძ ვის დაესესხებოდა?

ან კიდევ ჩვენი პედაგოგობა? მათ რომ სულსწრაფობა არ გამოეჩინათ, დალოდებოდნენ „საშვიდნოემბრო დღესასწაულს“ და პრეზიდენტის წინასაარჩევნო გულაჩუყებას, ხელფასების მოსამატებლად ამდენი აქცია და ჯახირი ხომ აღარ დასჭირდებოდათ? მაშინ აღარც იმ ცოდვილ ლომაიას მოუწევდა განათლების სფეროში გაუნათლებელ და დაულაგებელ რეფორმებზე ლაქლაქი და მათ გასამაგრებლად სანტექნიკის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.



იჩქარეს ბაზრობებზე მომუშავე წვრილ-წვრილმა მოვაჭრეებმაც, როცა კარზე წარამარა ბრახუნით ქალაქის მერია აიძულეს, თავისუფლების მოედნიდან საბურთალოზე გადაბარგებულიყო. სადაც ამდენი ითმინეს ამ დალოცვილებმა, ცოტაც ეცლიათ პრეზიდენტისთვის და იგი მთლიანად თუ არა, ორი წლით მაინც მოისვრიდა ამ არაერთგზის ნაგინებ, მაგრამ დღემდე ვერშელეულ სალაროაპარატებს.

ყველაზე ჭკვიანები ამ შემთხვევაში ისევ პენსიონერები და პატიმრები აღმოჩნდნენ, მათ, როგორც ჩანს, სხვებზე უკეთ შეისწავლეს პრეზიდენტის გულმოწყალე ხასიათი და ვიდრე თავად არ ათქმევინეს — ამნისტიას და პენსიების გაორმაგებას ვაპირებო, რიგში უჩუმრად დგომა ამჯობინეს.

ერთსაც დავამატებ. როცა პრეზიდენტი გულაჩუყებულია, თურმე ბოკერიების, ნადირაძეების, კირკიტაძეების და სხვათა რჩევას ახლოსაც არ იკარებს და ხალხის სასიკეთო პრობლემებს პირადი ინიციატივით წყვეტს. ასე მოიქცა, მაგალითად, როცა პენსიონერებს დენის, გაზისა და ფქვილის ვაუჩერები ჩამოურიგა, შემდეგ ისიც გაახსენდა, რომ ხანდაზმულები ზამთარში იოლად ცივდებიან და ყოველივე ამას შეშის ვაუჩერიც დაამატა.

ყველაფერი უზომო უყვარს ამ ჩვენს დალოცვილ პრეზიდენტს, მათ შორის თურმე გულაჩუყებულობაც, მით უფრო, თუ ეს გრძნობა არჩევნების წინ მოეძალება. არადა, ისარგებლეთ, ხალხო, მისი სათნოებით, ვიდრე ხასიათზეა, სთხოვეთ რაც გინდათ და რამდენიც გინდათ! ოღონდ არ უნდა დააგვიანოთ, რადგან არავინ იცის, 5 იანვრის შემდეგ რა მოხდება: თუ პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილი აღარ აირჩიეს, ეს საქმე თავისთავად ჩავარდება, ხოლო თუ აირჩიეს, იმ შემთხვევაშიც არაფერი გვეშველება — როგორც ექსპერტი ფსიქოლოგები ვარაუდობენ, პრეზიდენტს მესამე ვადით არჩევამდე თურმე გული საერთოდ აღარ აუჩუყდება.

**ოთარ ხუციშვილი**

⦿ ინფორმაცია

### ქართულ მედიასა და მთავრობას შორის მედიატორად პოლონელები მოგვევლინენ

**საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციურად განწყობილ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის კონფლიქტის მოგვარებას პოლონეთი შეეცდება. ამის შესახებ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსიკმა განაცხადა. მისი ინფორმაციით, ქართულ მედიასა და მთავრობას შორის მოლაპარაკების პროცესში ჩართვა პოლონურ მხარეს აშშ-ის ხელისუფლებამ და ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საკითხებში ხავიერ სოლანამ სთხოვა. ამასთან დაკავშირებით, პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი 23 ნოემბერს საქართველოში ვიზიტს გეგმავს. „საქართველოში საუკეთესო ექსპერტებს გავგზავნით. პოლონურმა ორგანიზაციებმა ერთ დროს უკრაინაში შექმნილი კრიზისის მშვიდობიან გადაწყვეტილებას შეუწყვეს ხელი. სწორედ ასევე დავუჭერთ მხარს საქართველოში ხელისუფლებასთან შექმნილი კონფლიქტის დარეგულირებას“, — განაცხადა სიკორსკიმ. პოლონური მხარის მიერ საქართველოში მივლენილ ექსპერტებს შორის იქნებიან; პოლონეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ბრონისლავ გერემეკი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი თადეუშ მაზოვეცკი და ჟურნალისტი ადამ მიხნიკი.**

ჯი-ეიჩ-ენი

⦿ სამწუხარო რეალობა

## ბატონო მიხეილ, ჩახედეთ ადამიანებს თვალებში!

**საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა გვირჩია, ხალხნო, გაიარეთ თბილისის ქუჩებში, ნახეთ როგორ გალამაზდა ჩვენი ქალაქიო.**

ამ განცხადების შემდეგ გადავწყვიტე რუსთაველის გამზირზე გასვლა, რათა კიდევ ერთხელ მენახა პრეზიდენტის საამაყო ადგილები, ქალაქს ნამდვილად ალამაზებს შადრევანი, მაგრამ სხვა რეალობაზე თვალებს ვერ დახუჭავ — ქუჩაში დაჩოქილი მამაკაცი ხვეწნა-მუდარით ათ თეთრს მთხოვს. გადავდგი კიდევ ხუთი ნაბიჯი და ქართველ მანდილოსანს ხელში ჩვილი უჭირავს და დახმარებას მთხოვს, ეს არა მარტო ამ ქალის, არამედ ყველა ქართველი დედის შეურაცხყოფაა. შადრევნების გაკეთება უფრო მნიშვნელოვანია, თუ ასეთი გაჭირვებული ადამიანების დახმარება? ასეთი ხალხის ნახვის შემდეგ, სამარცხვინოა შადრევნებით სიამაყე.

ჩვენს პრეზიდენტს და ხელისუფლებას დაავიწყდა, რომ ძალაუფლება უკანონო დაპატიმრებებითა და გამოძალული ფულით შადრევნებისა და კარუსელების გაკეთებისთვის კი არ უნდა გამოიყენონ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, გაჭირვებულებს დაეხმარონ, უმუშევარი ხალხი დაასაქმონ და მისცენ ისეთი ანაზღაურება, რომელიც სურსათზე და ტრანსპორტზე დაწესებულ ფასებს აუნაზღაურებთ. ასეთი ვითარება განა მხოლოდ რუსთაველის გამზირზეა? ასე არ არის, თუ მართლა სურს ჩვენს „ტურისტ“ პრეზიდენტს რეალობა დაინახოს, მოიცალოს და გაიროს მეტროსადგურ „ვაგზლის მოედნის“ გადასასვლელში. ჩახედოს იმ ადამიანებს თვალებში, რომლებსაც ლუკმაპურისათვის აკანკალებული ხელი გამოუწვდიათ. მაშინ მიხვდება, თუ რატომ აღარ ბრიყვდება ქართველი ერი, აღარ სჯერათ განცხადებებისა და მიმართვებისა. აქვე აბრაამ ლინკოლნის სიტყვებს გავიხსენებ: **„შეიძლება ხალხის ნაწილი გააბრიყვო სამუდამოდ, შეიძლება გააბრიყვო მთელი ხალხი გარკვეული ხნით, მაგრამ შეუძლებელია მთელი ხალხის გაბრიყვება სამუდამოდ“.**

**მირანდა ფორჩხიძე**

● წამების და სასურველი ჩვენების მიცემაში სამინისტროს ცენტრალურ აპარატს აშკარად გაასწრო თბილისის პოლიციის მთავარმა სამმართველომ. ზემდგომი ინსტიტუტის სხვა მეთოდებს იქ დაუმატეს ცოცხალი დათვი, რომელსაც „ურჩი“ ექვემდებარებული... ლების საკანში უშვებდნენ. მართალია, დაგლეჯვამდე საქმე არ



◎ განსჯა

# «კადრები წყვეტენ ყველაფერს»!

## დავიწყოთ კონსტრუქციული დიალოგი და გავითავისუფლოთ თავი შემთხვევითი პოლიტიკოსებისგან

***დღეს, როდესაც საოცარი ტემპით მიმდინარეობს ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოდერნიზაცია და ადამიანები იწყებენ ახალ დიალოგს სამყაროსთან, ყოველწამიერად დგება კითხვები: რა უნდა შეიცვალოს? როგორ უნდა შეიცვალოს? რატომ უნდა შეიცვალოს? პასუხს ამ კითხვებზე სჭირდება დიდი პროფესიონალიზმი და მაღალი დონის მსოფლმხედველობრივი კულტურა. პარალელურად ქვეყანაში მკვიდრდება დემოკრატიული ცხოვრების წესი, იზრდება ადამიანის უფლებები, ხალხი ხდება უფრო თავისუფალი, აქტიური და ქმედითი. აქედან წინა პლანზე მოდის ზნეობრივ პრინციპთა მნიშვნელობა და ის ფაქტი, რომ მოქმედების კულტურა, პირველ რიგში, ეს არის მე, შენ და ყველა.***

ინდივიდის ინტერესები მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების ინტერესებთან; ზოგჯერ ხდება, რომ ისინი უპირისპირდებიან ერთმანეთს; ამიტომ რაიმე სერიოზული გადაწყვეტილების მიღების წინ კარგია ვიცოდეთ ის, თუ როდის და რა ზომით არის აუცილებელი ჩვენთვის საკუთარ ინტერესებზე უარის თქმა და მსხვერპლის გაღება სხვათა ინტერესებისათვის.

ისტორია მუდმივ ქმნადობაშია. ადამიანი ღიაა სამყაროს მიმართ, იგი სულ ეძებს. ყოველი თაობა ზრუნავს თავისი ეპოქის თეორიული საფუძვლების განახლებაზე და განვითარებაზე, ცდილობს გააუმჯობესოს ის ცოდნითი სისტემა, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და საზოგადოებრივი ყოფის სხვა მთავარ, სასიცოცხლო სფეროებზე. დემოკრატიული წესით ცხოვრება მხოლოდ მაშინ მოუტანს ხალხს სარგებელს, თუ მთელი ყურადღება ქვეყანაში დაეთმობა მეცნიერებისა და კულტურის აყვავების და ჩვენი საზოგადოების სახელმწიფოებრივ ყოფიერებაში ერთად იქნება კონცენტრირებული ყველა სამართლებრივი, ზნეობრივი და სულიერი ძალა ქვეყნის ინტერესების დასაცავად.

ნათქვამია: ადამიანში მეფის მოვალეობას ასრულებს გონება და კიდევ ის, რომ ჭეშმარიტი მეცნიერის სული გაურბის ეგოიზმს. მეცნიერება ისწრაფვის ჭეშმარიტებისაკენ და სძულს ტყუილი; იგი გვიჩვენებს აუცილებლობას და გვასწავლის თვითშეზღუდვას. მეცნიერება არის ის ძალა, რის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს ქვეყანაში საზოგადოებრივი პრაქტიკის რაციონალური მოტივაცია და ჩამოყალიბდეს ხალხში დისციპლინირებული და პროფესიული მოქმედების ისეთი კულტურა, რომ ქვეყანამ შესძლოს გახდეს კონკურენტუნარიანი, არ შეუშინდეს გლობალიზაციას და ისე გონივრულად გადაიაზროს ყოველთვის საკუთარი ისტორიული საზრისი, რომ აუცილებლად დაიცვას და შეინარჩუნოს ამ დროს თავისი თვითმყოფადობა.

„სრულყოფილებისაკენ წაგვიყვანს წესრიგი“, – წერდა გოეთე და ბევრი სხვა დიდი მოაზროვნეც აღნიშნავდა, რომ შეუზღუდავი თავისუფლება დამღუპველია საზოგადოებისთვის. „უბედურება მოაქვს არა პრინციპებს, არამედ პრინციპთა უქონლობას“, – წერდა კანტი და მოუწოდებდა ყველას, რომ საკუთარი ინტერესებისაკენ სწრაფვისას არ დამსგავსებოდნენ ცხოველებს, არ გამოეყენებინათ ბოროტად თავიანთი თავისუფლება და არ გაეხსნათ გზა საერთო კულტურის დამანგრეველი ისეთი მანკიერი თვისებებისთვის, როგორიცაა სიხარბე, შური და სხვადასხვა ეგოისტური კაპრიზი, რაც იწვევს საზოგადოების გახლეჩას, დესტაბილიზაციას და რითაც სუსტდება და ფუნქციას კარგავს სახელმწიფო; იყწება ადამიანის გადაგვარება და კაცს ეუფლება სიბერისადმი შიში მათ გვერდით, ვინც თვითონ გაზარდა.

„თავისუფლება, რომელიც არ არის მოქცეული აუცილებლობის ჩარჩოებში და არ არის გარანტირებული ვალდებულებებით, მოგვაგონებს სარეველა ბალახს“, – წერდა შელინგი. კულტურულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რაში გამოიყენოს თავისი თავისუფლება, განსაზღვროს ამ თავისუფლების საზღვრები, შინაარსი და კარგად გაარკვიოს, რა უნდა, რა შეუძლია და რა ევალება. მან უნდა იგრძნოს თავისი ეპოქის სიახლე, გაითავისოს დროის მოთხოვნები, მოახერხოს დადგეს ყოველგვარ წვრილმან ინტერესებზე მაღლა და დაამყაროს სერიოზული დამოკიდებულება სამყაროსთან.

„ზნეობა – ეს არის იცხოვრო შენი ხალის ინტერესებით“ – წერდა არისტოტელე. ჩვენმა ხალხმა, რომლის ისტორია სავსეა ზნეობრივი გმირობის მაგალითებით, კარგად იცოდა ეს ჭეშმარიტება და საკუთარი სისხლის ფასად იცავდა ყოველთვის თავის ეროვნულ სულს და ეროვნულ ინტერესებს. ზოგადი ფასეულობანი: ერი, სამშობლო, რელიგია, რწმენა და ტრადიცია ასწავლიდა მას პასუხისმგებლობას და აქცევდა აუცილებელ მოქმედებათა სფეროში. ეს იყო სწორედ ის, ხალხის გამაერთიანებელი „ჩვენი“, რაც ჰკრავდა ყველას ერთ მთელად, ჰქმნიდა საზოგადოებას ერთი მიზნით და ერთი რწმენით და შემოჰქონდა ქვეყანაში ყველასთვის ერთნაირად აუცილებელი იმპერატივები და მოთხოვნები.

იხ. 8 გვ.

◎ ყველას თავისი აზრი აქვს

# ფრთხილად, ვაშინგტონის ქვაფენილი მოყინულია!..

***„ვაკეში წყალი არ მოდის, პუტინმა გადაგვიკეტა“; წყნეთში წუხელ მთელი ღამე სინათლე არ გვქონდა, ოო, ეს რუსები“; „გიო თურმე მოსკოვში ყოველ კვირა თავის ვაჟთან რეკავს, ე. ი. რუსების ჯაშუშია“. არცთუ იშვიათად გაიგონებთ ქართული ეკრანიდან თუ პრესის ფურცლებიდან მსგავს იდიოტურ ბრალდებებს და ზოგჯერ მათი ავტორი დეპუტატია ან ე. წ. მეცნიერი თუ ტვინნაღრძობი ჟურნალისტი და ა. შ. ამერიკული გემოვნებითა და ცხოვრების წესით აღფრთოვანებული მავანი საჯაროდ ამტკიცებს, რომ ყველა უბედურება, რაც გვჭირს – შიმშილი, სიცივე, უმუშევრობა, ნგრევა, დაჭერები, მკვლელობები, ყაჩაღური თავდასხმები, მოღალატეობა და სიმრუშე, გაუტანლობა და ჩაშვება-დაბეზღება, შური და სიძულვილი... რუსეთის პრეზიდენტის პუტინისა და მისი აფხაზი თუ ოსი, ჩეჩენი თუ თურქი ამქრების ხელით არის თურმე ჩვენს მიწა-წყალზე „დარგული“ (ჩვენ, ქართველები კი უკლებლივ მამა აბრამის ბატკნები ვართ...ძ...***

რომ არა რუსეთი, აფხაზეთს ხუთ წუთში დავიბრუნებდითო, ვამბობთ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამერიკის წადილით. რომ არა რუსეთი, დიდი ხანია კოკოითის გიჟურ გეგმებს ბოლოს მოვუღებდითო, – რა თქმა უნდა, აქაც მხოლოდ ამერიკა იქნებოდაო ჩვენი წინამძღოლი... ვტრაბახობთ და ვტრაბახობთ, ვაგინებთ და ვაგინებთ ხმამაღლა მეზობელ მტერს, რომელიც საპასუხოდ ბომბებით გვიმასპინძლდება, აფხაზეთისა და ოსეთის წართმევით გვემუქრება, ევროპაში პროვოკატორობას გვაბრალებს და თავს გვჭრის – ვერაფერს გვშველის ჩვენგან გალმერთებული ამერიკა, მხოლოდ გვირჩევს, თავად მოვნახოთ საერთო ჩრდილოეთელ მეზობელთან.

მოკლედ და კონკრეტულად, უკვე სასაცილო მდგომარეობაში ვართ. ხომ არ ჯობს, ყველა წვრილმანსა თუ მსხვილმანზე რუსეთს არ მივახტეთ, ყველაფერი მას არ დავაბრალოთ, მაშინ მაინც, როცა ბრალდება შავ ნაჭერზე თეთრი ძაფითაა დაგვირისტებული? ან რა უნდა პოლიტიკაში იმას, ვინც თავისი ქვეყნის ისტორია არ იცის? კი, მაგრამ რუსეთის ღვარძლიანი დამოკიდებულება საქართველოსადმი ახალი ამბავია? თუკი საბჭოთა პერიოდს ბოლო წლებში ამ ურთიერთობამ ერთგვარად შეფარვითი ხასიათი მიიღო, ეს იმიტომ, რომ საქართველო თითქმის შერწყმული იყო რუსეთს... როცა რესპუბლიკებმა გაიწ-გამოიწიეს და საქართველომაც დამოუკიდებლობა დააპირა, რატომ ველოდით, რომ რუსეთი ტაშს დაგვიკრავდა და გზას დაგვილოცავდა „ნატოსკენ“.

სულელი უნდა იყოს ადამიანი, რომ იფიქროს, მსოფლიოში ულამაზეს კუთხეს (ეს არ არის გადაჭარბებული შეფასებაძ აფხაზეთს, პუტინის ქვეყანა უსისხლოდ დაგვითმობს. არა, ჩემო კარგებო. ასეთებთან „დიალოგი“ ყავლგასული პოლიტიკოსების თავშესაფარია. მოდით, დავთვალოთ – ომის დამთავრების შემდეგ 15 წლის განმავლობაში აფხაზეთში (კერძოდ, გალშიძ რამდენი ქართველი დაიღუპა – ააფეთქეს და დახვრიტეს, რამდენი ოჯახი გაძარცვეს თუ დაწვეს, რამდენი ახალგაზრდა დილეგში ჩაყარეს, გააუპატიურეს, გაიტაცეს... ეს მაშინ, როცა ე. წ. დიალოგი მიმდინარეობს...

ნუ მოვიტყუებთ თავს და ნურც ოპონენტის თუ მტრის მოტყუებას შევეცდებით. ყველაფერი ნათელია: ამერიკა ისეთივე დამპყრობელია, როგორიც რუსეთი. გაიხედ-გამოიხედეთ, მას შემდეგ, რაც ჩვენ შეერთებული შტატების „ვასალები“ გავხდით, უკეთესად ვცხოვრობთ თუ უარესად? რა თქმა უნდა, უარესად და ყველაფერ ამას ჩვენ ერთად ვადევნებთ თვალს, ამერიკამ ჩვენი ქვეყნის მხოლოდ 5 პროცენტს მისცა ფუფუნების „ვაუჩერი“, დანარჩენს სილატაკე და სიბერავე უბოძა. ამერიკამ ვერც რუსეთი შეაშინა, გვირჩევს, თქვენ, ქართველებმა, მოაწესრიგეთ ჩრდილოეთ მეზობელთან ურთიერთობაო; ასე იქნება კვლავაც. ჩემთვის პირადად დიდი ხანია, კარგად ცნობილია, რომ ორივე ქვეყანა „დამპყრობელია“, თუმცა სხვადასხვა „ფოკუსიდან“... ამერიკის შეერთებული შტატები თავის ტერიტორიაზე, თავისი ხალხისთვის მართლაც ძალზე დემოკრატიულია, მაგრამ ჰკითხეთ იაპონელებს, ვიეტნამელებს, ავღანელებს, ავღანელებს, იუგოსლავიელებს, ერაყელებს, ირანელებს... დაბოლოს, ქართველებს, რა აზრისა არიან ამერიკულ დემოკრატიაზე და ხომ არ დამთავრდა იგი თომას ჯეფერსონის „სულის ამოხდომამდე“.

ამაში სადავო რომ არაფერი იყოს, მინდა ვურჩიო ბუშსა და მის კამპანიაზე გიჟურად შეყვარებულთ, წაიკითხონ სულ ახლახან ინგლისურიდან ქართულად თარგმნილი ამერიკელი მდიდარი მოქალაქის ჯონ პერკინსის თავგადასავალი, რომელსაც „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“ ჰქვია, და რომლის მთავარი გმირი სწორედ რომ ამერიკაა – „მკვლელი ამერიკა“ (წიგნი ძალიან მცირე ტირაჟითაა გამოსული, მაგრამ მსურველი წაკითხვას მოახერხებსძ.

ვფიქრობ, ჩვენთვის მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რას ფიქრობენ ქართველები ამერიკაზე და ქართველთა ამერიკული ცხოვრების წესზე. ასევე რა შეფასებას აძლევენ ჩვენებურები რუსებთან ურთიერთობას, რომელი ქვეყნისადმი გამოხატავენ მეტ სიმპათიებს თუკი შევადარებთ (და ვირწმუნებთძ 2003 წლის მარტისა და 2007 წლის აგვისტოს სოციოლოგიურ გამოკითხვას სამეგრელოს სამი ქალაქის (ფოთი, სენაკი, ზუგდიდიძ და ქ. თბილისის მცხოვრებლებისას, მდგომარეობა ამერიკელთათვის ფრიად დამაფიქრებელი და არასასიამოვნოა, თუკი 2003 წ. ათასი რესპონდენტიდან ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქართველოს მეგობრობას 780 ადამიანი მიესალმებოდა – წლეულს, აგვისტოში ეს რიცხვი კატასტროფულად შემცირდა და 280-მდე დაეცა. სამაგიეროდ ძალიან გაიზარდა რუსეთისადმი ქართველთა სიმპათიები, ვფიქრობ, რომ მოქალაქეების პუტინის ხელისუფლებისაკენ ასეთი შემობრუნება საქართველოს ხელისუფლების მცდარმა პოლიტიკამ განაპირობა.

**ქართველთა მიერ ამერიკელებისადმი ასეთი გაუცხოება ამტკიცებს, რომ ჩვენმა „ამერიკული მიმართულების“ ხელისუფლებამ თავისი ანტიხალხური პოლიტიკით სახელი გაუტეხა საქართველოში თავად აშშ-ს. ამიტომაც ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია აშკარად ცდილობს მიხეილ სააკაშვილის მოცილებას და შვიდი ნოემბრის მოვლენების შემდეგ ეს განწყობა განსაკუთრებით იგრძნობა. ასე რომ, შეერთებული შტატების შვილობილებო, „სოროსოვიჩებო“ გიგა, ლევან, გიგი, გივი... ფრთხილად, ვაშინგტონის ქვაფენილი „მოყინულია“, ფეხი არ დაგიცდეთ!..**

**კლარა აბრამია**

● ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულიად აღმოფხვრათ ჩვენ შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთ დიდებულს დენას შეერთებულის მთელისას



## ◎ ინფორმაცია

### „გაგვაგებინეთ რისთვის დაგვხურეთ!“

რადიო „იმედის“ ხელმძღვანელობა გენერალურ პროკურატურას მიმართავს და მაუწყებლობის შეწყვეტასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყებას მოითხოვს.

როგორც რადიო „იმედის“ ადვოკატმა შალვა შავგულიძემ განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფ ორგანიზაციას ამდრომდე არ მიუღია რაიმე სამართლებრივი აქტი, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა რადიო-მაუწყებლობის შეჩერება.

ადვოკატის თქმით, რადიო „იმედის“ ხელმძღვანელობა გენერალურ პროკურატურასთან ერთად მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას, რათა დაუყოვნებლივ აღდგეს რადიო „იმედის“ მაუწყებლობა, ან წარმოადგინონ ამკრძალავი სამართლებრივი აქტი.

„ის აქტი, რომელიც მიიღო ტელეკომპანია „იმედმა„ აბსოლუტურად არ ეხება რადიო.

### „იმედს“ ალბათ არჩევნების დღეს ჩართავენ

საერთაშორისო ასოციაცია „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ საქართველოს ხელისუფლებას ტელეკომპანია „იმედის“ მაუწყებლობის აღდგენისკენ მოუწოდებს. საერთაშსორისო ასოციაციის ინტერნეტ გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ტელეკომპანია „იმედი“ ყველაზე პოპულარულია სამ ქართულ კერძო არხს შორის. ასოციაცია ასევე მიიჩნევს, რომ საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამ ქვეყანაში მასმედიაზე დაწესებული შეზღუდვები ვერ მოხსნა.

ტელეკომპანია „იმედში“ შიშობენ, რომ აღნიშნული ტელევიზიის გახსნა მხოლოდსაქართველოში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების დღეს მოხდება“, – ნათქვამია განცხადებაში.

### მედიაზე ყველა შეზღუდვა უნდა მოიხსნას!

ევროკავშირი საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას მიესალმება, თუმცა აცხადებს, რომ მედიაზე ყველა შეზღუდვა უნდა მოიხსნას.

ევროკავშირის პოზიციის შესახებ საქართველოში საფრანგეთის საელჩოდან იტყობინებიან.

– რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა პოზიტიური მოვლენაა. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დემოკრატიული, თავისუფალი და გამჭირვალე არჩევნები. მივესალმებით იმ ფაქტს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არჩევნებში დამკვირვებლად საერთაშორისო საზოგადოება მიიწვია, – ნათქვამია ევროკავშირის განცხადებაში.

ევროკავშირი საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გაგრძელებასა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებაში მხარდაჭერას უცხადებს და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას კიდევ ერთხელ აღიარებს.

ინტერპრესნიუსი
ხი-ემ-ენი

## ◎ განსჯა

# «კადრები წყვეტენ ყველაფერს»

**(მეშვიდე გვერდიდან)**

„თანასწორობა“ – ეს არის ადამიანის მიერ საზოგადოების წევრად თავისი თავის გაცნობიერება, ანუ ქვეყნის ზოგადი ფასეულობების აღიარება, მათი დაცვის ვალდებულება და მათ საზღვრებში ცხოვრების სურვილი. „იქონიე ვაჟკაცობა იარსებო მთელში“ – წერდა გოეთე და მოუწოდებდა ამით ყველას, ჰქონოდათ უნარი სიყვარულისა და მსხვერპლის გაღების და რწმენა კიდევ იმისა, რომ არ არსებობს ინდივიდისათვის ცხოვრებაში უკეთესი გზა, ვიდრე ის, რომ თავისი საქმიანობით მიმართული იყოს იგი ყოველთვის თავისი ქვეყნის გაძლიერებაზე და სრულყოფაზე. ზრუნვა საზოგადოებრივ მთელზე, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს უარს ინდივიდუალურ თავისუფლებაზე. ქვეყანა უნდა იმართებოდეს კანონით, მეცნიერებით და ეროვნული ინტერესებით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ პროგრესი – ეს არის ინდივიდუალური აქტივობა და ინდივიდუალური შემოქმედება და რომ თავისუფლება ადამიანმა უნდა გამოიყენოს არსებული რეალობის კვლევის, ანალიზისა და შეცვლის მიზნით, განვითარებისა და პროგრესისათვის.

**საზოგადოება, როგორც წესი, ახდენს ინდივიდის ფორმირებას, მაგრამ, თავის მხრივ, ინდივიდები ინარჩუნებენ, ავითარებენ და ჰქმნიან საზოგადოებას. ამიტომ საზოგადოების ყოველმა წევრმა უნდა იცოდეს თავისი უფლებები და მოვალეობები. ყველაზე მეტი სარგებელი კი საზოგადოებას შეუძლია მოუტანონ იმ პირებმა, რომელთაც ექნებათ ვაჟკაცობა დაანგრიონ ძველი, თუ ხედავენ, რომ ეს საჭიროა და აუცილებელი და არ შეეშინდებათ შემოიტანონ ცხოვრებაში ახალი მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა სხვების მხრიდან. ისინი არასოდეს არ წამოეგებიან პოპულიზმზე და შეიკავებენ ყოველთვის თავს ნებისმიერი ზერელე და გაუაზრებელი ნოვატორული ქმედებებისაგან.**

პროფესიონალთა გადამწყვეტი როლი პრობლემათა გადაჭრის საქმეში მიგვითითებს იმაზე, თუ რაოდენ საშიშია ქვეყნისათვის არაპროფესიონალთა აქტივობა და უპასუხისმგებლო თარეში. ხალხი დაიღალა უამრავ პარტიათა ერთმანეთში კინკლაობით და ერთმანეთის ლანძღვის მოსმენით. საზოგადოებისათვის სულერთია უკვე დღეს თუ „ვინ“ ამბობს, მას აინტერესებს მხოლოდ ის, თუ „რას“ ამბობს და რამდენად ღირებულია და პროფესიულად გააზრებული ესა თუ ის ნათქვამი.

ეპოქა ითხოვს ადამიანთა არსებობის პირობების რაციონალიზაციას; ამ დროს ადამიანთა თანამშრომლობაში უმნიშვნელო დონემდე დადის მეტოქეობა, ღვარძლი და ცინიზმი. კარგად არგუმენტირებული მეცნიერული აზრის შემთხვევაში სულერთია, მაგალითად, ის, თუ რომელი პარტია წამოაყენებს მას; მთავარია მხოლოდ არ შეიზღუდოს თავისუფალი აზროვნება და არ მოისპოს კონსტრუქციული დიალოგის პირობები; მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ისპობა სწორედ ეს, ღია საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი პირობა: **დემოკრატია და თავისუფალი აზროვნება, და სრულიად იგნორირებულია ის მთავარი და მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ვერავითარი ღია საზოგადოება ვერ იარსებებს ჰუმანიზმის, რაციონალიზმისა და თავისუფალი, კრიტიკული თეორიული აზრის გარეშე.**

დღეს, მსოფლიო მასშტაბით, ყურადღება გადატანილია გამოყენებით ცოდნაზე, გაიზარდა და მომავალში კიდევ უფრო მეტად გაიზრდება კომუნიკაციურ სისტემათა მნიშვნელობა, ცხოვრებაში შემოვიდა ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის ახალი ტექნოლოგიები, სულ უფრო და უფრო ფართოდ ინერგება პროგრამული მართვა და ყოველივე ამასთან დაკავშირებით ეპოქა ითხოვს თვისებრივად ახალ კადრებს. აქედან გამომდინარე, ყველა წამყვან ქვეყანაში დადგა საბუნებისმეტყველო და მათემატიკურ დარგთა განვითარების პრობლემა. ძალიან უცნაურია, მაგრამ ჩვენში განვითარების ნაცვლად ხელოვნურად ისპობა და ნადგურდება წლების მანძილზე ამ დარგებში მიღწეული შედეგები და ტრადიცია.

დრო გვთხოვს გავხდეთ რაც შეიძლება მეტად კონკურენტუნარიანნი, ვისწავლოთ კარგი პარტნიორობა, არასოდეს არ ჩავყოთ ცხვირი იქ, სადაც ჩვენი საქმე არ არის და ასევე არ ჩავაყოფინოთ ჩვენს საქმეში ცხვირი იმას, ვისაც იქ არაფერი ესაქმება. ბუნება კეთილგანწყობილია მის მიმართ, ვინც მივა მასთან გონებით, ზნეობით და სილამაზის განცდით. მთავარი აზრი ცხოვრებისა არის იაზროვნო და შეიგნო და კიდევ შეძლო ახალ ფასეულობებზე გადასვლა ყოველთვის, როდესაც ეს საჭიროა და აუცილებელი.

მაგრამ ამგვარი ტიპის აზროვნება მოითხოვს ორი კულტურის (საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულის) მჭიდრო კავშირს და მთელი ინფორმაციული სპექტრის ისეთ ინტეგრირებას, როდესაც მეცნიერება ერწყმის ხელოვნებას; ანუ სამყაროსთან ახალი, სერიოზული კონტაქტისათვის ერთნაირად საჭიროა როგორც საგანთა და მოვლენათა მეცნიერულ დონეზე ცოდნა და ანალიზი, ასევე თანამედროვე ეთიკურ და ესთეტიკურ ფენომენთა შესაბამისი აღქმა და შეფასება. აქედან, ახალი კადრებისათვის აუცილებელია მიეჩვიონ არა მხოლოდ პასუხების ძიებას კითხვაზე: რა? რა? და კიდევ რა? ანუ არა მარტო შესძლონ ცოდნის გაფართოება და გავრცელება, არამედ შეიმუშაონ აგრეთვე ახალი სამოქმედო პრინციპები ცხოვრებაში და გაარკვიონ ის, თუ რაში და როგორ შეიძლება გამოიყენონ პრაქტიკულად ესა თუ ის მეცნიერული მიღწევა და აღმოჩენა.

ამასთან დაკავშირებით წინა პლანზე წამოვიდა ფილოსოფიის პრაქტიკული გამოყენებადობის პრობლემა და ყურადღების ცენტრში დადგა მისი, როგორც კაცობრიობის არქონტის როლი; ხაზი გაესვა ისევ იმ ფაქტს, რომ ყოველთვის, როდესაც ხდება რევოლუციური ცვლილებები და გარდაქმნები, ფილოსოფია, როგორც მსოფლმხედველობრივი საყრდენი და ორიენტირი იძენს უდიდეს მნიშვნელობას სოციალურ სამყაროში. ამის გამო ნიცშე ფილოსოფიას უწოდებდა კულტურის მკურნალს; იგი თვლიდა, რომ ფილოსოფია ეხმარება ადამიანს ახალი ეპოქის თვისებრივი სიახლეების გააზრებაში, ახდენს ძველის და ახლის საფუძვლიან შედარებას და შეფასებას და იცავს კაცობრიობას პათოლოგიური გადახრებისაგან.

თავის დროზე ჰეგელი წერდა, რომ ფილოსოფია არის საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა, მისი სულიერი გამოხატულება და კვინტესენცია. ფილოსოფიური განათლება ეხმარება ინდივიდს მთელი მისი ინტელექტუალური პოტენციალის მობილიზაციაში და მიმდინარე მოვლენების სიღრმისეულ კრიტიკულ შეფასებაში. იგი მოქმედებს ინდივიდის პიროვნული ფორმირებაზე და ავითარებს მასში არა მხოლოდ ინტელექტს, არამედ ზნეობრივ მხარესაც. ადამიანი კი იმდენად არის ადამიანი, რამდენადაც შეუძლია მას გაართვას თავი ცხოვრებისეულ პრობლემებს, მიილოს გადაწყვეტილება და გააკეთოს სწორი არჩევანი.

სამყარო რთულია და წინააღმდეგობებითაა სავსე, მაგრამ მასში არსებობს ჰარმონია და წესრიგი და ამიტომაც გონება არის ყველაზე საიმედო ორიენტირი ადამიანისათვის ცხოვრებაში. დღეს განსაკუთრებით გვჭირდება ისეთი კადრები, რომელთაც ექნებათ ფილოსოფიურად მომზადებული კრიტიკული ცნობიერება და შეეძლებათ შეიმუშაონ ღია სამყაროში და ღია საზოგადოებაში დემოკრატიული წესით არსებობის მეთოდოლოგია.

„კადრები წყვეტენ ყველაფერს“ – წერდა იოსებ ჯუღაშვილი და ამით გვეუბნებოდა, რომ არაპროფესიონალები ვერასოდეს ვერ დაადგენენ ჭეშმარიტებას. „ყოველთვის, როდესაც გარემოებანი აღმოჩნდება უფრო ძლიერი, ვიდრე ჩვენ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვართ სუსტნი გარემოებებზე“ – ამბობდა იგი და მოუწოდებდა ყველას ეზრუნათ თავიანთი თავის გაძლიერებაზე. ქვეყანას გადაარჩენს პროფესიონალიზმი, ზნეობა და დისციპლინა. საზოგადოების არსებობის ისეთი პოლიტიკური ფორმისათვის კი, როგორიცაა დემოკრატია, ყველაზე აუცილებელი მოთხოვნაა მაღალი თვითშეგნება და ცოდნა აგრეთვე იმისა, რომ ხალხი კი არ არსებობს სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის, არამედ სახელმწიფოა ვალდებული უზრუნველყოს ხალხის კეთილდღეობა.

გ. სპენსერი წერდა: „ადამიანთა შეცდომათა შორის ყველაზე უარესი არის ის, რომ რომელიმე ხელობის, მაგალითად, მეჩექმის სპეციალობის დაუფლებისათვის აუცილებლადაა მიჩნეული ხანგრძლივი სწავლება, ხოლო ერთადერთი საქმე, რომელიც არ საჭიროებს არავითარ მომზადებას, – ესაა მთელი ხალხისათვის კანონების შექმნის ხელოვნება“. მ. ბულგაკოვთან კი ვკითხულობთ: „არეულობა ქვეყანაში იწყება მაშინ, როდესაც დიდი თეატრის სოლისტი მოვა ჩვენს სახლში დამლაგებლად, ხოლო ჩვენი სახლის დამლაგებელი დაიკავებს სოლისტის ადგილს დიდ თეატრში“. ყველამ უნდა იპოვოს თავისი ადგილი ცხოვრებაში; ანუ აკეთოს ის, რისთვისაც გააჩინა იგი ღმერთმა ქვეყანაზე და რაც მან თვითონ ყველაზე კარგად შეისწავლა. კაცმა უნდა შემოსაზღვროს თავისი სურვილები და არასოდეს გამოიყენოს ბოროტად ძალაუფლება; წინააღმდეგ შემთხვევაში, არ დასრულდება ეს საშინელი კინკლაობა და გაუთავებელი იქნება პარტიებს შორის ომი.

მ. ვებერი პრინციპულად ანსხვავებდა ერთმანეთისაგან „შემთხვევით პოლიტიკოსებს“ და „მოწოდებით პოლიტიკოსებს“ და განსაკუთრებით უსმევდა კიდევ ხაზს პოლიტიკისა და ეთიკის კავშირის აუცილებლობას. ეთიკა საჭიროა ყველასათვის, მაგრამ დღეს ასევე აუცილებელია გავითავისუფლოთ თავი შემთხვევითი პოლიტიკოსებისაგან; დროა დავიწყოთ ყველა სფეროში კონსტრუქციული დიალოგი და გამოვიყენოთ დემოკრატია და თავისუფლება საზოგადოების განვითარებისა და პროგრესისათვის.

„ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასთვის? ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულიად აღმოვფხრათ ჩვენ შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთ დიდებულს დენას შეერთებულის მთელისას“, – წერდა ილია და მას დაუნდობლად ესროლეს ტყვია ამ აზრისათვის. მას შემდეგ დაგვრჩა ღია ჭრილობა, ძლიერი ტკივილი და გამუდმებული ნატვრა იმისა, რომ იქნებ როგორმე შევძლოთ და ყველამ ერთად გავაკეთოთ რაიმე კარგი ქვეყნისათვის; **იქნებ არ მოვსპოთ ჩვენი მეცნიერება, ჩვენი ხელოვნება და სამყაროს ეს ჩვენეული უნივერსალური და ტრადიციული აღქმა გამოვიყენოთ კერძო პრობლემების გადასაჭრელად. მხოლოდ ასე არ შეგვეშინდება გლობალიზაციის და ვიპოვით მსოფლიო კულტურაში ღირსეული ინტეგრაციის გზასაც. გადავირჩინოთ თავი, გავერთიანდეთ ერთი მიზნით და გავჩერდეთ უფსკრულის პირას.**

**გილდა სიხარულიძე**

№ 228. ოთხშაბათი, 21 ნოემბერი, 2007 წელი.

# წუთისოფელი

● ზვიადს, როგორც გაავრცელეს, აჭარის ხელმძღვანელად, რატომღაც თითქოს, ასლან აბაშიძე არ უნდოდა, მაგრამ თითქოს თემურ ქორიძის დაჟინებული რჩევითა და შუადგომით, მაინც დათანხმებულა



## ◎ გულწრფელი წიგნი

თანამგრძობი თვალი მომავლო ჭაბუამ. შევატყვე, — გაჯავრდა გვერდწითელზე, რომელსაც არათუ გვერდი, იმწამას შუბლიც შეუწითლდა.

**29.02.80**

თბილისიდან ჩამოფრინდა თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრი (ეჯევითის მთავრობაშიძ ხასან გიუნეში-ბოლქვაძე. თხილვანაში წამიყვანეთო (მისი წინაპრის სოფელიძ. ავედით. ბაბუამისის საფლავი მოაძებნინა. მიწა აიღო, ჯერ ერთ ცელოფანში, მერე მეორეში (ბაბამ დამიბარა და მის საფლავსნა დავაყარონაოძ. მეორე — ვისთვის? ჩემთვისნა შევნახონაო (აი, ასე მითხრაძ.

**08.04.80**

ქუთაისი. კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალგაწყობილ-გალამაზებულ ბინას მივადექით მე და თუნთული.

დაკაკუნება და, ლოგინიდან ახალწამომდგარი, კოწია, ნიფხავ-პერანგში გვიღებს კარს. მოღუშულ-გამოუძინებელია თითქოს. კარგა გვაკვირდება. გვიცნო თუ არა, სულ შეიცვალა. მოიბოდიშა. შევარდა, რაღაც ფალაზი ხალათად მოიხურა. მაკა ბაზარშიაო. მოდით, მალე მოვაო. მოვიდა სიძეზე ასაკით უმცროსი სიმამრი. დატვირთული ხორაგით და ღვინით. აღარ გაგვიშვეს.

**11.07.08**

ჩემთან, კავშირში იბრაიმ გორაძეა. ფერწართმეული, ნაღვლიანი, ნამტირალევი. ვერაფერს სასიხარულოს ვერ გეტყვიო.

ხუთ ივლისს, ბურსაში მოკლეს ახმედ მელაშვილი. დეპეშა



ფრიდონ ხალვაშის ნათლობა.

ყოფილა თბილისში, საზოგადოებაში (გიგინეიშვილთანძ, ფრა-დან, ილია ხიმშიაშვილისგანო.

**23.07.80**

წავიდა ლადო გუდიაშვილიც. ამ დილით რადიოში განაცხადეს. ნუგეშად ერთი კრებული — „ნუგეში" დამრჩა, მისი მოხატული. ის კრებული ამიტომაა ძვირფასი.

### „ცვალებადი დრო" იცვლება

რამდენი იმპერია მოხუცებულა, დაჩანაკებულა, დაშლი-

ლა, დანგრეულა, ესე იგი, მომკვდარა. ზოგი მათგანი ას, ორას და ათასზე მეტ წელიწადსაც არსებობდა. მაგრამ ბოლოს მისი ბოლოც დამდგარა. ჩვენი, — სსრკ-ა, კი თავისი საკუთარი უსუსურობით, დამახინჯებული, ანუ თავისი უკანონო კანონების შედეგად დახორხოლდა. იგი უნიჭოების ხელში ჩავარდა.

დაგვენგრა! ამდენი ხალხის ერთად ყოფნამ ვერ იხეირა. ხოლო, მერე, ჩვენ ჩვენად, გამოცალკევებისკენ წაწეულები, რუსმა „უფროსმა ძმამ" მიგვატოვა, ხელიც შეგვიშალა ბევრნაირად, ჩვენი წილიც წაგვართვა, წაილო.

ბრიტანეთმა ამაშიც აჯობა რუსეთს — თავის კოლონია-დომინიონებს თავადვე დაეხმარა დამოუკიდებლობის დაუფლებაში.

საქართველოსნაირ მიწაწყალს გამოცდილი, ქურაში მოდუღებული ჭკუისა და უნარის კაცი მოუხდებოდა. საბჭოთა სისტემის ინერციებს ნელნელა, სიფრთხილით უნდა განვრიდებოდით. ჩვენმა ლიდერებმა მხოლოდ კრემლის და რუსეთის გინებით ინდომეს ახლის აწყობა. სინამდვილეში, ჩვენივე წინდაუხედაობით ავიტეხეთ ისეთი კონფლიქტები, რასაც რუსეთის გარეშე გადაწყვეტა არ უწერია.

ოთხმოცდაათის გაზაფხულის მიწურულს, მოფამფალე ქართული ცეკადან (მგონი ზვიადის

„მრგვალი მაგიდასთან" შეთანხმებითძ ვილაცამ აჭარის ასევე მოფამფალე ოლქკომს წინადადება მისცა, — მოეწვიათ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია და თავმჯდომარის მოვალეობის შამსრულებლად ასლან აბაშიძე აერჩიათ. სესიის გაძღოლა დამევალა მეც (პრეზიდიუმის თავმჯდომარე, დავით დიასამიძე, გარდაცვლილი იყო, ხოლო მოადგილედ მე ვითვლებოდიძ.

პრეზიდიუმის ძველი, საბჭოურჟამინდელი წევრები ვიჯექით ზემოთ, ტრიბუნის მახლობლად. ვატყობდით, აწინდელი პრეზიდიუმი და მისი თავმჯდომარე, ახალი სიტუაციის შესაბამისად, ალბათ, ავტონომიის ფაქტობრივი მმართველი ორგანო უნდა ყოფილიყო.

სხდომის დასასრულს, როგორც წინასწარ მაცოდინეს, უფლებამოსილება ძველი პრეზიდიუმისა მოხსნილად უნდა გამომეცხადებინა.

ასლანი დარბაზში იჯდა. იგი შეძლებისდაგვარად, დინჯად ათვალიერებდა ირგვლივმყოფთ და ყურადღებით უსმენდა სხდომის მიმდინარეობას. მის თვალებში ახლო მომავალზე ფიქრის ფორიაქები და უკვე განალდებული პირველკაცობის თვითკმაყოფილება თუ ამაღლებულობის იდუმალი ფერისცვალებანი ათამაშებულიყვნენ.

მე ხშირად ვაკვირდებოდი მას. მე, ჩემთვის ჩუმად, სიამოვნებას მგვრიდა იმ დღის გაძღოლა რომ მერგო, მას კი, საკვირველია, პირიქით, მგონი, სწორედ ეს არ მოსწონდა.

როცა თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურა დავასახელე, დაწერილ ტექსტს თვალი მოვწყვიტე და ჩემი პირადი აზრის გახმაურება საჭიროდ ჩავთვალე. მე ვთქვი: — მიხარია, მეგობრებო, რომ დღეს, ჩვენი უძველესი ქართული კუთხის ხელმძღვანელად ქართული მწერლობისა და ისტორიის დიდი კაცის,

მემედ აბაშიძის პირდაპირ შთამომავალს ვასახელებთ, რომელიც, დარწმუნებული ვარ, სწორი და ღირსეული ეროვნული გზით წაიყვანს აჭარას. როცა ეს ვთქვი, თვალი დარბაზისკენ გავაპარე, — ასლანი რატომღაც სულ სხვაგან იცქირებოდა. თითქოს ჩემი განცხადება ან ვერ მოისმინა, ან არაფრად თუ რიტორიკად მიიჩნია.

არადა, რაც იქ ვთქვი (კუთხის ჭეშმარიტი ქართული ეროვნული გზით წარმართვაძ შემდეგში, მოვლენათა რთულ და სამწუხარო ატეხილობებში, მართლაც მთვარ ჭირვეულ პიროვნებად ჩაგვეზარდა.

**ფრიდონ ხალვაში**

# ომარი

**დოკუმენტური მოთხრობა**



თანდათან მოიშალა და აირია ყველაფერი. გახშირდა მიტინგები, იყო დაპირისპირებები, შეურაცხმყოფელი სიტყვიერი შეხლა-შემოხლები, ლანძღვა, გინება, ჩაშვება, ღალატი (ღალატებით ხომ ჩვენი ისტორია მდიდარიაძ.

მალე, საქართველოს მოკავშირე რესპუბლიკათაგან ერთმა პირველთაგანმა, დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ზვიადს, როგორც გაავრცელეს, აჭარის ხელმძღვანელად, რატომღაც თითქოს, ასლან აბაშიძე არ უნდოდა, მაგრამ თითქოს თემურ ქორიძის დაჟინებული რჩევითა და შუადგომით, მაინც დათანხმებულა.

მახსოვს, ზვიადი, თავის პირველ პრეზიდენტურ დღეებში, ერთხელ, დიდი ზარზეიმით ბათუმის თეატრში შეხვედრაზე მოიყვანეს.

კარებში შევდიოდით, როცა დაცვის ბიჭები შემოცვივდნენ, გაგვწი-გამოგვწიეს, კედლებს მიგვაკრეს. ზვიადი პატიმარივით მოჰყავდათ, აქეთ-იქიდან მხრებში ამოხუტებულებს. ჩავლისას თვალი მომკრა. მოსალმებას არც ცდილა, ვერ მოასწრო. თეატრი გაჭედილია, სიტყვები ადგილებიდანაც ქუხს. სცენაზე ასლანთან და თავის მხლებლებთან ერთად ავიდა (ასლანი იმ საღამოს ზვიადს, ახლა უკვე დამოუკიდებლობის ვითარებაში, უნდა აერჩია ერთადერთი ავტონომიის თავკაცადძ. ვხედავ, დარბაზიდან სცენაზე აიჭრა ამირან გოგიტიძე (დედაჩემის ძმისშვილიძ მიაყვირა, — ზვიადს, ჩვენ, ხალხი, შენთან ვართ! გვიყვარხარ! სისხლს დავღვრით, თუ ვინმემ თქვენს წინააღმდეგ რაიმე გაბედაო. წამოდგა ზვიადი, გადაეხვია და გვერდით მოისვა.

ერთხელ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" პირველ გვერდზე ჩემი მოზრდილი წერილი — „საით იყურება აჭარა" გამოქვეყნდა, რითაც იმ ხანად აჭარელთა მიმართ გავრცელებულ სისულელეებს პასუხი გავეცი (ჩემს თანაკუთხელებს ხშირად თურქეთისკენ ლტოლვა-სწრაფვაში დებდნენ ბრალს. თუმცა სარფის კარი როგორც კი გაიღო, მაშინვე კარგად გამოჩნდა, ვინ უფრო დაინტერესებული ყოფილა იქითურობაში მოხვედრით).

ამიტომ დღეს მე დარწმუნებით ვამბობ: ამ წლების განმავლობაში იშვიათად გამიგონია, სახელდობრ, აჭარიდან თურქეთში არათუ მუდმივ საცხოვრებლად, ხანგრძლივ სამუშაოდაც კი ვინმე გადასულიყო.

წერილში რუსეთთან ჩვენი მაშინდელი ურთიერთობის ასლანისებურად გაგებაწარმართვა მგონი მოწონებულია. აჭარა დედა-საქართველოსთან ხომ რუსულმა იარაღმა დააბრუნა. გავიმეორებ: რუსეთმა, რა თქმა უნდა, თავისი იმპერია გაიფართოვა, მაგრამ საბოლოო ჯამში სწორედ ამის შედეგად ხომ ჩვენ ბოლოს ისტორიულ დედულ-მამულთან ერთად აღმოვჩნდით, ამიტომ, თუ აჭარელი რუსეთს ამისთვის ემადლიერება, ეს უნდა იყოს ყოველი ქართველისათვის.

ქართულ-რუსული ურთიერთობის დღევანდელი მდგომარეობა კი სრულიად სხვაა. ასლანის ამჟამინდელი მიდგომა აღარ გამოდგება. მაგრამ, მაინც, მთლიანად რუსეთს მტრული არ უნდა ვუწოდოთ, მტრული გამოხდომები ხშირია ხელისუფლების და დუმის ცალკეულ ქართველმოძულე პოლიტიკოსთა მხრიდან. ამას კი სხვანაირი სიდინჯით და ჭკუით უნდა გაეპასუხოს ჩვენებური კაცი. ერთხელ, პარლამენტში ყოფნისას, კანონმდებლებს მოვუწოდე" — რუსეთი იმდენად გვჭირდება ჩვენ, ბევრი იქაურის ბრიყვული, ერიყლაპიური ბილწსიტყვაობანი მოვითმინოთ და, იქნებ, ჩვენ თუ უკეთესები ვართ, დავეხმაროთ რუსეთს, ისიც გაუკეთესდეს-მეთქი (ამ წახუმრებაში ჭეშმარიტების მარცვალიცააძ.

მალე, ჩამშვებმა მაინც მოახერხა მეთაურის დაეჭვება. მაშინ საქართველოს მწერალთა კავშირს გურამ ფანჯიკიძე თავმჯდომარეობდა. მე ჯერ ისევ აჭარის სამწერლოს ვედექი სათავეში. გურამი ბათუმში ხშირად ჩამოდიოდა. ერთ დღეს, ბულვარის ერთ ძველ კაფეში ვიჯექით, ასლანი მეუღლესთან ერთად მოზრძანდა.

**(დასასრული იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 183-208, 213-227.**

# უცხოური პრესა

● სააკაშვილმა უნდა გაიგოს, რომ ასე უბრალოდ ნატოს წევრობა არ გამოუვა. შესვლისათვის საჭირო გახდება არა მარტო საქართველოს კარგად დაფინანსებადი შეიარაღებული ძალების განვითარების გაგრძელება, არამედ ნატოს ძირითად ფასეულობათა დამკვიდრება: კანონის უზენაესობისა და პოლიტიკური პლურალიზმისა



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მიშას შესამოვნებანი

***პოსტსაბჭოური ქვეყნების დიდი ნაწილი უკვე გაემიჯნა იმ იდეას, თითქოს დაჩქარებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებს შეუძლიათ მათი მიყვანა გახსნილობაზე, თავისუფლებასა და კანონიერებაზე დამყარებულ მერმისში. ზოგიერთი (მაგალითად, უკრაინა) პოლიტიკურ ჩიხში მოექცა. სხვებმა (მაგალითად, რუსეთმა) მიმართეს იმას, რასაც რუსეთი უწოდებს „სუვერენულ დემოკრატიას“ — ნაციონალიზმთან გადაწნულ ნათლიმამურ კაპიტალიზმს. ახლა საქართველო, რომელიც ბოლო ხანებამდე ერთ-ერთი იყო დიდი იმედების მომცემი მცირერიცხოვან ქვეყანათაგან, კიდევ ერთ ცუდად მართვად, ნადავლის დამთრეველი კორუმპირებული ელიტის მყოლ სახელმწიფოდ გადაქცევის რისკს ეწევა.***

არ შეიძლება თქმა, რომ ეს სრული მოულოდნელობა გახლდათ. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რომელმაც მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში მოიყვანა, ახალმა პრეზიდენტმა არაერთი სისუსტე გამოიჩინა, როგორც იმპულსურმა კაცმა, საკუთარ ჭირვეულობათა ამყოლმა და მრჩეველთა ერთობ ვიწრო წრეს მინდობილმა. ოღონდ აქამდე ისე ჩანდა, თითქოს ყველაფერს მისი ენერგია, ვიზიონერულობა და შარმი, აგრეთვე ეკონომიკის დერეგულირებისა და საბაზრო რეფორმების თვალშისაცემი წარმატება გადასწონის.

ამჟამად სასწორის მეორე თეფშმა დასძლია. პოლიციის ძალებით დემონსტრანტთა გარეკვა, რის შედეგადაც ათობით კაცი საავადმყოფოებში აღმოჩნდა, მერე კი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება — ეს ყველაფერი მოჩანს გაუგებარ სასტიკ რეაქციად იმ პროტესტებზე, რომლებიც საფრთხეს არ წარმოადგენდნენ საზოგადოებრივი წესრიგისათვის. დემონსტრაციების სრული აკრძალვა და ანტისამთავრობო რადიოსადგურებისა და ტელეარხების დახურვა — ეს გახლდათ ტაქტიკა, რომელიც კრემლსაც კი შეაცბუნებდა.

სააკაშვილი ამტკიცებს, თითქოს მის ქვეყანას საზღვარგარეთიდან მოქმედ პროვოკატორთა მიერ ორგანიზებული პუტჩი ემუქრება. თუმცა საქართველო უთუოდ დაზარალდა რუსეთის ინტრიგებისაგან, პრეზიდენტმა ვერ წარმოადგინა დამაჯერებელი მტკიცებულებანი იმისა, რომ ბოლო დღეებში იმ ინტრიგებმა შეასრულეს გადამწყვეტი როლი. მწყემსი ბიჭისა არ იყოს, ერთხელ რომ იყვირა „მგელიო!“, სააკაშვილს, შესაძლოა, უფრო გაუჭირდეს გარე სამყაროს ყურადღების მიპყრობა, როცა მის ქვეყანას ნამდვილი საშიშროება დაუდგება.

მისი გადაწყვეტილებანი 5 იანვარს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნისა და საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შესახებ დიდ დათმობებად ვერ წარმოდგებიან. არჩევნები ცინიკური ტრიუკის შთაბეჭდილებას ახდენენ, რომლის აზრი ისაა, რომ ოპოზიციის განხეთქილებასა და მოუმზადებლობაზე ითამაშოს იმ პირობებში, რომლებშიც შეჯიბრება ვერ იქნება თავისუფალი ან პატიოსანი. მართალია, ოპოზიციამ მოიძია თავისი კანდიდატი — პრეზიდენტის კონტროლი სახელმწიფოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და რესურსებზე ალბათ იოლი გამარჯვების გარანტიაა; ეს მანდატი ვერ იქნება დემოკრატიული. ჩაწყობილი არჩევნები ტირანთა საყვარელი იარაღია.

ამერიკამ და ევროკავშირმა ერთგვარი სინანული გამოხატეს და სიმშვიდისკენ მოუწოდეს, მაგრამ პირდაპირ და ღიად არ განაცხადეს, რომ საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან ძალის გამოყენება მიუღებელია. საჭირო კი იყო განცხადება. ღირდა იმის გამოძიებაც, თუ როგორ იხარჯებოდა უხვი დახმარება უცხოეთიდან. საქმე მარტო ის კი არაა, რომ დახმარების რაღაცა ნაწილი, შესაძლოა, საყვარლებსა და „მერსედესებს“ მოხმარდა. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ გამოირკვევა, რომ ამერიკელ გადასახადების გადამხდელთა დოლარები იხარჯებოდა სპეციალური დანიშნულების რაზმთა სწავლებასა და აღჭურვაზე და იმ ტელეაპარატურაზე, რომელიც მათ ახლახან მილეწ-მოლეწეს.

გარდა ამისა, საქართველოს მეგობრებმა უნდა მოუწოდონ სააკაშვილს საპრეზიდენტო არჩევნების გადავადება და ამის ნაცვლად გაზაფხულზე პატიოსანი საპარლამენტო არჩევნების გამართვა საერთაშორისო დაკვირვებით. პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ, რომელმაც შეინარჩუნა სახელმწიფო მოღვაწის იმიჯი, სააკაშვილის დაკარგული, უნდა მოაწყოს მოლაპარაკებები ყველა პოლიტიკურ ძალას შორის — ჯერ არჩევითი სისტემის თაობაზე შეთანხმების მისაღწევად, მერე კი კონსტიტუციის ცვლილებების განსახილველად. ახალმა პარლამენტმა უნდა მიიღოს ზოგიერთი იმ უფლებამოსილებათაგან, რომლებსაც პრეზიდენტი ახლახან ბოროტად იყენებდა. სანამ ეს არ მომხდარა, სააკაშვილი პოლიტიკურ კარანტინში უნდა იმყოფებოდეს. დასავლეთის დედაქალაქებში — განსაკუთრებით ვაშინგტონსა და ბრიუსელში ყველა დაგეგმილი ოფიციალური ვიზიტი იქამდე უნდა შეჩერდეს, სანამ საქართველოში სიტუაცია არ დაწყნარდება.

ლაპარაკია არა მარტო დასავლეთის შელახულ გრძნობებზე. სააკაშვილის შეცდომებისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულება დასავლეთს შეულახავს ავტორიტეტს მთელს რეგიონში. რუსები დაფიქრდებიან იმაზე, ხომ არ იყო ბოლო წლებში უცხოეთიდან საქართველოს მხარდაჭერა ცინიკური ანტიკრემლური ინტრიგებისა და ენერგეტიკული პოლიტიკის ნაწილი და არა გულწრფელი დახმარება უშიშროებისა და თავისუფლებისაკენ მისწრაფებული ქვეყნისათვის.

თუმცა ევროპამ და ამერიკამ, კურსის შეცვლისაკენ ქართველი ლიდერის მოწოდების დროსაც კი უნდა განამტკიცონ ქვეყნის უშიშროება. სააკაშვილის უახლოეს გარემოცვაში ნერვიულობის ერთ-ერთი მიზეზი არის იმის შეგრძნება, რომ აღორძინებადი რუსეთი საქართველოსათვის საფრთხეს წარმოადგენს, დასავლეთი კი არასაიმედო მოკავშირეა. ბოლო დავიდარაბები კრემლისათვის უნდა გახდეს იმის სიგნალი, რომ საქართველო იოლი ნადავლია. ბუქარესტში ნატოს აპრილის სამიტზე განხილული იქნება საქართველოს შესაძლო მიღების საკითხი, მაგრამ სააკაშვილმა უნდა გაიგოს, რომ ასე უბრალოდ ნატოს წევრობა არ გამოუვა. შესვლისათვის საჭირო გახდება არა მარტო საქართველოს კარგად დაფინანსებადი შეიარაღებული ძალების განვითარების გაგრძელება, არამედ ნატოს ძირითად ფასეულობათა დამკვიდრება: კანონის უზენაესობისა და პოლიტიკური პლურალიზმისა. სააკაშვილის შეცდომების გამო წევრობისაკენ გზა, როგორც ჩანს, უფრო გრძელი და ძნელი იქნება, თუმცა ამან არ უნდა მისცეს რუსეთს საქართველოს მომავლის თაობაზე რაიმე ვეტოს უფლება.

**The Economist**

# რუპორტ მერდოკი და კავკასიური გორგალი

**დახურული ქართული ტელეარხის მფლობელი არც ისე ხელწამოსაკრავი გამოდგა. ეს ის ხმა როდია, რომელსაც შეიძლება ყურადღება არ მიაქციო.**

„დანარჩენი ქვეყნების“ უმეტესი ნაწილისათვის ამასწინანდელი ამბები თბილისში, ყოფილი საბჭოური ქვეყნის განაპირას, უთუოდ მოექცნენ „კატეგორიაში“ ისევ რაღაცა ხდება ამ... რა ჰქვია?...“ მოკლედ, ქართული ოპოზიცია პროტესტის დიდ აქციაზე გამოვიდა, პრეზიდენტს ეს არ მოეწონა და ქუჩებში პოლიცია მიუშვა, რომელმაც ვილაცეები მიმოფანტა, ვილაცეებს სცემა და რომელიღაც ტელეარხი დახურა...

ოღონდ იმ დახურული ტელეარხის მფლობელი არც ისე ხელწამოსაკრავი გამოდგა. ეს არ გახლავთ ის ხმა, რომელსაც ეგებ არც მიაქციო ყურადღება. როგორ მოხდა, რომ ამ შორეული ამბების ზედ ცენტრში აღმოჩნდა ვინმე უბრალო კაცი კი არა, თვით რუპერტ მერდოკი?

ირკვევა, რომ მისმა გამუდმებით მზარდმა მედიაიმპერიამ შარშან თავისი მართვის ქვეშ აიყვანა საქართველოს ყველაზე პოპულარული ტელეარხი. სწორედ იმ მომენტში ტელეარხის გარშემო ვნებებმა იწყეს დაგროვება: ეჭვი მიჰქონდათ, თითქოს ის მხარს უჭერს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის იმ მოწინააღმდეგებს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ეგ კაცი სულაც არ არის ისეთი დემოკრატი, როგორადაც თავი მოაქვსო.

და როცა პრეზიდენტმა სახელმწიფო გადატრალების მომზადებაში დასდო ტელეარხს ბრალი და კარი დაულუქა, მერდოკი მოექცა იმ ალიანსების ერთობ დახლართული გორგალის უშუალო ცენტრში, რომლებმაც დიდი ხანია მთელი ქვეყანა შებოჭეს: მერდოკის კომპანია News Corporation-ი აღმოჩნდა თვით თეთრ სახლში, მოთათბირე გულითადი და ძველი მეგობრების დიდი მეგობრის, საქართველოს პრეზიდენტის მეტოქეთა ბანაკში. ამას, რა თქმა უნდა, შედეგები მოჰყვება სხვა, უფრო მნიშვნელოვან თამაშში — შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის კავკასიაში გაჩაღებულ შეჯიბრებაში.

მერდოკმა საჯარო ანათემას გადასცა სააკაშვილი, ამასობაში კი ადმინისტრაცია, საქართველოს პრეზიდენტს თვლის საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების დემოკრატიულად ორიენტირებული ლიდერების ახალი თაობის წარმომადგენლად. ჯერ კიდევ მერდოკამდე მკაცრად აკრიტიკებდნენ ქვეყნის შიგნით სააკაშვილს საკუთარ ხელში ძალაუფლებს კონცენტრაციის ცდებისათვის. არადა, 7 ნოემბერს რომ მან საქართველოში საგანგებო მდგომარეობა შემოიღო და ტელეარხი News Corporation-ი დახურა, უცხოეთში რეიტინგიც შეერყა.

საგანგებო მდგომარეობა მხოლოდ 16 ნოემბერს გაუქმდა, ისიც ვაშინგტონის ძლიერი დაწოლით. მერდოკის ტელეარხის სამაუწყებლო ლიცენზია აქამდე არაა აღდგენილი; თუ მაინც სააკაშვილს კვლავ მტკიცედ სჯერა, რომ კავკასიაში რუსეთის გავლენა კი არ უნდა ძლიერდებოდეს, არამედ მცირდებოდეს და რომ იმისი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი შეერთებულ შტატებთან მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებაა. ამასთან დაკავშირებით News Corporation-ის მიერ სააკაშვილის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა ერთგვარად ეგებ იმ ამბების მამოძრავებელი ძალა გახდეს; რომლებიც ხელს გაუმართავენ რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, ვინც ფრთხილად იკრებს ძალას კავკასიაში.

ოდესღაც აქაუროებას განუყოფლად მართავდა რუსეთი, მერე კი ამერიკას გავლენა გაძლიერდა. ამერიკას მრავალი გეოპოლიტიკური ანგარიში აქვს მონიშნული. ერთ-ერთი შეიცავდა კასპიის აუზიდან თურქეთში იმ ნავთობსადენის გაყვანას, რომლითაც საქართველოს ტერიტორიით შეიძლება ნავთობის გადაქაჩვა თურქულ და ევროპულ ბაზრებზე რუსეთის მილსადენების გვერდის ავლით.

რუსეთს იმდენად აღიზიანებს სააკაშვილის პიროვნება, ისევე როგორც მისგან ვაშინგტონისათვის ცალსახა უპირატესობის მიკუთვნება, რომ გამუდმებით აქეზებს მეამბოხე განწყობილებებს ორ სეპარატისტულ რაიონში საქართველო-რუსეთის საზღვარზე და ზღუდავს საქართველოსთან ვაჭრობას. თავის მხრივ, რუსეთის ჯაშუშები ყოველთვის პირველი პუნქტია სააკაშვილის გამოსვლებში, როცა ლაპარაკი იმის წარუმატებლობებზე ჩამოვარდება ხოლმე. იმასაც კი ამბობდა, რომ News Corporation-ის კუთვნილი ტელეარხი „იმედი“ სინამდვილეში კრემლის ინსტრუმენტიაო. არადა, „იმედი“ არის გასართობი და საახალამბებო ხასიათის არხი და არ მიიჩნევს თავს ოპოზიციურად, მით უფრო, უარყოფს რუსებთან რაიმე კავშირის არსებობას. იმისი მენეჯერების თქმით, არაერთგზის მიუწვევიათ თავიანთ გადაცემებში მთავრობის წევრები, მაგრამ ყოველ ჯერზე წინადადებებს ისინი ალფოთებით უკუაგდებდნენ.

საქართველოს ლიდერის თანაშემწენი ამტკიცებენ, რომ News Corporation-ის ყოფილი პატნიორი არხის შესყიდვაში ბადრი პატარკაციშვილი, საქართველოს ყველაზე მდიდარი კაცი (რომელიც, აქვესათქმელად, არავითარ მეგობრულ გრძნობებს არ ატარებს ვლადიმერ პუტინის მიმართ), სულ უფრო და უფრო შორდება სააკაშვილს და მზადყოფნას აცხადებს საპრეზიდენტო არჩევნებზე იმასთან დაპირისპირებით კენჭისყრაზე.

საქართველოში როცა მთელი ეს სკანდალები გაჩაღდა, ხოლო პრეზიდენტმა არადემოკრატიულ ქმედებებს მიმართა, შეერთებულ შტატებს არცთუ იოლი ჟამი დაუდგა. ამერიკელი დიპლომატები დიდხანს ბორგავდნენ მათრახსა და თაფლაკვერს შუა, როცა ისწრაფოდნენ, რომ როგორმე აეძულებინათ შერიგება და ურთიერთბრალდებათა სიმხურვალის დაწევა სააკაშვილისა, ოპოზიციური პოლიტიკოსების, News Corporation-ისა და „იმედისათვის“. სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალმდგომარეობიანმა მოხელემ მეტიუ ბრაიზამ, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა გასულ კვირას სააკაშვილისათვის საგანგებო მდგომარეობის მოხსნის სათხოვრად, გამოთქვა იმედი, რომ „იმედის“ მაუწყებლობამალე აღდგება, რამდენადაც News Corporation-ს საკმარისი შესაძლებლობები აქვს იმ ზიანის მალე გამოსასწორებლად, რომელიც არხს მიაყენეს შესეულმა ჯარისკაცებმა.

—„იმედის“ ამერიკელი პარტნიორი ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ადამიანია მედიაში, — თქვა ბრაიზამ მერდოკზე. — იცის, თუ როგორ მიაღწიოს იმას, რაც სჭირდება.

და მაინც, რამდენადაც ჩვენ კავკასიაში ვართ, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს მერდოკის გარშემო ბრუნავს დედამიწა. გახსოვთ, რომ ადგილობრივ ურთიერთობებს „ჩახლართული გორგალი“ ვუწოდეთ? ვნახოთ, თუ რას ნიშნავს ეს.

„იმედის“ დამაარსებელმა პატარკაციშვილმა ტელეარხი ჯერ News Corporation-ს გადასცა ერთი წლის სამართავად, ერთი თვის წინათ კი უბრალოდ მიჰყიდა კომპანია მერდოკს. ოღონდ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს პატარკაციშვილი კრემლის მეგობარი მხოლოდ იმიტომაა, რომ სააკაშვილის მოწინააღმდეგეა. პატარკაციშვილი ახლოსაა რუსეთიდან გაქცეულ ოლიგარქთან ბორის ბერეზოვსკისთან, ვლადიმერ პუტინის მოსისხლე მტერთან და რუსეთში ორივე სისხლის სამართლის ძებნაშია.

ჯერჯერობით პატარკაციშვილი გვერდზეა გამდგარი, ტელეარხი კი წმინდა იურიდიულ ბრძოლას ეწევა თავისი ლიცენზიისათვის. არხის გენერალურმა დირექტორმა ბიძინა ბარათაშვილმა განაცხადა, რომ როცა მაუწყებლობა კვლავ დაიწყება „იმედს“ უზრუნველყოფილი აქვს საზოგადოებრიობის სიმპათიები.

„გაღიზიანებულია თუ არა News Corporation-ი სადგურის დახურვით?“ — ჰკითხეს მას. — არა მგონია, რომ ეს ასეა. კომპანიაში ჭკვიანი ადამიანები მუშაობენ, ხოლო ბიზნესის თვალსაზრისით ეს ძალიან კარგი ნაბიჯია: ეთერში რომ დავბრუნდებით, არხი ხომ ორჯერ მეტად პოპულარული იქნება, ვიდრე იყო, — უპასუხა ბიძინა ბარათაშვილმა.

**კლიფორდ ჯ.ლევი**

**The New York Times**

**ჩვენ** • ეს კარგა მარჯვედ გამოვიდა წინასაარჩევნოდ უკვე ალაშქრებული ქვეყნის პრეზიდენტისათვის, რომელიც ალბათ შემოიმატებს მაღალინტელექტუალურ ელექტორატს და გააჩუმებს აკადემიის რამდენიმე „ამბოხებულ“ წევრს, რომლებიც ჩემი თვალითა და ყურით ყოველთვის სამართლიანად და საფუძვლიანად აღშფოთებულად აღიქმებოდნენ...

**მკვახე შეძახილი**

# არა აკადემიკოსებითა ხოლო სცხონდების მეცნიერება...



**სასიამოვნო ამბავი გადმოიცა ტელეეკრანიდან (უსიამოვნებათა „ალლუმის“ ფონზე ორმაგად სასიამოვნოძ, ქვეყნის მეცნიერულ ცხოვრებაში ნიშანსვეტურად აღსაქმელი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს ხელფასები მოემატებათ — ნამდვილთ (აკადემიკოსებსძ არანაკლებ 1600 ლარი დაენიშნებათ, წევრ-კორესპონდენტებს — არანაკლებ 1000.**

კეთილი და პატიოსანი. დიდი ხანია, ასეც უნდა მომხდარიყო. აკადემიის წევრები რა, საზოგადოების ნაკლები ფიგურანტები არიან, ვიდრე, ვთქვათ, პარლამენტის წევრები, გინდა სხვა დიდხელფასიანები?..

„არანაკლებ იმას ნიშნავს, რომ შემდგომ შეიძლება კიდევ გაეზარდოთო“, — განგვიმარტა პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ იმავე ეკრანიდან, ეკრანის ფართობის მთლიანად შემვსებმა და ამ ფართობის არცთუ იშვიათმა სტუმარმა. ასეთი განათლებისათვის მადლობელი ვართ, არ ვიცოდით...

გულით ვულოცავ გაზრდილ ხელფასიანთ, იმისგან დამოუკიდებლად, სჭირდებათ თუ არა ჩემი მილოცვა. ვინ ვინ და, მე ხომ, საერთოდ, კარგად ვიცი იმათი თავების, ნიჭიერების, ცოდნის, ნაკვლევ-ნაკეთების, „უნარ-ჩვევების“ ფასი. გულით მით უფრო ვულოცავ, რომ აკადემიის წევრთა შორის არაერთი ძველი და ახალი კეთილი ნაცნობი, მეტიც, ძველი ამხანაგი მეგულება. ნუ მიწყენენ ქვემოთ ნათქვამს კვლავ მით უფრო, რომ ჩემი შენიშვნების ადრესატები არიან, უწინარეს, ის ხელისუფალნი თუ კანონმდებელნი, ვინც შესაბამისი პროექტი შეიმუშავა.

საქმე ისაა, რომ ეს გახლავთ არა საზოგადოდ მეცნიერებაზე მოსარგები ან „მორგებადი“ კანონპროექტი, არამედ აკადემიის წევრებზე. ხელფასაწეულთ ღმერთმა სიკეთით მოახმაროს და შეარგოს მომატებული სარგო, ოღონდ რა დააშავა ასობით მეცნიერებათა დოქტორმა, გინდა კანდიდატმა, რომელთა შორის ამდენი შესანიშნავი მკვლევარია, მეცნიერული ჭეშმარიტების მჩხრეკელია და, სამწუხაროდ, ასევე ბევრია ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობის გამო წნევააწეული? იმათ რა, აწყენდათ ხელფასების მომატება? იმათზე არ უნდა ეფიქრათ პროექტზე მომუშავეთ?

ულამაზოდ ხომ არ გამოდის, რომ ჩვენს რეალობაში იქმნება კიდევ ერთი უთანასწორო ანაზღაურების ზონა, კიდევ ერთი უსამართლობის ზოლი, თითქოს აქამდე გვაკლდა მსგავსი „ტერიტორიები“. ისე, ეს კარგა მარჯვედ გამოვიდა წინასაარჩევნოდ უკვე ალაშქრებული ქვეყნის პრეზიდენტისათვის, რომელიც ალბათ შემოიმატებს მაღალინტელექტუალურ ელექტორატს და გააჩუმებს აკადემიის რამდენიმე „ამბოხებულ“ წევრს, რომლებიც ჩემი თვალითა და ყურით ყოველთვის სამართლიანად და საფუძვლიანად აღშფოთებულად აღიქმებოდნენ...

შემთხვევა მომეცა, გავბედე და ჩემი მოსაზრებები „ამოვულაგე“ ერთსა ძლიერსა ამა აკადემიისა. იცით, რა მიპასუხა? სხვებიც გახდნენ აკადემიკოსები და მოემატებათ ანაზღაურებაო. თქვე დალოცვილო, ჯერ ერთი, ხელისუფლებამ ჩვენი სასიქადულო აკადემია კინაღამ სულაც დახურა და დაუშვებს თუ არა ახალი წევრების არჩევნებს, ეგ კიდევ საკითხავია; მეორეც, აკადემიკოსი ყველა ვერ გახდება, მაგრამ კარგი მკვლევარი დარჩება; მესამეც, ფაქტობრივად, იგივე მეორე — არა აკადემიკოსებითა ხოლო სცხონდების მეცნიერება, არამედ სხვებითაც...

იმ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ყოფილი ჟურნალისტი და გაზეთის რედაქტორია. მაშინდელ საასპარეზოზე მაინცდამაინც გამორჩეული არ მახსოვს, მაგრამ ეტყობა, ოთხივე სფეროში (განათლება, მეცნიერება, კულტურა, სპორტიძ დამსახურება „უჩემოდ“ და „მარცხნივ“ დააგროვა და ასეთ სიმაღლეზე აღმოჩნდა; ან ამაში თავისი როლი მისმა უდიდებულესობა შემთხვევამ შეასრულა, რომელსაც უყვარს ოინების მოწყობა, ან სულაც მეორეხარისხოვანმა გარემოებებმა; არ ვიცი, ბორჯომელ ამომრჩეველთა საქმეებში ვერ ჩავერევი.

ასე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ კანონპროექტზე მუშაობისას ცოტა უფრო ფართო ხედვა, მასშტაბურობა და სიღრმე გმართებს და ისეთი უნდა „გამოაცხო“, რომელსაც დიდხანს არ დასჭირდება შესწორება, რომელიც კარგად იმუშავებს (აქ თამბაქოს მოწევაზე მიღებული „უმუშევარი“ კანონი ხომ არ გაგახსენდა, მკითხველო?ძ და ჩემისთანა ვაი-კრიტიკოსს სალაპარაკოს არ გაუჩენს.

სხვათა შორის, ფართო ხედვა, მასშტაბურობა და სიღრმე არც „ლოტოტრონირებულ“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აწყენდათ, სადაც იმასაც ვერ მიმხვდარან, თუ რამხელა უაზრობაა მისაღები გამოცდების ეროვნულობა...

**თამაზ ეზანოიძე**

**თემა**

# რატომ აჭიანურებს საქართველოს მთავრობა ლევილის ქართული მამულის საკუთრების დაკანონებას?

***1921 წლის 18 მარტს, ბათუმის ნავსადგურიდან საფრანგეთისკენ გაემგზავრნენ საქართველოს პირველი დემოკრატიული მთავრობის ხელმძღვანელობა და სხვა პოლიტიკური ემიგრანტები, რომლებიც იძულებული იყვნენ, დაეტოვებინათ საქართველო.***

***საფრანგეთში დაბინავებულმა საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ ნოე ჟორდანიას მეთაურობით 1922 წელს იყიდა პატარა მამული, რომელსაც ლევილის ქართული კერა უწოდა. მათი გადაწყვეტილებით იგი თავშესაფარი იქნებოდა ქართველი პოლიტიკური ლტოლვილებისათვის და საქართველოს განთავისუფლების შემდეგ, საქართველოს საკუთრებად დარჩებოდა.***

***იბადება კითხვა, რატომ აჭიანურებს საქართველოს მთავრობა ლევილის ქართული მამულის გადმოფორმებას?***

***ვისარგებლეთ შემთხვევით და საქართველოში საფრანგეთიდან დასასვენებლად ჩამოსულ ლევილის ოჯახთა ასოციაციის ერთ-ერთ წევრს ტიერ ბერიშვილს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.***

**— ბატონო ტიერ, ვინ განაგებს დღეს ლევილის ქართულ მამულს?**

— ლევილის მამულს განაგებს ძველ ქართულ ოჯახთა ასოციაცია, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი მეც გახლავართ. ეს არის 20-მდე ოჯახი, რომელთაგან ზოგი მუდმივად ცხოვრობს იქ, ზოგიც — დროებით. ასოციაციის თავმჯდომარეა ნოე ჟორდანიას შვილიშვილი ქრისტინე ფაღავა. დღეს ეს ოჯახები არიან ლევილის ოფიციალური მფლობელები.

**— რა კანონმდებლობით სარგებლობენ ლევილის მფლობელი ოჯახები?**

— მათ მინდობილობით გადაეცათ წინა თაობიდან ლევილის საკუთრების დოკუმენტები და ანდერძი, რომელშიც ნათქვამია, რომ ეს მამული უნდა გადაეცეს ქართველ ერს და არ შეიძლება მისი გაყიდვა.

1999 წლის 27 აპრილს გაერომ სცნო საქართველო, ამიტომ ლევილის ქართული მამულის ასოციაციის ოჯახებმა დაიწყეს ფიქრი მამულის გადმოცემაზე. ჯერ კიდევ 2000 წლის მაისში დაიწყო მოლაპარაკებები მაშინდელ ელჩთან საფრანგეთში გოჩა ჩოგოვაძესთან. განისაზღვრა სამი ეტაპი: იურიდიული საკითხების მოგვარება და ერთობლივი პროექტის შედგენა; როცა პროექტი შედგებოდა, მოხდებოდა ხელის მოწერა შეთანხმებაზე გადმოცემის შესახებ და მესამე — მამულის ერთობლივი მართვა იქაური ქართველებისა და საქართველოს ხელისუფლების მიერ. იყო ასეთი იდეაც, ფრანგულ-ქართული კულტურის ცენტრის შექმნა. ეს იქნებოდა, პირველი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ასევე იყო ჩანაფიქრი სასტუმროს გახსნის შესახებ აქედან ჩამოსული ქართველებისთვის.

**— ჩვენმა პრეზიდენტმა თუ იცის ყველაფერი ამის შესახებ?**

— 2003 წელს, ვარდების რევოლუციის შემდეგ, იქაურმა ქართველებმა წერილი გამოუგზავნეს მიხეილ სააკაშვილს ამ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, თავისი პირველი ვიზიტის დროს საფრანგეთში პრეზიდენტის რანგში, ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა მოინახულა ლევილის ქართული მამული და ქართული სასაფლაო. იგი დაპირდა ასოციაციის წევრებს, რომ ყველაფერს გააკეთებდა ამ საკითხების მოსაგვარებლად.

გარკვეული პრობლემები შეგვიქმნა საფრანგეთში საქართველოს ელჩმა — ქალბატონმა, რომელმაც დაიქირავა ადვოკატი, რაც ძალიან ძვირი დაუჯდა საქართველოს და დაიწყო ძალიან აგრესიული ქმედებები, რომ რაც შეიძლება ჩქარა გადაეცათ მამული საქართველოსთვის ყოველგვარი ფორმალობებისა და პირობების გარეშე, რამაც დააბრკოლა მამულის გადმოცემის პროცესი. ახალი ელჩი რომ მოვიდა, მამუკა კუდავა, მოლაპარაკებები უკვე პოზიტიურად დაიწყო. ამის გარდა, ორჯერ იყო საფრანგეთში ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი გიორგი ხეჩიაშვილი, რომელიც საელჩოში შეხვდა იქაურ წარმომადგენლებს. დღეს მის გამგებლობაშია უცხოეთის სათვისტომოები.

**— თქვენ თუ შეხვდით აქ გიორგი ხეჩიაშვილს და თუ გქონდათ ამ საკითხებზე საუბარი?**

— რა თქმა უნდა, შევხვდი და მასთანაც დაიწყო მოლაპარაკებები გადმოცემის ფორმალობების შესახებ, დღეისათვის ორ გადაწყვეტილებაზე შეიძლება მსჯელობა: ერთია ფრანგული კანონმდებლობის გავლით, რომელიც ძალიან რთულია და დიდ ფულსა და დროს წაიღებს; მეორე ვარიანტია, ასოციაციის ოჯახებსა და საქართველოს მთავრობას შორის შეთანხმება, რომ ეს არის საქართველოს ქონება და ერთობლივი გადაწყვეტილებით მოხდეს მისი გადმოცემა, ე.ი. ოჯახები გადმოსცემენ მამულს საქართველოს და მერე, საქართველოს მთავრობა საფრანგეთის მთავრობასთან მოაგვარებს ამ საკითხებს. გადმოცემის შემდეგ, იქაური ოჯახების სურვილია, იქ მოეწყოს ფრანგულ-ქართული კულტურის ცენტრი. ამ გადაწყვეტილებას ბევრი უპირატესობა აქვს; ერთია, რომ ეს არის სწრაფი და იაფი, მეორე, რომ მამული არ გაიყიდოს მთლიანად, ან ნაწილი და რომ დარჩეს საქართველოს იგივე ფართობით, როგორც დღეს არის და მესამე, ის ხალხი, ვინც იქ ცხოვრობს, იქ უნდა დარჩნენ და გააგრძელონ ცხოვრება. ახლა საქართველოს მთავრობის გადასაწყვეტია, რომელ გზას აირჩევს.

ბატონ გიორგი ხეჩიაშვილთან ასევე მქონდა მოლაპარაკება 26 მაისის 90 წლისთავის ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლის აღნიშვნასაც ვაპირებთ ლევილში. ამ მიზნით მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა — ვამზადებთ ბუკლეტებსა და სხვა საჭირო მასალებს. თუ საქართველოს მთავრობა აქაც მოაწყობს ამ თარიღის აღსანიშნავ ღონისძიებებს, აქაც მივიღებთ მონაწილეობას. ჩვენ ასევე, საფრანგეთში გავხსენით ნოე ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტი.

**— ბატონო ტიერ, როგორც თქვენი საუბრიდან ჩანს, მამულის ასოციაციის ოჯახები მზად არიან იმ პირობებით, რომლებიც თქვენ დაასახელეთ, გადმოსცენ მამული საქართველოს.**

— დიახ, 1999 წლიდან ეს ოჯახები იღვწიან გადმოსცენ მამული საქართველოს მაშინდელი მთავრობის ანდერძით. ერთადერთი პიროვნება, ვისაც ამ საკითხებზე პრიორიტეტი აქვს, არის ნოე ჟორდანიას შვილიშვილი, ქალბატონი ქრისტინე ფაღავა, რომლის დასტურის გარეშე არ მოხდება მამულის გადმოცემა.

**— თქვენ ქართული გვარი გაქვთ, თუმცა დედა ფრანგი გყავდათ და ქართული არ იცით, თავს თუ თვლით ქართველად?**

— რა თქმა უნდა, ნოე რამიშვილი ჩემი დიდი ბაბუა იყო, ჩვენ, ბერიშვილები, ნოე ჟორდანიას ჯარისკაცები ვართ.

ესაუბრა
**დოდო ლაზარაშვილი**

● ნარჩემაშვილის თანამედროვეები, სპეციალისტები, მის ყველაზე დიდ მიღწევად, მაინც იმას მიიჩნევდნენ, რომ „ვარდების“ რევოლუციის“ წინა პერიოდში და რევოლუციის გარდამტეხ მომენტში ეყო გამჭრიახობა და დაპირისპირებულ მხარეებთან დაპირისპირებაზე არ წავიდა



## ◎ ინფორმაცია

### რეზერვისტთა მეათე ნაკადმა მომზადება დაიწყო

**სარეზერვო მომზადების ბოლო ეტაპს 4 ათას სტუდენტზე მეტი გაივლის. ნახევარზე მეტი კოჯრის სამხედრო ბაზაზე გადანაწილდება, ნაწილი კი მუხროვანის, სენაკისა და თელავის ბაზებზე განთავსდება.** მე-10 ნაკადის შემადგენლობაში შედიან რეზერვისტები თბილისიდან, ხაშურიდან, კასპიდან, ქობულეთიდან, ქედიდან, ქუთაისიდან, ლაგოდეხიდან და ყვარელიდან. სარეზერვო მომზადებას გადიან ექიმებიც, რომლებიც სამხედრო-სამედიცინო ტაქტიკას შეისწავლიან. 100-მდე მედპერსონალი ლოკომოტივის სტადიონის მიმდებარე ტერიტორიიდან კოჯრის ბაზაზე გუშინ გაემგზავრა.

რეზერვისტთან მე-10 ნაკადი 12 ნოემბერს უნდა გაეწვიათ, თუმცა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამო გაწვევა 20 ნოემბრისთვის გადაიდო.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### შეიქმნება „საკანონმდებლო მაცნეს“ ელექტრონული ვერსია

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია, რომელსაც მინისტრის მოადგილე დიმიტრი ძაგნიძე ხელმძღვანელობს, გერმანიაში იმყოფება.**

როგორც იუსტიციის სამინისტროდან იტყობინებიან, ოთხდღიანი ვიზიტის მიზანია იურიდიული და საკანონმდებლო დოკუმენტების ელექტრონული ფორმით გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გერმანული გამოცდილების გაცნობა.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორი სულხან გამყრელიძე, ნორმატიული აქტების სისტემატიზაციისა და აღრიცხვისა და ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი გოჩა ვაჟარაძე, „საკანონმდებლო მაცნეს“ მთავარი რედაქტორი ნინო კვაჭანტირაძე და რედაქტორის მოადგილე სოფიო სეხნიაშვილი.

დიმიტრი ძაგნიძის განცხადებით, სახელმწიფოს მმართველობის სისტემაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. – გერმანული გამოცდილება საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების გამოქვეყნების ეფექტიანი ელექტრონული სისტემის შექმნაში დაგვეხმარება, – იმედოვნებს მინისტრის მოადგილე.

დელეგაციის წევრები გერმანიის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრებს გამართავენ ბონში, კიოლნსა და ზაარბრუკენში.

**ინტერპრესნიუსი**

## ◎ გუშინდელნი

# დამოუკიდებლობის 17 წელი და 9 შს მინისტრი

### 5. მინისტრს სერიოზული ინფორმაციები ჰქონდა



**კვირაია კახა თარგამაძემ შეცვალა. ექსპერტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ დამოუკიდებლობააღდგენილ საქართველოში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მინისტრს საშუალება მიეცა, მთლიანად თავისი გუნდით დაეწყო მუშაობა. თარგამაძემ დაიწყო რეფორმების გატარება.** დამოუკიდებელ სტრუქტურებად მიმოხნეული ოპერატიული და ადმინისტრაციული სტრუქტურები თავიანთი სპეციფიკის მიხედვით დეპარტამენტებში გაერთიანდნენ. ფეხზე დამდგარმა პოლიციამ დაიწყო კრიმინალური სამყაროს შევიწროება. გამოვლინდა ნარკოტიკების არაერთი მსხვილი რეალიზატორი, გაიხსნა მრავალი ეკონომიკური დანაშაული (აფერა, მსხვილი მასშტაბის თაღლითობა, სახელმწიფო თანხების დატაცება და სხვაძ. ქვეყანაში უმნიშვნელოდ იკლო დანაშაულმა, იმატა მათი გახსნის მაჩვენებელმა. მინიმუმამდე შემცირდა სასჯელთა აღსრულების დაწესებულებებიდან გაქცევის შემთხვევები. პარალელურად მიმდინარეობდა ძველი საქმეების გახსნა, ძებნილთა დაკავება. მოსახლეობას პოლიციისადმი ნდობა გაუჩნდა.

პოლიციის გააქტიურებამ და მრავალმა კრიმინოგენურმა ვითარებამ დადებითად იმოქმედა სხვა სფეროებზეც. კრიმინალთა ზეწოლისგან თანდათანობით თავისუფლდებოდნენ კერძო სექტორის წარმომადგენლები (ბიზნესმენები, მოვაჭრეები, მეწარმეებიძ. გამოცოცხლდა კულტურა, ჩამოსვლა იწყეს ტურისტებმა. შემოდინება დაიწყო უცხოურმა ინვესტიციებმა. იქმნებოდა ქართულ-უცხოური ერთობლივი საწარმოები. სიტუაციის სტაბილიზირებამ დიდი გავლენა იქონია ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე. საქართველოს გაუჩნდა შანსი, მიელო ევრაზიის დამაკავშირებელი სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი.

მიღწეული წარმატებების პარალელურად, შსს რჩებოდა ქვეყნის ყველაზე კორუმპირებულ სტრუქტურად. განსაკუთრებით თვალში საცემი იყო კორუფცია სახელმწიფო ავტოინსპექციაში, ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის დანაყოფებში, შსს აკადემიაში. კორუფცია და ალებ-მიცემობა იყო შსს-ს ცენტრალურ აპარატში. ქრთამს ილებდნენ კადრების სამმართველოში, გენერალურ ინსპექციასა და ა. შ.

მრავალი წარსულში ჩადენილი მძიმე დანაშაულების გახსნის ფონზე, ქვეყანაში არაერთი რეზონანსული დანაშაული დარჩა გაუხსნელი (პიტერ შოუს, ესპანელი ბიზნესმენების გატაცება, ფეხბურთელ კახი კალაძის ძმის გატაცება, ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობა და ა. შ.ძ.

თარგამაძემ მინისტრის პოსტი 1999 წლის არჩევნების შემდეგაც შეინარჩუნა. ხელახლა დანიშვნის შემდეგ მას ურთიერთობა გაუფუჭდა მმართველი პარტიის მოქკავშირის ახალგაზრდულ ფრთასთან (ჟვანია-სააკაშვილიძ. დაპირისპირების გამო იგი იძულებული გახდა, გადამდგარიყო. იგი ამჟამად რუსეთშია.

### 6. მართვადი მინისტრი

**თანამდებობიდან გადამდგარი თარგამაძე კობა ნარჩემაშვილმა შეცვალა. მას ყველა თავის წინამორბედ კოლეგაზე მეტი მცდელობა ჰქონდა, შსს გამჭვირვალე და დადებითი სტრუქტურა გაეხადა. მინისტრის მოადგილეები, დედაქალაქისა და სამხედრო პოლიციები შედარებით კოორდინირებულად მოქმედებდნენ.** ნარჩემაშვილის მინისტრობის პერიოდში ადრე ჩადენილი რამდენიმე რეზონანსული დანაშაული გაიხსნა (გაანთავისუფლეს პიტერ შოუ და ა. შ.ძ. მისი მინისტრობის პერიოდში შსს-მ უშიშროების სამინისტროსთან ერთად, მოახერხა პანკისის ხეობის კრიმინალთაგან განთავისუფლება და ხეობაზე მეტ-ნაკლები კონტროლის დამყარება.

ნარჩემაშვილის თანამედროვეები, სპეციალისტები, მის ყველაზე დიდ მიღწევად, მაინც იმას მიიჩნევდნენ, რომ „ვარდების“ რევოლუციის“ წინა პერიოდში და რევოლუციის გარდამტეხ მომენტში ეყო გამჭრიახობა და დაპირისპირებულ მხარეებთან დაპირისპირებაზე არ წავიდა. ეს ფაქტი, არსებული რეალობის გათვალისწინებით, მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

**გია გოდერძიშვილი** (თადარიგის პოლკოვნიკიძ: „არ ვიცი, ვინ როგორ აფასებს ნარჩემაშვილს, მაგრამ მე შემიძლია ვთქვა, რომ 2003 წლის 23 ნოემბერს მინისტრმა საქართველო სისხლისღვრას გადაარჩინა, როდესაც მთავრობის სასახლესთან სიტუაცია უზომოდ დაიძაბა, გამოჩნდნენ ოპოზიციის დამკვრელი რაზმები. პოლიციას რომ დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალა გამოეყენებინა, საქმეში ეს ძალებიც ჩაერთვებოდნენ. რა მოხდებოდა იქ და როგორ დამთავრდებოდა ყველაფერი, არავინ იცის. მე სხვის ნაამბობს არ ვყვები, იქვე ვიყავი. ნარჩემაშვილმა სიმშვიდე შეინარჩუნა, არ აჰყვა ემოციებს და ზოგიერთი დეპუტატის რჩევებს. მას პრეზიდენტთან შეუთანხმებლად არც ერთი გადაწყვეტილება არ მიუღია“.



ყოველივე ამის მიუხედავად, ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი ნარჩემაშვილის პიროვნებას აფასებს, როგორც არამდგრადსა და სხვისი გავლენის ქვეშ ადვილად მომქცევს, მართვადს, სპეციალისტები აცხადებენ, რომ ხშირად სერიოზულ გადაწყვეტილებებს მინისტრის სახელით მოადგილეები, არცთუ იშვიათად გენერალური ინსპექციის უფროსი იღებდა. სამინისტროში კორუფციის დონემ, თარგამაძის პერიოდთან შედარებით არათუ დაიწია, საგრძნობლად იმატა. მნიშვნელოვნად იკლო გახსნილი საქმეების რაოდენობამ. ზედმეტი ლოიალობის გამო მინისტრს ზედმეტსახელად „დედოფალაც“ კი შეარქვეს.

ნარჩემაშვილის მინისტრობა „ვარდების“ რევოლუციამ შეაჩერა. გადამდგარ მინისტრს ახალმა ხელისუფლებამ მის უწყებაში გამეფებული კორუფციის გამო პასუხი მოსთხოვა. იგი დააპატიმრეს, თუმცა მალევე გაანთავისუფლეს. ამჟამად იგი საქართველოში იმყოფება. ნარჩემაშვილის მოღვაწეობის სფერო ჩვენთვის უცნობია.

### 7. „ვარდებით“ მოსული მინისტრი

**შსს აკადემიის დაუსწრებელი სწავლების კურსდამთავრებულ გია ბარამიძეს ექსპერტები დილეტანტ მინისტრად მოიხსენიებენ. მათივე გადმოცემით, ახალგაზრდა მინისტრი ყველა სერიოზულ საკითხს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას უთანხმებდა.**

მინისტრად დანიშვნის დღიდანვე ბარამიძე ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ გაილაშქრა. ბრძოლას პირველ ეტაპზე გარკვეული შედეგებიც მოჰყვა. ხელისუფლებისაგან მინისტრის პირველი დავალება მნიშვნელოვანი იყო. შსს-ს უნდა მოემზადებინა ამომრჩეველთა სიები. მომავალი საპრეზიდენტო და შემდეგ საპარლამენტო არჩევნებისათვის სამინისტროს ერთადერთი გზა რჩებოდა – მთელი სამუშაო სიმძიმე უბნის ინსპექტორებზე გადაეტანა. თუმცა ამ ხალხმა წინა ხელისუფლების დროს უკვე შეადგინა მსგავსი სიები, რასაც შევარდნაძის ხელისუფლება გადაჰყვა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ იგივე უბნის ინსპექტორებს დროის მცირე მონაკვეთში მათ მიერვე შედგენილ დოკუმენტაციაში დიდი ცდომილებები აღმოეჩინათ.

შს მინისტრმა წამოაყენა წინადადება ე. წ. „კანონიერი ქურდებისა“ და „ავტორიტეტების“ წინააღმდეგ არა მხოლოდ ოპერატიულ-პროფილაქტიკური და სადამსჯელო ღონისძიებები განხორციელებულიყო, არამედ „შავი“ სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლას კანონის სახე მისცემოდა. ბარამიძის ინიციატივა ცოტა ხნის წინათ დაამტკიცა საკანონმდებლო ორგანომ.

თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ბარამიძემ დაიწყო ძველი, გამოცდილი კადრების განთავისუფლება და მათ ადგილზე ახალზედა გამოუცდელი თანამშრომლების მიღება. მომხდარი სწრაფადვე აისახა კრიმინალური ვითარების გაუარესებაში. დღე-ღამეში 50-60 დანაშაული ფიქსირდებოდა. იკლო სისხლის სამართლის საქმეების გახსნის მაჩვენებელმა. შსს-ს ხელმძღვანელობა სტატისტიკის გაუარესებას იმით ხსნიდა, რომ სამინისტრო წინა წლების მსგავსად აღარ მალავდა მომხდარ გახსნილ თუ გაუხსნელ დანაშაულებს.

სპეციალისტები ბარამიძის გამოუცდელობასა და მისი გუნდის არაკომპეტენტურობას აბრალებენ ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში ჩატარებულ წარუმატებელ (მსხვერპლითძ სპეცოპერაციებს – სვანეთში (აფრასიძეებიძ, ქუთაისში (შალიკიანიძ, წყალტუბოში და ა. შ. გამოუცდელი მინისტრის პერიოდში მოხდა ავტოტექდათვალიერებების გაუქმება, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ავტოსაგზაო შემთხვევათა რიცხვი, მათ შორის ტრაგიკული ფინალით.



იმჟამინდელმა ქალაქის პროკურორმა გრიგალაშვილმა ღიად დასდო შსს-ს მაღალჩინოსნებს ნარკობიზნესში მონაწილეობის ბრალი და დაემუქრა კიდეც მათ, თუმცა ამას იქით საქმე აღარ წასულა.

მოზღვავებული პრობლემების პირობებში, ბარამიძე ცდილობდა შს ორგანოები ყოველმხრივ გამჭვირვალე გაეხადა საზოგადოებისათვის, საინფორმაციო საშუალებებისათვის ერთ-ერთ ბრიფინგზე შეშფოთებულმა მინისტრმა ჟურნალისტებსაც კი ჰკითხა რჩევა: ძველი გამოცდილი კადრები („შევარდნაძის ნარჩენები“ძ კორუმპირებულნი არიან, ახლები – გამოუცდელნი. რაში ხედავთ გამოსავალსო!

ამგვარი დაბნეულობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ბარამიძეს ერთი წელიც არ ჰქონდა გატარებული შს მინისტრის პოსტზე, რომ თავდაცვის მინისტრად გადაიყვანეს. ამჟამადაც იგი სახელმწიფო მინისტრია ევროპასთან ინტეგრაციის საკითხებში.

**ზაზა ბილიხოძე**

**(დასასრული იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 226-227.

# სპორტი

● სკანდალებით სახელგანთქმულ მოკრივეს, ყოფილ აბსოლუტურ მსოფლიო ჩემპიონს ზემძიმე წონაში, ამერიკელ მაიკ ტაისონს არიზონაში 24-საათიანი პატიმრობა და სამწლიანი გამოსაცდელი ვადა მიუსაჯეს ნარკოტიკების შენახვისა და ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვისთვის





## ◎ ჰოკეი

# ევროპელთა ზეობა

**ჰოკეის ეროვნული ლიგა თანდათან „ფორმაში“ შედის, წამყვან როლს კი რეგულარულ სეზონში სულ უფრო ხშირად თამაშობენ ევროპელი ლეგიონერები. ამაში სხვადასხვა ნომინაციებში დაწინაურებულთა ნუსხა დაგარწმუნებთ, თუმცა ჯერ, მოდით, 21 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში შექმნილ მდგომარეობას გავეცნოთ.**

აღმოსავლეთი კონფერენცია

**ატლანტიკის დივიზიონი**. „რეინჯერსი“ – 25 ქულა, „ფილადელფია“ – 23, „აილენდერსი“ – 20, „პიტსბურგი“, „ნიუ ჯერსი“ – 18-18 ქულა.

**ჩრდილო-აღმოსავლეთის დივიზიონი**. „ოტავა“ – 30 ქულა, „მონრეალი“– 25, „ტორონტო“– 21, „ბოსტონი“ – 20, „ბუფალო“ – 15 ქულა.

**სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზინი**. „კაროლინა“ – 27 ქულა, „ტამპაბეი“ – 21, „ატლანტა“– 18, „ფლორიდა“ – 17, „ვაშინგტონი“ – 13 ქულა.

დასავლეთი კონფერენცია

**ცენტრალური დივიზიონი**. „დეტროიტი“ – 29 ქულა, „ჩიკაგო“ – 23, „ნეშვილი“, „კოლამბუსი“ – 22-22, „სენტლუისი“ – 20 ქულა.

**ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონი.** „მინესოტა“ – 24 ქულა„„კოლორადო“ – 23, „ვანკუვერი“– 21, „კალგარი“ – 19, „ედმონტონი“ – 15 ქულა.

**წყნარი ოკეანის დივიზიონი.** „სანხოსე“ – 25 ქულა, „ანაჰაიმი“ – 23, „დალასი“ – 20, „ლოს-ანჯელესი“ – 17, „ფინიქსი“ – 16 ქულა.

**ბომბარდირი:** ლეკავალიე („ტამპაბეი“ძ – 32 (13+19ძ ქულა.

**სნაიპერი:** კოვალჩუკი („ატლანტა“ძ – 16 გოლი.

**ასისტენტი:** მალკინი („პიტსბურგი“ძ – 20 გადაცემა.

**მცველი:** გონჩარი („პიტსბურგი“ძ – 19 (5+14ძ ქულა.

**მეკარე:** თომასი („ბოსტონი“ძ – 94, 1% მოგერიებული ტყორცნა.

**უდისციპლინო:** ჰარა („ბოსტონი“ძ – 52 საჯარიმო წუთი.

## ◎ ორბიტაზე





# სასჯელი გამარჯვების გოლისთვის

**რუსეთის ნაკრების კარში ისრაელელი ომერ გოლინის მიერ გატანილმა გამარჯვების გოლმა დიდი სიხარული მოუტანა ინგლისელებს – მათ ნაკრებსაც და გულშემატკივრებსაც.** ახლა, უფრო სწორად დღეს, უემბლიზე ინგლისელებს ხორვატიით ნაკრებთან ფრეც კი ჰყოფნით, რათა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის საგზურები მოიპოვონ. გაიხარა ინგლისელთა მთავარმა მწვრთნელმა სტივ მაკლარენმაც – რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში, ის უმუშევარი რჩებოდა.

როგორც ჩანს, დიდად გაიხარეს ბუკმეკერთა კანტორაშიც Fred Done. მან ხომ ადრევე დააწესა იმ ფეხბურთელისთვის, ვინც რუსეთელმა კარში გადამწყვეტ ბურთს გაიტანდა, 50 ათას გირვანქად ღირებული „მერსედესი“.

მაგრამ იცით, რა მოხდა? ისრაელის ფეხბურთის ასოციაციამ აუკრძალა 25 წლის ომერ გოლანს ამ საჩუქრის – როგორც შეპირებული ბონუსის – მიღება. თუმცა ახალგაზრდა ფეხბურთელს ძვირფას მანქანაზე მეტად სხვა რამ ახარებს – ის ალბათ მალე ინგლისის რომელიმე პრესტიჟულ გუნდში ითამაშებს.

# ფედერერი ოლიმპიადას უმიზნებს



**შანჰაიში საჩოგბურთო სეზონის დასკვნით ტურნირზე გამარჯვებულმა მსოფლიოს პირველმა ჩოგანოსანმა როჯერ ფედერერმა რეიტერის სააგენტოს თავისი სამომავლო გეგმები გაუმხილა: „შემდეგი სეზონი ოლიმპიურია, რაც ძალიან მახარებს. იმედი მაქვს, რომ ჩინეთში უკეთესად გამოვალ, ვიდრე სიდნეისა და ათენში, ავსტრალიაში მეოთხე ვიყავი, საბერძნეთში კი მეორე წრიდანვე გამოვვარდი“.**

პირველი ჩოგანი აცხადებს, რომ ეცდება, ბოლოს და ბოლოს, საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე გამარჯვებას, მაგრამ ამ მიზანს ყველაფერს როდი შევწირავო. ჩემი ყველაზე საყვარელი ტურნირი უიმბლდონია, მეორე ადგილზე კი – Us Open-იაო.

## ◎ ჩოგბურთი

# ისევ ის



**გამოქვეყნდა პროფესიონალ ვაჟ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი, რომელსაც ორივე კლასიფიკაციაში სწორუპოვარი შვეიცარიელი როჯერ ფედერერი თავკაცობს დიდი უპირატესობით.**

ATP RANKING. ფედერერი, ნადალი, ჯოკოვიჩი, დავიდენკო, ფერერი, როდიკი, გონსალესი, გასკე, ნალბანდიანი, რობრედო, მიურეი, ჰაასი, ბლეიკი, ბერდიხი, კანასი, ბაღდატისი, მოია, ლიუბიჩიჩი, იუჟნი, ჩელა.

ATP RACE. ფედერერი, ნადალი, ჯოკოვიჩი, დავიდენკო, ფერერი, როდიკი, გონსალესი, გასკე, ნალბანდიანი, რობრედო, მიურეი, ჰაასი, ბლეიკი, ბერდიხი, ბაღდატისი, მოია, ლიუ, ბიჩიჩი, კანასი, იუჟნი, ჩელა.

## ◎ ჭადრაკი

# ეს კრამნიკია



**მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ვლადიმერ კრამნიკის წარმატებით დასრულდა მოსკოვში გამართული ლეგენდარული მოჭადრაკის მიხეილ ტალის მემორიალი. მან გამარჯვება ფინიშამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა, როცა აზერბაიჯანელ შაჰრიარ მამედიაროვს მოუგო პარტია და მდევართათვის მიუწვდომელი გახდა.**

მეორე ადგილი „რიგელი ჯადოქრის“ თანამემამულემ ალექსეი შიროვმა დაიკავა, რომელმაც გადამწყვეტი ნახევარი ქულა ისრაელის წარმომადგენელ ბორის გელფანდთან დაკარგა.

## ◎ აღმოსავლური ორთაბრძოლები



# ჩინური კოზირი

**მასპინძელთა აშკარა უპირატესობით აღინიშნა პეკინში დასრულებული მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონატი უშუსანდაში:** ჩინელებმა თერთმეტიდან ხუთ წონით კატეგორიაში მოიპოვეს ოქროს მედლები. ანალოგიურად განვითარდა მოვლენები ქალთა შორის – კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასული ექვსეულიდან ზუსტად ნახევარი მომავალი ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდა.

**კაცები:** ხი გუან ჟუნი, ჩჟან შუაი კე, იუი ფეიბიაო, ჩჟან იონი, იუი ცზინი (ჩინეთიძ, დონარი (თურქეთიძ, ლინ ჩან ცაი (მაკაოძ, გოლიპური (ირანიძ, ნულდერი (ჰოლანდიაძ, ბელეტოვი, სალიკოვი (რუსეთიძ.

**ქალები:** ცინ ლი ცზი, ვუ ჯაო, სუნ ჰუეი (ჩინეთიძ, ნგუენ ჩი ბიჩი, ლიუიონ თჰი (ვიეტნამიძ, მანსერი (დიდი ბრიტანეთიძ.

## ◎ კრივი

# ტაისონს — 24-საათიანი პატიმრობა



**სკანდალებით სახელგანთქმულ მოკრივეს, ყოფილ აბსოლუტურ მსოფლიო ჩემპიონს ზემძიმე წონაში, ამერიკელ მაიკ ტაისონს არიზონაში 24-საათიანი პატიმრობა და სამწლიანი გამოსაცდელი ვადა მიუსაჯეს ნარკოტიკების შენახვისა და ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვისთვის.**

ამერიკელმა მოკრივემ თავი დამნაშავედ სცნო ჯერ კიდევ სექტემბერში.

შეგახსენებთ, რომ 1986 წელს ტაისონი გახდა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი – 20 წლის. 1997 წელს გაიმართა ცნობილი ორთაბრძოლა ევანდერ ჰოლიფილდთან, როცა ტაისონმა მეტოქეს ყური მოაკვნიტა.

## ◎ კადრი



**ავდგები ახლა და, რადგან, მიყვარს ღვინო მუხრანული და ბუხუნი მუხრანული, ვიშოვნი მუხრანულ ღვინოს, რომ ნიჭი და მამულიშვილობა დავულოცო დიდ ქართველ პოეტს...**



№ 228. ოთხშაბათი, 21 ნოემბერი, 2007 წელი.

◉ საჩუქარი — მკითხველს

# მუხრანული...

**ამ ტომეულებში ყველაფერი განსაკუთრებულია, მუხრანულია — პოეტური ტალანტი, გასული საუკუნის ორმოციანი წლების ბოლოს რომ „მიანგრ-მოანგრია“ ქართული კლასიკური ლექსის მდინარების კალაპოტი; სამშობლოსა და მშობლიური ენის სიყვარული; სიტყვის ლაზათი და მიმოქნევა; დამოკიდებულება ერის ტკივილებისადმი, მეგობრებისადმი, თანამოკალმეებისადმი...**

რა ვქნა, უნდა წავიტრაბახო (ეს — მერამდენედ): იყო დრო, როდესაც მუხრან მაჭავარიანის გაცნობას ვნატრობდი, უნივერსიტეტის ბაღში, აუდიტორიებში სტუდენტები ერთმანეთს ვუკითხავდით — „გულს ნუ გაიტეხ, მუხა კვლავაც შეიმოსება“, „გაუმარჯოს საქართველოს, მოთმინების ფიალას“... დღეს კი იგი, ახლობლის ხელით, გულთბილი წარწერით მიგზავნის ახლახან გამოსულ თავის თხზულებათა ოთხტომეულს!

ოთხტომეული, ტრადიციულად, დიდი გემოვნებით გამოუცია გამომცემლობა „ინტელექტს“ (რედაქტორი ნანა მაჭავარიანი)... ყავისფერ მუყაოს ყუთში ჩალაგებული, ყავისფერყდიანი ძვირფასი წიგნები...

კვლავაც მადლიერი ვარ ჩემი პროფესიისა, რომელმაც, დასტურ, რჩეულ მამულიშვილებს შემახვედრა! რამდენჯერმე სასაუბროდ (საგაზეთოდ) მოვიხელთე ბატონი მუხრან მაჭავარიანიც.

ვურეკავ, მადლობას ვუხდი, აუცილებლად გამოგეხმაურებით-მეთქი გაზეთში. როგორც გენებოს, ოღონდ, ეს კი მინდა, მეოთხე ტომში აწ გარდაცვლილ მეგობარ-კოლეგებზე, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სიტუაციის გამო დაწერილი წერილები შევიტანე, და, სასურველია, გვარები გამოჩნდეს, მათ შთამომავლებს — შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, ესიამოვნებათო.

ბატონი მუხრანი ხომ იმითაც არის გამორჩეული, უშურველად გასცემს ხოლმე კეთილ სიტყვას, გულთბილ შეხმიანებას, გარშემო მყოფი ადამიანებისადმი. აკი, ამბობს ერთგან: „გულთამხილავო, გახარება თუ გინდა ჩემი, უნარი სხვისი გახარების მიბოძე უმალ“. ჰოდა, თხზულებათა მეოთხე ტომში იგი მსუყე ფერებით ხატავს, ესიყვარულება, იგონებს — გიორგი ლეონიძეს, აკაკი შანიძეს, სერგო კლდიაშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას, შოთა ჩანტლაძეს, იოსებ ნონეშვილს, იოსებ გრიშაშვილს, ფილიპე ბერიძეს, შალვა დემეტრაძეს, მაყვალა მრევლიშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს, ქიცა ხერხეულიძეს, პაოლო იაშვილს, ელგუჯა მაღრაძეს, ირაკლი აბაშიძეს, მურმან ლებანიძეს, ზაურ ბოლქვაძეს, სიმონიკა სხირტლაძეს, ოთარ ჭელიძეს, ოთარ ჯიშკარიანს, იორამ ქემერტელიძეს, ლადო მრელაშვილს, გივი ძნელაძეს, კარლო კალაძეს, აკაკი გაწერელიას, შოთა ნიშნიანიძეს, მიხეილ კაკაბაძეს, რევაზ ლაღიძეს...

ხედავთ, რამდენი და რა ხალხია? ეს გულგაშლილობაც მუხრანულია... ამ ტომში ლიტერატურული წერილების გარდა შესულია პუბლიცისტური და მეცნიერული წერილები, პირველი-მეორე ტომი 1946-2004 წლებში შექმნილი ლექსებითაა სავსე, ხოლო მესამე ტომი ბულგარული პოეზიის თარგმანს უჭირავს.

პირველი ტომის შესავალში განვლილი ცხოვრების ეპიზოდებს იგონებს პოეტი. ეს მოგონებები, რაღა თქმა უნდა, „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება, ამიტომ, მოდით, ჩვენი შეკითხვები მივუსადაგოთ ზოგ ეპიზოდს და, ვნახოთ, რამდენად საინტერესო გამოვა ურესპონდენტო ინტერვიუ.

**— ბატონო მუხრან, სად და როდის დაიბეჭდა თქვენი პირველი ლექსები?**

— ლექსებს კარგა ხანს არ მიბეჭდავდნენ — „ფორმალისტურიაო“, „უიდეოაო“... პირველად, მხოლოდ 1952 წელს უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ალმანახ „პირველ სხივში“ დაიბეჭდა ჩემი სამი ლექსი: „ჭადარს ეტყვის ჭადარი“, „საბა“ და „კომუნიზმი“.




სამივეს დიდი მოწონება ხვდა წილად;

„ჭადარს ეტყვის ჭადარი“ — განსაკუთრებით ნიკო კეცხოველს უყვარდა.

ამ ლექსზე მუსიკა დაწერა ანდრია ბალანჩივაძემ.

ამ ლექსს მღეროდნენ დები იშხნელები.

„საბას“ ხშირად კითხულობდნენ სცენიდან.

კარგად კითხულობდა მსახიობი გიზო სიხარულიძე.

1958 წელს დავწერე „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!“ — დამაწერინა იმ ქართველი ბავშვების ხილვამ, — ქართული რომ არ იცოდნენ...

ლექსი ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ საქართველოში... გადადიოდა ხელიდან ხელში... სცენიდან კითხულობდა ბუხუტი ზაქარიაძე...

გამომიძახეს ცეკაში: შემჯორეს, — ეს ლექსი არ უნდა დაგეწერაო!

**— თქვენი ლექსების უმრავლესობა იმთავითვე „ყელზე ადგა“ ხელისუფლებას, სამაგიეროდ, შეიძლება ითქვას, მთელმა საქართველომ, მეტადრე ახალგაზრდობამ, ზეპირად იცოდა...**

— 1964 წელს უნივერსიტეტში გამართულ პოეზიის საღამოზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ პოეტნი (ძველნიცა და ახალნიც), — მე წავიკითხე რამდენიმე ახალი ლექსი (უფრო სწორად, — მე ერთი წავიკითხე, — დანარჩენი წამაკითხეს), მათ შორის „საქართველოს მოთმინების ფიალაზე“:

**ნაკუწ-ნაკუწ-ნაკუწ-ნაკუწ**
**კი არა,**
**გაუმარჯოს, გაუმარჯოს**
**მთლიანად:**
**მიწიანა, კაციანა, ციანა, —**
**საქართველოს მოთმინების**
**ფიალას!**

იხუვლა ტაშმა.

ხალხი აღფრთოვანდა.

იმ საღამოს წაკითხული ჩემი ლექსები მთელ საქართველოს მოედო. იწერდნენ, ამახინჯებდნენ და ავრცელებდნენ.

მოდიოდნენ ჩემთან სახლში, სასოებით შემომცქეროდნენ და მადლობის ნიშნად ხელს მაგრად მართმევდნენ.

იმჟამინდელ ხელისუფლებას, ცხადია, ეს არ მოეწონა; მწერალთა კავშირში სასწრაფოდ შეიკრიბა პარტაქტივი და სასტიკად შემარჩვენეს.

კომკავშირის ცეკას ბიუროზე გამკიცხეს და სამსახურიდან გამომაბუნძულეს (ჟურნალი, რომლის რედაქტორიც მაშინ მე ვიყავი, — კომკავშირის ცეკას ორგანო იყო).

დამიბარეს პარტიის ცეკაში, დამტუქსეს.

ერთი თვის შემდეგ ბულგარეთში გამიშვეს, ვითომ „შემოქმედებითი მივლინებით“;

„ხარმა ხარს ურქინა და საძოვარზე მიაგდოო“:

გავიცანი შესანიშნავი ბულგარელი ხალხი; მოვიარე თითქმის მთელი ბულგარეთი. გადავწყვიტე, — ბულგარული პოეზიის თარგმნა. პირნათლად შევასრულე კიდეც ჩემი გადაწყვეტილება; გავაკეთე თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგია, — შიგ შევიდა ორმოცდაათამდე პოეტი;

ბულგარეთის ხელისუფლებამ დამაჯილდოვა კირილესა და მეთოდეს ორდენით. უნივერსიტეტში, 1964 წელს ჩემი გამოსვლის შემდეგ — საქართველოში ერთობ მომრავლდა ჯაბახანა, ანტისაბჭოთა ლექსები, რომელთაც მე მომაწერდნენ.

დღესაც ბევრს ჩემი ჰგონია არაერთი (არ ვიცი, — ვისი!), — შინაარსით პატრიოტული, ფორმით ალთაბალთა ლექსი.

1976 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი, რომელშიც დაბეჭდილი იყო ლექსების ციკლი „1932“.

წიგნს დიდი რეზონანსი ჰქონდა.

დახლის ქვემოდან იყიდებოდა.

ხელისუფლებამ წიგნის გაჩერება მოინდომა, მაგრამ გვიანღა იყო.

ცენზორი (მაშინ „მთავლიტს“ ეძახდნენ), რომელმაც ამ წიგნის დაბეჭდვაზე ნება დართო, სამსახურის დაკარგვას ძლივს გადაურჩა, პარტიული საყვედური აკმარეს.

1972 წელს, ჟურნალ „დილის“ რედაქტორად ყოფნისას, გამოვეცი საყმაწვილო კალენდარი, — „მთიები“.

კალენდარში შევიტანე მხოლოდ იგი, რაც კარგი იყო საქართველოს ისტორიაში.

„მთიებმა“ მკითხველთა მოწონება დაიმსახურა (მკითხველთა და არა ხელისუფალთა).

მომდევნო წელს კალენდარი უფრო შევავსე და განვავრცე: შევიტანე ბევრი რამ, რაც წინა წლისაში არ იყო.

სხვათა შორის, ამ გამოცემაში (ჩემდა ჭირად), გადმოვბეჭდე ინფორმაცია „კავკაზიდან“, რომლის თანახმად, — არსენას მკვლელი იყო არა ქართველი გიორგი კუჭატნელი, არამედ რუსი გიორგი ივანოვი:

— როგორ თუ რუსიო?! — იტოშეს მწითურთ, —

არსენას რუსი რავა მოკლავდაო!

დარეკა დემიჩევმა.

ფერი დაკარგა საქართველოს ცეკას მდივანმა.

გადაწყდა ჩემი მოხსნა.

ბოლოს (არ ვიცი, —რატომ!) — მოხსნაზე თავი შეიკავეს.

რაიცა შეეხება „მთიებს“: 50 ათასი ცალი დაკეპეს და მაკულატურაში დურთეს.

**— ბატონო მუხრან, როდის გეწვიათ სიყვარული, რამაც მერე ოჯახი შეგაქმნევინათ?..**

— ქუჩა-ქუჩა, მარტოდმარტო ყიალი მიყვარდა, ღამღამობით, ქუჩა როცა მდუმარებით იყო სავსე, როგორც ამომშრალი მდინარის კალაპოტი.

ერთ მშვენიერ დღეს (კურთხეულ იყოს ის წუთი) გავიხედე, — რას შევხედე:

სიყვარული... სიყვარული არ მეძგერა!

შორით ვკიდე თვალი: ორფერა კაბა ეცვა (თეთრი — ლურჯი ზოლებით)...

**და მე დილამდე ქუჩაში**
**ვიარე,**
**შინ რომ მივედი,**
**გულაღმა დავწექ,**
**ხელები თავქვე ამოვილაგე.**

სიყვარულის მეხუთე წელს, ოცდახუთი წლისამ შევირთე ქალი, — ლამარა ბოკერია.

ქორწილი გადავიხადე რესტორან „ევროპაში“ (პლეხანოვზე იყო).

მყავს ორი შვილი: ნანა და ვანო.

ორივე დაოჯახებულია;

ნანა ორი ასულის დედაა: ანასი და სოფოსი.

ვანო — ორი ვაჟისა, — მუხრანისა და რატისა.

პირველი შვილიშვილისაგან (ნანას ასულისაგან) მყავს ორი შვილთაშვილი: თამარი და ლევანი.

ვანო მეთერთმეტე წელია, გადახვეწილია საქართველოდან. კანადაში ცხოვრობს (ტორონტოში).

ყოველ წელიწადს, ახლაც, როგორც უწინ, არგვეთიდან ჩამოდის ზაფხული და მე მთელი ჩემი ოჯახით (ცოლით, შვილით, სიძით, შვილიშვილებით, სიძისსიძით, შვილთაშვილებით) მივყავართ არგვეთში.

იქ, ჩემს საყვარელ არგვეთში, იგივე მთებია, იგივე მინდვრები! — ხალხი კი (მე რო ხალხი მიყვარდა) მიწაშია: ზოგი, — ლაშურის გაღმა, ზოგი, — გამოღმა.

რა გაეწყობა!

„სოფელი ასე მქნელია!“...

* * *

თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ, ლექსში — „პოეტი“, მუხრან მაჭავარიანი ამბობდა: **„არ გაუგია მთელ ქვეყანას გაჩენა მისი (იმ დროს, არც იყო, კაცმა რომ თქვას, ის ამის ღირსი.)...“**

ნახევარი საუკუნის შემდეგ, მორჭმული, უამრავი ქართველის სიყვარულით გარემოსილი პოეტი წერს:

**როგორ არ წამსკდეს სიამის**
**ცრემლი:**
**ნამუსის მსგავსი თუ**
**რამე შემრჩა! —**
**ქართველი კაცი, ჩემ**
**დაუსწრებლად,**
**სვამს სადღეგრძელოს**
**როდესაც ჩემსას!“**

ჰოდა, მის დაუსწრებლად ინტერვიუ ხომ შევადგინე?!. ავდგები ახლა და, რადგან, მიყვარს ღვინო მუხრანული და ბუხუნი მუხრანული, ვიშოვნი მუხრანულ ღვინოს, რომ ნიჭი და მამულიშვილობა დავულოცო დიდ ქართველ პოეტს...

ამფსონები არ მეყოლება თუ რა...

**ვილენ მარდალეიშვილი**

● თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ, ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!





◉ აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

## რუსი სპეცსამსახურების მაღალჩინოსნები და კადიროვი სოხუმში

**ჩვენი რესპონდენტის გადმოცემით 17 ნოემბერს სოხუმში ჩავიდნენ რფ-ს ფედერალური უსაფრთხოების უფროსის ნიკოლაი პატრუშევის ორი მოადგილე, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე და საგარეო დაზვერვის რამოდენიმე მაღალჩინოსანი. მაღალი რანგის სტუმრებს ადგილობრივი ელიტის გარდა უკვე ელოდნენ ჩეჩნეთის პრეზიდენტი რამაზან კადიროვი და თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე იური მოროზოვი, შეხვედრაზე განიხილებოდა საქართველოს ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციაში ჩათრევის გეგმა.**



მოწოდებული ინფორმაციით, გეგმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული მაპროვოცირებელი მოქმედებანი დაიწყოს ცხინვალის რეგიონში. პირველი სამიზნეები ქართული სოფლები – თამარაშენი, ქურთა, ვანათი და ერედვი იქნებიან.

გეგმის მიხედვით, პროვოკაციების მეორე ეტაპი აფხაზეთიდან უნდა მომდინარეობდეს, აფხაზი სეპარატისტები საქართველოს მხრიდან „ოსი ძმების“ შევიწროებისა და დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის ანექსიის აღსაკვეთად ზუგდიდში ქართულ მხარეს „მეორე ფრონტს“ გაუხსნიან.

ოდიშარია აცხადებს, რომ როგორც კი „მეორე ფრონტი“ გაიხსნება ჩეჩნეთის პრეზიდენტი კადიროვი გროზნოდან ჩრდილოკავკასიელ ხალხებს ქართველებისაგან აფხაზების დაცვისაკენ მოუწოდებს. შეკრებს მოხალისეებს და საკუთარი ძალებით სეპარატისტულ ცხინვალსა და აფხაზეთში გადაანაწილებს.

## ათასობით პასპორტი და სერიოზული ფინანსური დახმარება

**არსებული ინფორმაციით, „აფხაზები, ოსები და მოხალისეები“ იქნებიან ძირითადად რუსეთის სპეცსამსახურების შეიარაღებული დანაყოფები. იმისათვის, რომ რომელიმე წარუმატებელი ოპერაციის დროს ტყვედ ჩავარდნილი რუსი სპეცრაზმელი არ გაიშიფროს, მათ დაურიგდებათ აფხაზური და ოსური პასპორტები. პასპორტების დარიგებას სხვა დატვირთვაც ექნება. რუსეთის სპეცსასახურები მსოფლიოს საზოგადოებრიობას შეეცდებიან დაუმტკიცონ, რომ აფხაზებიცა და ოსებიც საკუთარი შესაძლებლობებით უმკლავდებიან ქართულ შეიარაღებულ ძალებს.**

არსებობს ინფორმაცია, რომ ჩრდილოელ სპეცსამსახურების მაღალჩინოსნებს განსაკუთრებით აფიქრებთ ჩვენი თავდაცვის სამინისტროს ჯავშანტექნიკის სიძლიერე. ამის გამო ცხინვალის რეგიონში ბოლო დროს ინტენსიურად დაიწყეს რუსული ტანკსაწინაალმდეგო სისტემების შეყვანა.

ჩვენი ინფორმატორის ცნობით, სოხუმი 17 ნოემბერს შემდგარი სეროების დროს ბაღაფშმა, კოკოითმა და კადიროვმა უკვე მიიღეს კონკრეტული დავალებები. პირველი ეტაპის გეგმის მიხედვით, კოორდინირებულად და წარმატებით შესრულებისათვის ისევ თვითმარქვია პრეზიდენტს უკვე გამოეყო სოლიდური ფინანსური დახმარება – ბაღაფშს 80 მილიონი დოლარის, კოკოითს 50 მილიონის ოდენობით.

მიღებული ინფორმაციით საომარი მოქმედებების პროვოცირება მიმდინარე წლის დეკემბრის შუა რიცხვებისათვის იგეგმება.

**ზაზა ბილიხოძე**

ვეთხოვებით მეგობარს

# ჩვენი ოდიკი



„სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა“...

ზოგი ადრე შეუდგება ხოლმე ამ გზას, ზოგი – გვიან, ოღონდ ვინ – დედამიწაზე დატოვებული მკაფიო ნაკვალევით, ვინ – უკვალოდ და უსახელოდ.

უკვე დაადგა ამ ვარდისფერ გზას ოდიკ ქუხილავა. ნაადრევად – 65 წლის ასაკში. ძალღონისა და გონების გაფურჩქნის ჟამს.

წავიდა დიდებული მამულიშვილი და მოქალაქე, კაცი ზრდილი და ფაქიზი, კალამმადლიანი ჟურნალისტი და უღალატო მეგობარი.

ის სულით ხორცამდე კოლხი ვაჟკაცი იყო, „სავსე ქართული პატიოსნებით“...

დაიბადა 1942 წლის 20 მაისს ზუგდიდის რაიონი სოფელ ჩხორიაში. იქვე მიიღო საშუალო განათლება. 1962-1966 წლებში არმიაში მსახურობდა. 1967 წლიდან მუშაობდა ენგურჰესის გაზეთ „ენგურის ჩირაღდნის“ რედაქციაში, იქ მიიღო პირველი ჟურნალისტური წრთობა.

1967 წელს ოცნება აისრულა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე შევიდა. დაამთავრა 1972 წელს.

ერთხანს სხვადასხვა პარტიულ სამუშაოზე იყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჟურნალისტობამ გადასძალა. ფართო საზოგადოებრიობამ ის საქინფორმის კორესპონდენტად მუშაობისას გაიცნო, მაგრამ მისი ნიჭი და უნარი განსაკუთრებით გაბრწყინდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, სადაც მთელი 15 წელი საკუთარი კორესპონდენტი იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში.

წერდა, ფიქრობდა, წუხდა, გვერდში ედგა მხარის მოსახლეობას, მისი ცხოვრებით ცხოვრობდა და იღვწოდა.

ამ ფიქრმა და წუხილმა მოულოდნელად შეუჩერა მაჯისცემა.

ვარდისფერ გზას დაადგა ჩვენი ოდიკი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

# განცხადება

**სააქციო საზოგადოება „პირიმზეს“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს სააქციო საზოგადოების აუქციონერთა საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2007 წლის 30 ნოემბერს 16 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი ფურცელაძის ქ.22.**

**სააქციო საზოგადოება „პირიმზეს“ მიერ საალრიცხვო თარიღად დადგენილია 2007 წლის 30 ოქტომბერი.**

**დღის წესრიგი:**

1. წესდების ახალი რედაქციით დამტკიცება;
2. საწესდებო კაპიტალის გაზრდა ფულადი შენატანით;
3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევა;
4 .სხვადასხვა.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან სს „პირიმზის“ აუქციონერები, რომლებიც რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში 2007 წლის 30 ოქტომბრისათვის 18 საათის მდგომარეობით, და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერსდა საკუთარ პირადობის მოწმობას. აქციონერები კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლებას შეამწმებენ სს „პირიმზის“ რეგისტრატორთან შპს „საქართველოს ფასიან გაერთიანებულ რეგისტრატორთან“, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი 74 ა, 22-53-51.

◉ ჩვენი ჯანმრთელობა

## ინერვიულე? — დალიე ჩაი!

**დიდბრიტანელ სწავლულებს თუ დავუჯერებთ, ჩაი გვეხმარება ორგანიზმზე სტრესული სიტუაციის მავნე გავლენის შემცირებაში. ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის თანამშრომლებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომლის მიმდინარეობის დროს მოახერხეს ჩვეულებრივი შავი ჩაის და ანალოგიური გემოს, ფერისა და სუნის, მაგრამ განსხვავებული ქიმიური შემადგენლობის ნაყენის შედარება.** გამოკვლევაში მონაწილე 75 მოხალისე ორ ჯგუფად გაყვეს, ექვსი კვირის განმავლობაში ერთი ჯგუფის წევრები რეგულარულად სვამდნენ ნატურალურ ჩაის, დანარჩენები კი იღებდნენ არომატიზირებულ ნაყენს. შემდეგ ექსპერიმენტის ყველა მონაწილე ასრულებდა რთული ტესტების სერიას, რაც განუყრელად დაკავშირებული იყო გაზრდილ სტრესულ დატვირთვასთან. ამის შემდეგ მათ გაუზომეს წნევა, პულსი და, რაც მთავარია, სტრესის ჰორმონის – კორტიზოლის დონე.



შედეგები მოწმობენ, რომ ყველა მონაწლემ გადაიტანა სერიოზული სტრესი. მაგრამ 50 წუთის შემდეგ ჩატარებულმა განმეორებითმა გაზომვებმა ნათლად აჩვენეს, რომ იმათ, ვინც ჩაის სვამდა, გაცილებით სწრაფად აღიდგინეს ნორმალური მაჩვენებლები. მაგალითად, კორტიზოლის დონე მათ თითქმის ორჯერ დაბალი აღმოაჩნდათ.

## ძილი — გახდომის საშუალება?

**გონიერი, და არა მკაცრი, მშობლები მუდამ მოითხოვენ, რომ მათმა შვილებმა დროზე დაიძინონ. ამერიკელი მეცნიერების ახალმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ამ საშუალებით შესაძლოა ბავშვებისთვის უსაშველო გასუქების რისკის შემცირება.**

მიჩიგანის შტატის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს: თუ მესამეკლასელ მოსწავლეს ერთი საათით მეტი სძინავს, სამი წლის შემდეგ მას გასუქების საშიშროება 40 პროცენტით დაბალი ექნება.

ექიმები დარწმუნებულნი არიან, რომ ცხრა წლის ბავშვს უნდა ეძინოს არანაკლებ 9 საათი და 45 წუთი. ყოველგვარი გამოუძინებლობა მის მომავალს ზედმეტი კილოგრამებით ემუქრება. და პირიქით, დამატებით, ძილი ბავშვებს იცავს ზედმეტი წონისგან.

ბუნებრივია, დაისმება კითხვა: რატომ? ჯერ ერთი, ძილის უკმარისობა გავლენას ახდენს გაცვლით პროცესებზე. მეორეც, მეშუაღამელები და მოზრდილებიც ჩვეულებრივად მეტს სჭამენ და ნაკლებად მოძრაობენ.

ბავშვებში ზედმეტი წონის პრობლემა აქტუალურია ბევრ ქვეყანაში. სტატისტიკის თანახმად, 9 მილიონზე მეტ ამერიკელ ნორჩ მოქალაქეს 6-დან 19 წლამდე ზედმეტი წონა აქვს.

## ღვინო და ყავა?

**ბოლო ხანებში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ძალზე მოდურად იქცა ალკოჰოლიან სასმელებზე ეგრეთწდებული ისეთი ენერგეტიკული სასმელების დაყოლება, კოფეინს რომ შეიცავენ – ყავა, კოკა-კოლა და ა.შ.**

როგორც ჩრდილო კაროლინას (აშშ) ექიმთა ჯგუფმა დაამტკიცა, ეს ძალზე საშიში „შეჯვარებაა“. გამოკვლევაში მონაწილეობდა 10 სასწავლებლის 4000-მდე სტუდენტი.

შედეგებმა აჩვენა, რომ ალკოჰოლიანი და კოფეინიანი სასმელების ერთდროული გამოყენება, ერთგვარად ანელებს ალკოჰოლის ზემოქმედებას – ადამიანი უბრალოდ არ გრძნობს სიმთვრალეს. მაგრამ როცა კოფეინის მოქმედება მთავრდება, ალკოჰოლი გაცილებით მძლავრად ურტყამს.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

№ 228. ოთხშაბათი, 21 ნოემბერი, 2007 წელი.

● მიმდინარეობს მუშაობა და მზადდება ფართომასშტაბიანი და ასევე უპრეცედენტო შეწყალება, რომელიც შეეხება 1000-ზე მეტ ადამიანს და ამის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტი გააკეთებს საგანგებო განცხადებას 23 ნოემბრისთვის



## სულიერება

# კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისათა ძალთა...



მენჯის მთავარანგელოზთა მონასტერი XIX ს.

**21 ნოემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მთავარანგელოზთა – მიქაელის, გაბრიელის, რაფაელის, ურიელის, სელაფიელის, ეგუდიელის, ბარაქიელის და იერომიელის კრების ხსენებას. მთავარანგელოზი მიქაელი ერთ-ერთი უმაღლესი ანგელოზია.**

... საქართველოში ამ დღესასწაულს განსაკუთრებით ზეიმობენ ქუთაისის, მწვანეყვავილას, მენჯის, ალგეთის, ჯუმათის, დიმის, გრემის, შუამთის მთავარანგელოზის სახელობის ტაძრებში.

... ცნობილია, რომ ანგელოზი ბერძნული სიტყვაა და მაცნეს ნიშნავს. ადამიანებს სწორედ ანგელოზები აუწყებენ ღვთის ნებას. მაგალითად, მარიამ ღვთისმშობელს გაბრიელ მთავარანგელოზმა გაბრიელმა აუწყა, რომ გახდებოდა დედა კაცობრიობის მხსნელისა – იესო ქრისტესი.

ანგელოზები შეიქმნენ ყოველგვარ მატერიალურ სამყაროზე ადრე. წმინდა წერილში ნათქვამია: „ოდეს შექმნულ იქმნეს ვარსკვლავნი, მაქებდეს მე ხმითა დიდითა ყოველნი ანგელოზნი ჩემნი“.

ამგვარად, ანგელოზები ესწრებოდნენ ხილული სამყაროს შექმნას და ადიდებდნენ შემოქმედების სიბრძნესა და ძალას.

ხატწერაში მთავარანგელოზებს სხვადასხვაგვარად გამოხატავენ, მაგალითად, მთავარანგელოზი მიქაელი ხატებზე ჯავშნით არის გამოსახული, მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენაში – ზეთისხილის რტო.

მთავარანგელოზი რაფაელი მარჯვენა ხელში – ტობიასთან და თევზთან, ხოლო მარცხენაში – წამლის ჭურჭლით არის გამოსახული ხატებზე.

ურიელ მთავარანგელოზი ხატებზე ასე გამოისახება: მარჯვენაში – უჭირავს ხმალი, მარცხენაში კი – ცეცხლის ალი.

მთავარანგელოზი სელაფიელი ხატზე მლოცველის პოზაში გამოისახება.

მთავარანგელოზ ეგუდიელს მარჯვენაში ოქროს გვირგვინი უჭირავს, მარცხენაში კი – შოლტი.

ბარაქიელ მთავარანგელოზს ხატებზე ვარდისფერი ყვავილებით შემკული სამოსით გამოსახავენ.

მთავარანგელოზ იერომიელს კი ხელში სასწორი უჭირავს და სალვთო სიყვარულით აღმძვრელად მიიჩნევა.

... მიიჩნევენ, რომ მთავარანგელოზთა კრების ხსენების დღე დაწესდა მსოფლიო საეკლესიო კრებამდე რამდენიმე წლით ადრე.

**გიული ლიპარტია**

## ინფორმაცია

# ამნისტიები გიორგობას და ახალ წელს

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა განაცხადა, რომ 23 ნოემბრის ამნისტიის შემდეგ, მომდევნო ამნისტია საახალწლოდ მომზადდება.**

– 23 ნოემბერს კი გიორგობას სახლში შეხვდება 5 ათასამდე პატიმარი. ამნისტიას დაექვემდებარება ის 1200 პატიმარი, რომელზეც სისხლის სამართლებრივი დევნა იყო გამოცხადებული. 500 – სასჯელმოუხდელი, აგრეთვე ისინი, ვისზეც დევნა 1995 წლამდე იყო გამოცხადებული, – აცხადებს ბეჟაშვილი.

ელენე თევდორაძემ განაცხადა, რომ პატიმართა დათვლა გრძელდება და, შესაძლოა, ამნისტირებულთა რიცხვი გაიზარდოს.

საქართველოს პარლამენტი კი პრეზიდენტის ინიციატივის საფუძველზე იწყებს ბოლო 12 წლის განმავლობაში უპრეცედენტო ამნისტიის საკითხის განხილვას. უკანასკნელად ასეთი ფართომასშტაბიანი ამნისტია 1995 წელს განხორციელდა.

მიმდინარეობს მუშაობა და მზადდება ფართომასშტაბიანი და ასევე უპრეცედენტო შეწყალება, რომელიც შეეხება 1000-ზე მეტ ადამიანს და ამის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტი გააკეთებს საგანგებო განცხადებას 23 ნოემბრისთვის.

რაც შეეხება ამნისტიას, რომელიც 23 ნოემბრამდე განხორციელდება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და სასჯელისგან ათავისუფლებს დაახლოებით 1200-მდე პატიმარს და 1000-მდე წინასწარ გამოძიებაში მყოფ პირს, რომლებიც 70 სხვადასხვა დანაშაულში იყვნენ მხილებული.

სასჯელის მოუხდელი ნაწილი გაუნახევრდება 20 სხვადასხვა დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პატიმარს, სულ დაახლოებით 500-მდე პატიმარს.

# ყაჩაღობა ველისციხეში

**ყაჩაღობა მოხდა გურჯაანის სოფელ ველისციხეში. ორი ნიღბიანი პირი 71 წლის ვალიკო ხარებაშვილს თავს დაესხა.**

გამოძიების ვერსიით, დანაშაული ყაჩაღობის ნიადაგზე მოხდა. ბოროტმოქმედები ხარებაშვილს პენსიიდან დანაზოგს სთხოვდნენ.

ხარებაშვილი სასტიკად არის ნაცემი და გურჯაანის რაიონის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

მედიკოსების განცხადებით, მისი მდგომარეობა კრიტიკულია. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, თუმცა დამნაშავეების დაკავება ამ დრომდე ვერ მოხერხდა. ძიებას გურჯაანის რაიონული პოლიცია აწარმოებს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას 12
98-65-87; 899 32-85-76.

## ახალი ზეპირსიტყვაობა

# ეგ შაირი არ მინდოდა...

*ჩემი ლალი პრეზიდენტი*
*ღმერთივით სულ ზეცაშია,*
*ლამის მომწყდეს ეს კისერი*
*მაღლა მაგის ცქერაშია,*
*ხან ლონდონში, ხან სტრასბურგში,*
*ხანაც კიდევ ვენაშია,*
*იცის კაცმა, აქ ყურძენი*
*რომ არ ლპება ვენახშია,*
*იცის, ყველა ტაშს დაუკრავს*
*ვინც ბიზნესმენ-მევახშეა,*
*იცის, მე აქ არ მწყურია,*
*მე არ მცივა, მე არ მშია,*
*რა მესადილ-მევახშმება*
*ამდენ შოუს მზერაშია,*
*ანდა რა მემიტინგება*
*კონცერტების სცენაშია...*
*– შენი ნიჭი და უნარი*
*მაგ მოქარგულ ენაშია,*
*ბიჭო, შენ კი გენაცვალე*
*გაფრენ-გამოფრენაშია!*

დუშელი მთქმელისგან ჩაიწერა
**თამაზ ილმელმა**

## ანეკდოტები

– მამი, რა სხვაობაა რევოლუციასა და გადატრიალებას შორის?

– რევოლუციები ხდება იმის გამო, რომ მშივრებს ჭამა უნდათ, ხოლო გადატრიალებები იმიტომ, რომ მაძღრებს კიდევ უკეთ კვება სურთ.



* * *

იგი ისეთი ქვაწვია იყო, რომ ბანკომატსაც კი ევაჭრებოდა.

* * *

რუსეთელებს, რომლებიც უარყოფითად ეკიდებიან პუტინის ერის მამად გამოცხადების იდეას, შეპარვით შეახსენეს, რომ მშობლებს არ ირჩევენ.

* * *

გამოცხადებულ კონკურსში – „ყველაზე სექსუალური საჯდომი“ – გაიმარჯვა მოქმედმა პრეზიდენტმა: სწორედ მისი უკანალის კოცნის სურვილი გაუჩნდა უმრავლესობას.

* * *

ცისფერი ფეხბურთელთა გუნდში ჩაეწერა და უმალ სუპერვარსკვლავი გახდა: ყოველ მატჩში რამდენიმე გოლი გაჰქონდა, იძლეოდა საგოლე პასებს და ა.შ. მორიგი მოგების შემდეგ იგი ჟურნალისტებმა ჩაიგდეს ხელთ:

– როდის შეგიყვარდათ ფეხბურთი?

– მე შემიყვარდა ფეხბურთი? რას ამბობთ, საერთოდ ვერ ვიტან ამ უხეშ თამაშს!

– მაშინ რად თამაშობთ? – გაოცდნენ ჟურნალისტები.

– როგორ გითხრათ, – იმშუშნება ცისფერი, – მომწონს, როდესაც გოლის გატანის შემდეგ ბიჭები მეხვევიან და მკოცნიან...

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.